N5 2021

მასწავლებელი

საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების საქართველოს

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„ინტეგრირებული გაკვეთილები“

მასწავლებელი

№5(73), 2021

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
ბერიკა შუკაკიძე,
მარიკა სიხარულიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
მაია ჯალიაშვილი, მაია მენაბდე, მაია ფირჩხაძე, თემურ სუყაშვილი, ინა იმედაშვილი, მარიამ გოდუძე, თამთა დოლიძე, თამთა კობახიძე, ირმა კახურაშვილი, ლელა კოტორაშვილი, ნათელა ბაღათრიშვილი, ქეთევან ოსიაშვილი, ნათია უჩავა

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, სანდრო ეულის ქ. 5,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.

ყველა უფლება დაცულია ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / 8-374

www.tpdc.ge

რედაქტორისგან

ნატო ინგოროყვა

ზოგჯერ, როცა სხვა „საოცარ ახალ სამყაროზე“ ვფიქრობ, ფიქრი იქითკენაც გამექცევა , რომ შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს, მართლა ჩაგვანაცვლოს ხელოვნურმა ინტელექტმა. ამის გაფიქრებაზე, მართალია, შიში მიპყრობს და თან ვიცი, რომ ბევრ პროფესიაში ეს გარდაუვალიცაა, თუმცა, მასწავლებლის პროფესია ამისთვის არ მეთმობა.

ეს ზოგჯერ...

თუმცა, ზოგჯერ თანახმა ვარ ადამიანი საერთოდ ჩაანაცვლოს ვინმე სხვა კეთილმა არსებამ, რომელსაც უყვარს ბავშვები და იმ ბავშვებს უყვართ ერთმანეთი. თორემ, ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, რაც დაგვიწერია, თუ შეგვიქმნია, ერთ წამში კარგავს ფასს და ამაო ხდება.

ერთი დღისთვის ეს ორი სასტიკი ამბავი ასეთი ფიქრებისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

ამბავი პირველი:

„2021 წლის მაისში, ბავშვმა ხილი უნებართვოდ მოკრიფა. რის შედეგადაც ხილის ერთ-ერთმა მეპატრონემ ბავშვს პლასტმასის მილით ფიზიკური დაზიანება მიაყენა ფეხზე, ხოლო მეორემ ბავშვი ძალის გამოყენებით ჩამოიყვანა ხიდან, რამდენჯერმე გაარტყა სახეში ხელი, დაარტყა ფეხი, მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ძალის გამოყენებით წელზემოთ გააშიშვლა, აიძულა შარვლის გახდა და ამ მდგომარეობაში ბავშვი ქუჩაში გაუშვა. მოზარდს სხეულზე ფიზიკური დაზიანების კვალი აღენიშნებოდა“.

ამბავი მეორე:

„ბათუმში არასრულწლოვანი თანატოლებმა სცემეს, შემდეგ ვიდეო გადაუღეს და სოციალურ აპლიკაცია „ტიკ-ტოკ-ზე“ ატვირთეს. გავრცელებული ინფორმაციით, დაზარალებული 13 წლამდე ასაკის გოგონაა, რომელიც მისმა თანატოლებმა რეინჯერების ძველ რესტორანში წაიყვანეს და სცემეს. ცემისა და გინების ამსახველი კადრები მათ სოციალურ ქსელში გაავრცელეს. როგორც ვიდეოდან ირკვევა, ძალადობის მონაწილე ერთ-ერთი პირი მას მიმართავს: „მითხარი, რა ხარ. მითხარი-მეთქი, რა ხარ, კიდევ გაიმეორე, თორემ დაგარტყამ კიდევ ერთხელ“. გავრცელებული ინფორმაციით, სკოლა უმძიმეს ფაქტს ადასტურებს. სკოლის დირექტორის განცხადებით, ფაქტი სკოლის ტერიტორიაზე არ მომხდარა.

დირექტორის კომენტარზე, კომენტარის გაკეთება ვერ შევძელი.

ვერ ვფიქრობ იმ გოგონას ნაცვლად – მის შიშებზე, ტკივილებზე, კომპლექსებზე და ზოგადად, მის მომავალ ცხოვრებაზე.

ეს ჩემთვის, ბათუმში, ბეტონის ფილებს შორის მოყოლილი ბავშვების ტრაგედიის ტოლფასია.

ვდგავარ ხელებდაგრძელებული, ცარიელი, ვწერ ამ საშინელი ამბის შესახებ და მინდა გკითხოთ, იქნებ ცოტა რიტორიკულად გამომივიდეს, მაგრამ მაინც:

თქვენ რას ფიქრობთ? ან როგორ ცხოვრობთ?

გამოცდილება

მაია ფირჩხაძე

13 ზოგიერთი პედაგოგიკური მიდგომა მოსწავლეთა ანალიტიკური აზროვნების განვითარებისთვის

გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლეებში ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება მასწავლებლის მხრივ ითხოვს მთელ რიგ განსხვავებულ მიდგომებს და სწავლა-სწავლების სტრატეგიების გამოყენებას.

თემურ სუყაშვილი

17 ადიქცია და მასთან ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკა

მსოფლიოს ქვეყნები ადიქციას სერიოზულ პრობლემად განიხილავენ. ყველაზე სახიფათოა ბავშვებისა და ახალგაზრდების მავნე ჩვევებზე დამოკიდებულება.

ინა იმედაშვილი

20 სწავლების გზა, ანუ ვასწავლოთ როგორ ისწავლონ

ერთი შეხედვით არც ისე გამორჩეული დავალების მიღმა, შესაძლოა მოსწავლის საოცარი გამოცდილება და აღმოჩენები იმალებოდეს, აი, ამიტომაა კომპლექსური დავალება შესანიშნავი ინსტრუმენტი სწავლა-სწავლებისას.

ლელა კოტორაშვილი

41 ჩანახატები მასწავლებლის ცხოვრებიდან

თითოეულ მასწავლებელს თავისი განსაკუთრებული ამბებით სავსე კალეიდოსკოპი აქვს. მთავარია, გაზიარებისა და მოყოლის სურვილი არ დაგვეკარგოს.

ნათია უჩავა

53 რჩევები დამწყებ მასწავლებლებს

უსმინეთ ბავშვებს, მოიპოვეთ მათი ნდობა და სიყვარული – ეს უმთავრესია. შეაფასეთ და გამოკვეთეთ თითოეული მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები, მათი ინტერესები და მიდრეკილებები და ამაზე დაყრდნობით დაგეგმეთ სასწავლო პროცესი.

მოსაზრება

მაია ჯალიაშვილი

4 FESTINA LENTE: სად ეჩქარება მასწავლებელს?

მასწავლებელმა დრო უნდა გამონახოს და დაინტერესდეს, რას ფიქრობს მოსწავლე მასა თუ სასწავლო პროცესზე. ამ გზითაც უნდა მოიპოვოს მისი ნდობა, რათა მოსწავლემ გულწრფელად გაუზიაროს გასაჭირი, სთხოვოს დახმარება. ეს შესაძლებლობას მისცემს პედაგოგს, გაიაზროს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები.

მაია მენაბდე

8 მოსწავლის ხმა

სასწავლო პროცესში აუცილებლად უნდა შეიცვალოს ნიშნების მიმართ დამოკიდებულება. არ მესმის იმ მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების, რომლებსაც სწავლის ურთულესი და მრავალშრიანი პროცესი ბანალურ ნიშნის მიღებამდე დაჰყავთ.

თამთა კობახიძე

34 ხარისხის უზრუნველყოფა როგორც სასკოლო კულტურის ნაწილი

სკოლაში შიდა შეფასების დროს ან, საზოგადოდ, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ჩამოყალიბებისას ყურადღება უმთავრესად სასწავლო პროცესზე, მის მიმდინარეობასა და მოსწავლეთა შედეგებზე მახვილდება.

ირმა კახურაშვილი

37 მოსწავლის პერსონალური საგანმანათლებლო ტრაექტორიის ორგანიზება

თუ შინაარსს განვიხილავთ როგორც ერთიან საგან-მანათლებლო მასალას, ხოლო ინდივიდუალიზაციას – როგორც ამ მასალის დაუფლების გზების კონტექსტს, ლოგიკურია, რომ ეს გააფართოებს შესაძლებლობებს, ხელს შეუწყობს თანასწორობას, რადგან გააფარ-თოებს ერთი და იმავე საგანმანათლებლო მასალის დაუფლების ხერხების არსენალს.

სარჩევი

27 დიანა ანფიმიადი
მუზეუმი და შთაგონება – ულევი რესურსი საინტერესო გაკვეთილებისთვის

28 ელიზბარ ელიზბარაშვილი
უძვირფასესი

29 გურამ მეგრელიშვილი
როგორ გვითხრას შვილმა, როცა დახმარება სჭირდება

30 შორენა ტყეშელაშვილი
ჯადოსნური მთხრობელი – როგორ მოვყვეთ ამბავს საინტერესოდ

რესურსი

მარიამ გოდუძე

24 კომპლექსური დავალების ადაპტირება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესი თანხვდება კლასში მიმდინარე სასწავლო პროცესს. მასწავლებელმა ერთი საკითხი უნდა შესთავაზოს კლასს და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს.

თამთა დოლიძე

31 „არ დაგავიწყდეს თამაში!“

სკოლის დისტანციურ ფორმატში გადატანამ ელექტრონული ინსტრუმენტების საჭიროება უფრო მძაფრად დაგვანახა, რადგან ვირტუალური სასწავლო პროცესის მათ გარეშე წარმართვა თითქმის შეუძლებელი გახდა.

ნათელა ბაღათრიშვილი

46 როგორ ავაგოთ ბიოლოგიის საგნობრივი კურიკულუმი

სკოლა ქმნის სასკოლო კურიკულუმს, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის ზოგად მოთხოვნებს მოსწავლის განვითარების კონკრეტულ გზად აქცევს.

განათლების ფსიქოლოგია

ქეთევან ოსიაშვილი

50 შეცდომის შიში ბავშვებში – გამომწვევი მიზეზები და დაძლევის გზები

რაც უფრო მჭიდრო ემოციური კავშირია ბავშვსა და მშობელს შორის, რაც უფრო მეტ დროს ატარებენ ისინი ერთად, მით უფრო მეტად ეშინია მოზარდს მისი განაწყენების. ეს კი ნიშნავს, რომ სულ პატარა შეცდომაც კი მისთვის უზარმაზარ ტრაგედიად იქცევა.

მაია ჯალიაშვილი

FESTINA LENTE: სად ეჩქარება მასწავლებელს?

ცივილიზაცია გიგანტური ნაბიჯებით ვითარდება, – ამას თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევებიც ცხადყოფს, – ხოლო კულტურას საუკუნეებზე გაწელილი რიტმი აქვს, დროისა და სივრცის მშვენიერებით „ტკბება“ და ადამიანსაც აყოვნებს, რათა მან სამყაროს მრავალფეროვნების გემო და სურნელი შეიგრძნოს.

თანამედროვე სამყაროში ყველა და ყველაფერი თითქოს თავბრუდამხვევი სიჩქარის დაუოკებელი ვნებითაა შეპყრობილი. დრო თითქოს კატასტროფულად შეიკუმშა და შემცირდა. შინ თუ გარეთ, ქუჩასა თუ ტრანსპორტში, ვხედავთ დროის დეფიციტით დამწუხრებულ ადამიანებს – ყველას სადღაც ეჩქარება, ყველას სადღაც აგვიანდება, ყველა საქმე მოსასწრებია, მათ შორის – რაღაცის სწავლა, გაგება თუ გააზრება. სიჩქარეს ტემპს მატებს ათასგვარი რეკლამა, რომლებიც დაუყოვნებლივ რაღაცის შეძენის, ფლობის, მოპოვებისკენ გვიბიძგებს იმგვარი დარწმუნებულობით, თითქოს იმ რაღაცის გარეშე სიცოცხლეს აზრი დაეკარგება, ბედნიერება სადღაც გასხლტება. ხშირად ნახავთ რეკლამებს იმის შესახებ, რა იოლად და სწრაფად შეიძლება გახდე პროფესიონალი, დაოსტატდე ამა თუ იმ საქმეში, ორიოდ დღეში შეისწავლო უცხო ენა და ა.შ.

სამწუხარო და დასაფიქრებელი კი ისაა, რომ ეს უკონტროლო და თავაშვებული სწრაფი რიტმი სასწავლო პროცესსაც ახლავს. დღეს მასწავლებელსაც და მოსწავლეებსაც ბევრი რამ აქვთ მოსასწრები, ამიტომ იქმნება სტრესული გარემო, რომელიც ცოდნის შეძენას აფერხებს. არადა, კარგი იქნებოდა, ყველასთვის ცნობილი ლათინური ფრთიანი გამოთქმა თუ სენტენცია, ერთგვარი ოქსიმორონი – Festina lente (იჩქარე ნელა) – სასკოლო სივრცისთვისაც გააქტიურებულიყო როგორც მაგიური ფრაზა ტემპის შესანელებლად, ფაქტებისა თუ მოვლენების სიღრმისეულად გასააზრებლად.

მასწავლებელსაც სულ ეჩქარება, მოსასწრები აქვს სასწავლო პროგრამა, რომელიც გადატვირთულია. მიუხედავად იმისა, რომ საათები განაწილებულია, ყოველი წუთი გათვლილია, დრო მაინც არ ჰყოფნის იმისთვის, რომ, მაგალითად, სახელმძღვანელოში მოცემული მასალა რიგიანად და გეგმაზომიერად გაიაროს და ამოწუროს. უამისოდ კი ეუფლება ნაკლულოვნებისა და დანაშაულის განცდა, რომ სათანადოდ არ იჩქარა. მერე კი, ცოტა დრო თუ გამონახა შეყოვნებისთვის, დიდი ფიქრი არ უნდა იმას, რომ დაასკვნის – ყველა საკითხის შესწავლის დაგეგმვა არ იყო გონივრული, არ იყო საჭიროება ამისა, რადგან ისედაც მიაღწევდა მიზანს. ასე კი დრო დაკარგა. მნიშვნელოვან თემას ცოტა დრო დაუთმო, რადგან ამისთვის მეტი საათი რომ გამოეყო, სხვა რამეს მოაკლდებოდა. თანაც პედაგოგი ხშირად თვითონ არ განსაზღვრავს შესასწავლ თემათა თუ საკითხთა რაოდენობას – ის ეროვნული სასწავლო გეგმითა თუ სასკოლო ამოცანებითაა განსაზღვრული. ამას ემატება ბიუროკრატიული ფორმალობები, ათასგვარი მსხვილმანწვრილმანი, რომლებიც მან უნდა შეასრულოს, რათა სტატუსი შეინარჩუნოს, განვითარებაზე იზრუნოს. ამ სისწრაფეში კი ხშირად ხელიდან უსხლტება მთავარი და მნიშვნელოვანი, რომელსაც მაშინ აღმოაჩენს, თუ ამ სპრინტერულ სრბოლაში მოულოდნელად შეჩერდა, ამოისუნთქა, შეყოვნდა, გაიაზრა, რას რისთვის აკეთებს, მოკლევადიანი გეგმა უფრო მასშტაბურ გრძელვადიან მიზნებთან დააკავშირა, სასწავლო ამოცანები არა ცალკე, მოწყვეტილად, არამედ მთლიანობაში, პერსპექტივიდან დაინახა და შეაფასა.

ერთ ძველ იგავში ბრძენი ურჩევს ადამიანს, სანამ რამეს დაიჯერებს ან გადაწყვეტილების მიიღებს, ის სამ საცერში გაატაროს. საცერში გატარება მეტაფორაა და გადაწყვეტილების მიღებამდე ყველაფრის დინჯად აწონ-დაწონას გულისხმობს, რათა ადამიანს ფიქრის საშუალება მიეცეს. იგავში კაცი ბრძენს ეუბნება, რომ მეგობრის ნათქვამი უნდა აუწყოს, რომელიც მას ეხება. ბრძენი კაცს აყოვნებს სიმართლის, სიკეთისა და სარგებლიანობის სამი საცერით, რომლებიც გულისხმობს, რომ მთქმელმა მხოლოდ მაშინ უნდა თქვას

ამბავი, თუ დარწმუნებულია მის სიმართლეში, სიკეთესა და სარგებლიანობაში.

ამ იგავის ანალოგიით, მასწავლებელმაც ერთგვარ საცერში უნდა გაატაროს თავისი სასწავლო გეგმები და ამოცანები. მაგალითად, ჯერ უნდა დარწმუნდეს, რომ აუცილებელია მოსწავლის განვითარებისთვის (აუცილებლობის საცერი), შემდეგ დარწმუნდეს, რომ მოსწავლეს გამოადგება ეს ცოდნა პრაქტიკული თუ სულიერი საქმიანობისთვის (პრაქტიკულობის საცერი), მომდევნო საცრად კი უნდა იქცეს დრო (რამდენად შესაძლებელია ამის განხორციელება დროის მოცემულ მონაკვეთში). ეს მეტაფორული საცრები მასწავლებელმა ჩვენზე უკეთესად შეიძლება მოიფიქროს და გაამრავალფეროვნოს, მიუსადაგოს საკუთარ თავს. რაც უფრო მეტ „საცერს“ მოიფიქრებს, მით უფრო შეანელებს ტემპს, რათა ყოველივე დინჯად განსაჯოს და პურს, რომელიც ამ „გაცრილი ფქვილისგან“ უნდა გამოაცხოს, სურნელიც, ფორმაც და ნოყიერებაც უკეთესი ჰქონდეს, ისეთი, რომ მოსწავლეს სწავლა მოანდომოს და მართლაც აუცილებელ ყოველდღიურ საზრდოდ ექცეს.

ამერიკელი ელენა აგილერი, განათლების საკითხებზე არაერთი სტატიის ავტორი, თავის წერილებში ხშირად ეხება ამ თემას („როგორ შეიძლება, შენელებამ დიდი ცვლილებები გამოიწვიოს“, „10 რჩევა მასწავლებელს ტემპის შესანელებლად“ და სხვ). მისი აზრით, თუ სასწავლო პროცესს თუ მთლიანად განათლების სისტემას წარმოსახვით, ზემოდან დავხედავთ, როგორც რუკას, რათა გავერკვეთ, რა ხდება, უპირველესად, დავინახავთ ქაოსურ მოძრაობებს, ერთგვარ მორევს, რომელშიც ერთმანეთს ეხეთქება ათასგვარი პროექტი, იდეა, გადაწყვეტილება. პედაგოგებიც ყვინთავენ ამ მორევში, ცდილობენ ნაპირზე გასვლას, სული ეხუთებათ. ამ წარმოსახვით რუკაზე თითქოს ფიზიკურად და სულიერად იშლება მათი არსება. აქ არის შფოთვა, სტრესი, იმედგაცრუება. ელენა აგილერი ამერიკული სკოლების მაგალითზე მსჯელობს და ვხედავთ, რომ ეს საქართველოსთვისაც აქტუალური და მნიშვნელოვანია. მართლაც, ყოველივე ამან შეიძლება დეპრესია და უიმედობა გამოიწვიოს, ამიტომ საჭიროა ტემპის შენელება, მეტი სიმშვიდე, მეტი დროის დათმობა რეფლექსიისთვის, შედეგების ანალიზისთვის. სკოლა არ უნდა დაემსგავსოს სწრაფი კვების ობიექტებს, რომლებიც ადამიანებს არაჯანსაღი საკვებით ანაყრებენ, რადგან მოკლე ხანში მათ ისევ მოშივდებათ.

მასწავლებელმა დრო უნდა გამონახოს და დაინტერესდეს, რას ფიქრობს მოსწავლე მასა თუ სასწავლო პროცესზე. ამ გზითაც უნდა მოიპოვოს მისი ნდობა, რათა მოსწავლემ გულწრფელად გაუზიაროს გასაჭირი, სთხოვოს დახმარება. ეს შესაძლებლობას მისცემს პედაგოგს, გაიაზროს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები.

რასაკვირველია, მასწავლებელმა ისე უნდა გაანაწილოს სასწავლო ამოცანები, რომ ნელა, მშვიდად, აუღელვებლად შეასრულოს ისინი და ამგვარად, მოსწავლეებიც აარიდოს სიჩქარით გამოწვეულ მღელვარებას. აგილერი საზოგადოდ სწავლების ტემპის პარადიგმის შეცვლაზე მსჯელობს. ვფიქრობ, მასწავლებელს გამოადგება მისი გამოცდილება.

პირველი რჩევა: მიზნების შემცირება

მასწავლებელი, რასაკვირველია, განსაზღვრავს მიზნებს როგორც საკუთარი თავისთვის, ისე მოსწავლეებისთვისაც, მაგრამ საჭიროა მკაცრი გადარჩევა, გამოხშირვა. შესაძლოა, მაცდუნებლად გამოიყურებოდეს მიზანთა მრავალფეროვნება, მაგრამ აუცილებელია პრიორიტეტების განსაზღვრა, შედეგების უფრო ნათლად წარმოდგენა; უპირველეს ყოვლისა, იმგვარი ამოცანის შესრულება, რომელიც სასწავლო პროცესს აბრკოლებს.

მეორე რჩევა: კალენდრის შემსუბუქება

კალენდარში ჩანიშნული აქტივობებიდან მხოლოდ აუცილებლის დატოვება. სურვილები შესაძლოა ძალიან მნიშვნელოვანი იყოს, მაგრამ მასწავლებელმა საკუთარი შესაძლებლობების ანალიზისა და გარემოებათა გათვალისწინების გზით თავი უნდა დაირწმუნოს, რომ ყველაფერს ვერ მოასწრებს, ამიტომ რაღაცებზე უარი უნდა თქვას, სამაგიეროდ, მეტი დრო დაიტოვოს თითოეული საქმის ხარისხიანად შესასრულებლად. კალენდარში ბევრი რამის მონიშვნა თავიდანვე გულისხმობს გადარბენას, მიფუჩეჩებას, თავის მოტყუებას.

მესამე რჩევა: კოლეგებთან ურთიერთობა

მასწავლებელმა უნდა გამონახოს დრო კოლეგებთან საურთიერთოდ, მათთვის კითხვების დასასმელად, გამოცდილების გასაზიარებლად. ამ ურთიერთობას შეიძლება ოფიციალური შეხვედრის ფორმა მიეცეს, რომელზეც რომელიმე ერთ საკითხს განიხილავენ, მაგრამ აუცილებელია არაფორმალური შეხვედრებიც. შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს კოლეგისგან ისეთ კითხვებზე პასუხის მიღება, როგორიცაა, მაგალითად, რა მოხდა ბოლო კვირის განმავლობაში გაკვეთილზე ისეთი, რამაც კმაყოფილების განცდა მოჰგვარა? ან რომელი მოსწავლე როგორ შეიცვალა? ან თვითონ მასზე თუ იმოქმედა რომელიმე მოსწავლის ქცევამ და თუ განიცადა რამე ისეთი, რამაც სასწავლო მეთოდისა თუ ხერხის შეცვლისკენ უბიძგა?

მეოთხე რჩევა: ურთიერთობა მოსწავლესა და მშობელთან

მასწავლებელმა დრო უნდა გამონახოს და დაინტერესდეს, რას ფიქრობს მოსწავლე მასა თუ სასწავლო პროცესზე. ამ გზითაც უნდა მოიპოვოს მისი ნდობა, რათა მოსწავლემ გულწრფელად გაუზიაროს გასაჭირი, სთხოვოს დახმარება. ეს შესაძლებლობას მისცემს პედაგოგს, გაიაზროს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები და დაეხმაროს სწავლასთან დაკავშირებული უნარების გაუმჯობესებაში. მოსწავლემ უნდა იგრძნოს კეთილგანწყობა და იფიქროს, რომ მასწავლებელს უხარია მისი წარმატება და აღელვებს მარცხი.

კიდევ ერთი რჩევაა, მასწავლებელმა საკუთარ თავსაც და ე.წ. წვრილმანებსაც დაუთმოს დრო. მაგალითად, წვრილმანად არ უნდა მიიჩნიოს უგუნებობა, მცირე ავადმყოფობა თუ მოშივება; საკუთარ თავს პაუზის, გამოჯანმრთელების, დანაყრების საშუალება უნდა მისცეს. მისი ავადობაცა თუ შიმშილიც პირდაპირ აისახება სწავლების ხარისხზე. მასწავლებლის სიმშვიდე, ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობა, შინაგანი ჰარმონია აუცილებელია იმისთვის, რომ მოსწავლესაც გაუჩნდეს ამგვარივე განცდები და მღელვარების, შფოთვისა და სტრესის, სულიერი ტრავმების გარეშე ისწავლოს.

სიჩქარეს რომ ვნება მოაქვს, ამის საილუსტრაციოდ მსოფლიო ისტორიიდან თუ ლიტერატურიდან არაერთი ისეთი მაგალითი შეიძლება გავიხსენოთ, როდესაც აჩქარებამ, სულსწრაფობამ მარცხი და ტკივილი გამოიწვია. „სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა!“ - ამბობს ბრძენი ავთანდილი, რომელიც სწორედ იმით გვხიბლავს, რომ დინჯად და აწონილ-დაწონილად მოქმედებს. თუმცა ერთხელ მასაც „შეეშალა“, აჩქარდა და ტარიელს ნესტანის მიერ ქაჯეთის ციხიდან გამოგზავნილი რიდის ნაწილი და წერილი აჩვენა. გულანშაროდან ახალი ამბით დაბრუნებულმა ავთანდილმა „მის ამბისა დაყოვნება ვეღარ გაძლო, აუჩქარდა“ და ტარიელს მიახარა. ტარიელს კი სიხარულისგან გული წაუვიდა, კინაღამ მოკვდა („ჩქარად ეცეს, ვერ გაუძლებს გული ლხინსა მეტის-მეტსა“). ავთანდილი მოთქვამს, თავს იდანაშაულებს, რომ „დაზმით“, ე.ი. დინჯად და დაყოვნებით არ შეატყობინა სასოწარკვეთილ მეგობარს სასიხარულო ცნობა:

„მე მოვკალ ჩემი მოყვარე;
რა მმართებს გაწბილებულსა?

თავსა ვაბრალობ საქმესა,
არ დაზმით გაგონებულსა!“

რუსთაველი კი, როგორც ადამიანური ბუნების, სულის სიღრმეთა მცოდნე, დაასკვნის: „გული კაცისა მოსაგვარებლად ძნელია, / ჭირსა და ლხინსა – ორსავე ზედა მართ ვითა ხელია“.

„განუგებლად“, აჩქარებით დაწერა წერილი ბაგრატ კურაპალატმა, როდესაც საბა იშხნელი გრიგოლ ხანძთელის უკითხავად დაიბარა და მერე სანანებელი გაუხდა („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“).

საზოგადოდ, ტემპი კულტურისა და ცივილიზაციის ერთ მთავარ განმასხვავებელ ნიშანსაც ააშკარავებს: ცივილიზაცია გიგანტური ნაბიჯებით ვითარდება, – ამას თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევებიც ცხადყოფს, – ხოლო კულტურას საუკუნეებზე გაწელილი რიტმი აქვს, დროისა და სივრცის მშვენიერებით „ტკბება“ და ადამიანსაც აყოვნებს, რათა მან სამყაროს მრავალფეროვნების გემო და სურნელი შეიგრძნოს, მზერა რამეს ხანგრძლივად ჩამოაყრდნოს, სულს, გულსა და გონებას გარინდების საშუალება მისცეს, საკუთარ სულიერ სიღრმეებში შეიხედოს. „ვინც ჩქარობს, მოუგვიანდესო“, – გვასწავლის ქართული ანდაზა. მასწავლებელმაც უნდა გამოსტაცოს თავი თავბრუდამხვევ რიტმს, რათა „არ მოუგვიანდეს“ და ბევრი რამ, სისწრაფით მიფუჩეჩებული, ხელმეორედ გასაკეთებელი არ გაუხდეს.

მაია მენაბდე

მოსწავლის ხმა

მინდოდა, ამ ინტერვიუსთვის, აი, ასე მარტივად დამერქმია: „მოსწავლის ხმა“, – როგორც მინიშნება გულწრფელ, ობიექტურ, უფროსებისგან გულდასმით ყურდასაგდებ სათქმელზე.

ეკატერინა ტერატურიანი ჩემი მოსწავლეა, მე-11 კლასშია და ყოველთვის აქვს საკუთარი, კარგად ნაფიქრი, აწონილ-დაწონილი შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე. საოცარი პასუხისმგებლობით ეკიდება თითოეულ სიტყვას.

როცა კითხვები გავუგზავნე, თან მივწერე: ეცადე, ისაუბრო საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, მაგრამ გაითვალისწინე შენი თანატოლების გამოცდილებაც, რასაც ხედავ გარშემო, რაც გესმის.

სასწავლო პროცესში აუცილებლად უნდა შეიცვალოს ნიშნების მიმართ დამოკიდებულება. არ მესმის იმ მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების, რომლებსაც სწავლის ურთულესი და მრავალშრიანი პროცესი ბანალურ ნიშნის მიღებამდე დაჰყავთ.

თუ გსმენია, წაგიკითხავს, გინახავს, როგორია მოსწავლეების ცხოვრება სხვა ქვეყნებში? თუ კი, რით განსხვავდება შენი მოსწავლეობრივი რუტინა მათი ყოველდღიურობისგან?

– ძალიან მიყვარს სხვა ქვეყნების მოსწავლეების შესახებ მეტის გაგება, ჩემი ყოველდღიურობის მათთან შედარება. აქ რამდენიმე მაგალითს მოვიყვან, რომლებმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

იაპონიაში მოსწავლეები სკოლაში შესვლისას ქუჩის ფეხსაცმელს თავიანთ კარადებში ტოვებენ, შენობაში კი მოხერხებული ფლოსტებით დაიარებიან. გაკვეთილების შემდეგ დიდიან-პატარიანად, თავად ალაგებენ და ასუფთავებენ საკლასო ოთახებს და მთელ შენობას. რაც მთავარია, ამას მათ არავინ ავალდებულებს, უბრალოდ, იციან, თუკი თავად არ დაალაგებენ საკუთარ სივრცეს, მათ მაგიერ ამას არავინ გააკეთებს, რადგან სკოლაში არ ჰყავთ დამლაგებლები. ასე იაპონელი ბავშვები მცირე ასაკიდანვე ეჩვევიან გარემოზე ზრუნვას, თვითმომსახურებასა და პასუხისმგებლობას. ნამდვილად ხომ მხოლოდ ის გარემო გიყვარს, რომელზეც თავად ზრუნავ, რომელსაც თავად ალამაზებ, აუმჯობესებ და მხოლოდ ასეთი სასურველი და საყვარელი სივრცე შეიძლება გახდეს შენი მეორე სახლი. ჩემს სკოლაში კი, სამწუხაროდ, ისეთი მოსწავლეებიც მინახავს, საკუთარი მერხის გასწორებაზეც პროტესტის გრძნობა რომ უჩნდებათ. ჩემთვის სკოლა არასოდეს ყოფილა მეორე სახლი.

ესტონეთში უფროსკლასელთა გიმნაზიაში ზარი არ ირეკება - მოსწავლეები თავად წყვეტენ, რამდენ ხანს გაგრძელდეს გაკვეთილი; საგნების უმრავლესობას თავად ირჩევენ (არაერთხელ მიოცნებია ამაზე!), რადგან უმეტესობას სკოლაშივე აქვს გადაწყვეტილი, მომავალში რა საქმეს გაჰყვება.

ევროპის ქვეყნების სკოლების უმეტესობაში გამოცდების შედეგები კლასში არ ცხადდება, რადგან ეს პირად ინფორმაციად ითვლება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეებისთვის ჯანსაღი თვითშეფასების უნარის ჩანერგვას.

მომწონს ასეთი მიდგომაც – ზოგ სკოლაში მოსწავლეებს არ აძლევენ საშინაო დავალებებს, უფრო სწორად, ისინი მათ გაკვეთილების შემდეგ სკოლაშივე, სპეციალურად განკუთვნილ სივრცეში, ერთად ასრულებენ. საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთსაც ეხმარებიან ახალი საკითხის უკეთ გაგებასა და განმტკიცებაში. ძალიან მინდა, ჩემს სკოლაშიც არსებობდეს მსგავსი სივრცე, რომელიც ყველა საჭირო ხელსაწყოთი და სამუშაო მასალით იქნება აღჭურვილი და სადაც თავისუფლად შევძლებთ ჯგუფური თუ პერსონალური დავალების შესრულებას. იმიტომ, რომ არსებობს ათასი ფაქტორი, რომლებმაც შეიძლება შინ

დავალების შესრულებაში ხელი შეუშალოს მოსწავლეს. მაგალითად, საკუთარი სამუშაო სივრცის უქონლობა, საჭირო მასალის სიმცირე, სტრესული გარემო ან თუნდაც რემონტი მეზობლებთან.

შენი აზრით, არის თუ არა აუცილებლად შესაცვლელი რამე სწავლა-სწავლების პროცესში?

– ჩემი აზრით, სასწავლო პროცესში აუცილებლად უნდა შეიცვალოს ნიშნების მიმართ დამოკიდებულება. არ მესმის იმ მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების, რომლებსაც სწავლის ურთულესი და მრავალშრიანი პროცესი ბანალურ ნიშნის მიღებამდე დაჰყავთ. ჩემი თანატოლების არცთუ მცირე ნაწილი მხოლოდ იმისთვის სწავლობს, რომ ცუდი ნიშანი არ მიიღოს ან უკვე მიღებული გამოასწოროს. ეს გარე მოტივაციაა და ამიტომ მასზე დაფუძნებულ სწავლას არავითარი შედეგი არ აქვს. ხშირად მოსწავლეებს ნიშნებისადმი ამ არაჯანსაღ დამოკიდებულებას თავიანთი ქმედებებით უფროსები უნერგავენ. რამდენჯერ გამიგონია მასწავლებლებისგან ასეთი მუქარა: „იცოდე, ორიანს დაგიწერ!“ ისეთ მშობლებსაც ვიცნობ, შვილებს ცუდი ნიშნების გამო რომ სჯიან ან სასწავლო წლის დასასრულისთვის ნიშნის გამოსწორების შემთხვევაში საჩუქარს ჰპირდებიან.

ნიშნები კლასში იარლიყის მიკერებისა და ე. წ. კლანებად დაყოფის საფუძვლად გადაიქცევა ხოლმე – ყველა კლასში არიან „ათოსნებიც“ (ამ სიტყვას, რა უცნაურიც უნდა იყოს, ჩემი თანატოლები დამამცირებელი მნიშვნელობითაც იყენებენ), „შვიდოსან-რვაოსნებიც“ და „გამოუსწორებელი ოროსნებიც“, რომლებმაც ისე შეიფერეს თავიანთი სტატუსი, რომ აღარც კი ცდილობენ რამის შეცვლას. უნდა გავიაზროთ, რომ შეფასება, ნიშანი მხოლოდ დამხმარე ინსტრუმენტია სწავლის პროცესში, ის არ უნდა გადაიქცეს მიზნად ან მანიპულაციის საშუალებად, გადაულახავ ზღუდედ არ უნდა აღიმართოს მოსწავლესა და სწავლას შორის. ჩემი აზრით, შეუძლებელია, ადამიანის ცოდნა, შესაძლებლობები, უნარ-ჩვევები და პიროვნული თვისებები ნიშნით შეაფასო, არ აქვს მნიშვნელობა, ხუთქულიან სისტემაზეა საუბარი, ათქულიანზე თუ ასქულიანზე.

შენ ბევრს კითხულობ და ნამდვილად ხარ გოგონა, რომელსაც ძლიერ უყვარს ლიტერატურა. გამუდმებით გვესმის, რომ ძნელია, კითხვა შეაყვარო ბავშვს (მეც ვეთანხმები). შენ როგორ და რატომ შეგიყვარდა კითხვა?

– ვერ ვიტყვი, რომ ძალიან ბევრს ვკითხულობ, ლიტერატურა კი ნამდვილად მიყვარს. ეს, რა თქმა უნდა, ერთბაშად არ მომხდარა. ჩემს ოჯახში იყო და არის კითხვის ტრადიცია და იმ ფაქტმა, რომ კითხვის მოყვარულ ადამიანთა წრეში ვიზრდებოდი, უთუოდ მოახდინა გარკვეული გავლენა ჩემზე. აღფრთოვანებული ვუსმენდი ჩემს ძმას, რომელიც ყოველთვის დიდი შთაგონებითა და გატაცებით მიყვებოდა თავის საყვარელ წიგნებზე, მშურდა კიდეც მისი და მიკვირდა, როგორ ახერხებდა ამოდენა ნაწარმოებების კითხვას, მაგრამ, რა უცნაურიც უნდა იყოს, 9 თუ 10 წლის ასაკამდე დამოუკიდებლად კითხვის სურვილი საერთოდ არ გამჩენია. რაღაცებს, რა თქმა უნდა, ვკითხულობდი მასწავლებლებისა თუ ახლობლების დავალებით, მაგრამ ამას სიყვარული არ ერქვა.

ერთხელ „პატარა უფლისწული“ ჩამივარდა ხელში, უფრო სწორად, მას ყოველდღე ვხედავდი წიგნების თაროზე და ერთ საღამოს მისი წაკითხვის სურვილიც გამიჩნდა. სავარაუდოდ, ნაწარმოების მცირე მოცულობამ და ილუსტრაციებმა მომხიბლა. წიგნის პირისპირ მდუმარებაში დარჩენისას საკუთარ თავთანაც მარტო დავრჩი. მახსოვს, დასასრულს ცხარე ცრემლებით ვტიროდი და ასე მეგონა, მთელი სამყაროს ტკივილს განვიცდიდი. ახლა ანტუან დე სენტ ეგზიუპერი ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ავტორია, ხოლო ღამის მოწმენდილ ცას რომ ვუყურებ, ყველა ვარსკვლავი იცინის ჩემთვის.

მაგრამ ამ საოცარმა აღმოჩენამაც ვერ გამხადა აქტიური მკითხველი. მეშვიდე კლასში რომ გადავედი, ახალმა დამრიგებელმა, რომელიც წიგნის სიყვარულით გულანთებული უსაყვარლესი ადამიანია, მოსწავლეებს შემოგვთავაზა, ერთად წაგვეკითხა რეი ბრედბერის „451 გრადუსი ფარენჰეიტით“ და ეს უფრო კლასგარეშე საკითხავი იყო, ვიდრე საშინაო დავალება. საკუთარი წიგნიც გვათხოვა. ორი კვირის შემდეგ შთაბეჭდილებები გავუზიარეთ ერთმანეთს. ეს სრულიად ახალი გამოცდილება იყო ჩემთვის, რომელმაც, ვფიქრობ, ძალიან დამაახლოვა წიგნების სამყა-

როსთან. ზაფხულის არდადეგებზე „ბაბუაწვერას ღვინოც“ დავაგემოვნე. მისი წყალობით სამუდამოდ შემიყვარდა ბრედბერი და კითხვაც უფრო აქტიურად დავიწყე.

მერე გაგიცანით თქვენ, გავხდი „მკითხველთა და კრიტიკოსთა კლუბის“ წევრი და მისი დახმარებით – საჯარო ბიბლიოთეკის

„კითხვის საფუძველი ხომ ისეთივე უცნაურია, როგორიც არსებობის“ (და ეს მე კი არა, დანიელ პენაკმა თქვა).

შენი აზრით, რამდენად სწორად ისწავლება ქართული თუ უცხოური ლიტერატურა სკოლაში? (გაითვალისწინე შენი იმ თანატოლების გამოცდილებაც, რომლებსაც სხვადასხვა მასწავლებელი ასწავლის)

– წინა კითხვაზე ჩემი პასუხიდან გამოდის, თითქოს სკოლის პროგრამაში შეტანილ ნაწარმოებებს არავითარი წვლილი არ მიუძღვით ჩემს მკითხველურ განვითარებაში. მთლად ასეც არ არის. მახსოვს, მეოთხე თუ მეხუთე კლასში ძლიერ განვიცდიდი შვლის ნუკრის ამბავს, მერე კი საკუთარი ნებით ზეპირად ვისწავლე ვაჟას „საახალწლო ფიქრები“. დიდი აღმოჩენა იყო ჩემთვის ნიკო ლორთქიფანიძის „საშობაო მინიატურები“. ნოდარ დუმბაძეც კი სკოლაში ნასწავლი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონითა“ და „კორიდით“ შემიყვარდა. ჰაგიოგრაფიითა და ძველი ქართულით სავსე რთულმა მეათე კლასმაც, ვფიქრობ, ბევრი შემმატა

ხშირი სტუმარი. ჩემი, როგორც მკითხველის, ისტორია მხოლოდ ახლა იწყება.

რატომ შემიყვარდა კითხვა, ძნელი სათქმელია. იქნებ იმიტომ, რომ წიგნის სიყვარული მარტოობის სიყვარულსაც გულისხმობს, იმიტომ, რომ მეგობარი აღმოვაჩინე მასში, ან იმიტომ, რომ წიგნის სიყვარულს ძვირფასი ადამიანების სიყვარულთან ვაკავშირებ. შეიძლება კი რამის გამო სიყვარული?!

როგორც მკითხველს. მაგრამ მაინც ვერ ვხვდები, რა საჭირო იყო ისეთი უმნიშვნელოვანესი და ურთულესი ტექსტების, როგორებიცაა „შუშანიკის წამება“, „აბოს წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „სიბრძნე სიცრუისა“ და „ვეფხისტყაოსნი“, ერთ კლასში შესწავლა, იმის გათვალისწინებით, რომ „დავითიანისთვის“, ონლაინსწავლების გამო, დრო არ გვეყო. და ეს კითხვა, ვიცი, მარტო მე არ გამჩენია. ქრონოლოგია, ჩემი

სუბიექტური აზრით, აქ მეორეხარისხოვანია – ნაწარმოების სწავლისას მთავარი ხომ მისი არსის წვდომაა, თანამედროვეობასთან პარალელების გავლება, გააზრება იმისა, რატომ არის საუკუნეების წინ დაწერილი ნაწარმოები დღესაც ფასეული და აქტუალური და არა იმის დამახსოვრება, რა რის მერე დაიწერა. ვფიქრობ, თავისუფლად შეიძლებოდა ზემოხსენებული ნაწარმოებების სხვადასხვა კლასში გადანაწილება, თანამედროვე, მაგრამ იმავე თემაზე შექმნილ ნაწარმოებებთან ერთად სწავლება.

ყველა მასწავლებელს ლიტერატურის სწავლების საკუთარი მეთოდი აქვს და არც ერთი არ არის ერთმნიშვნელოვნად ცუდი ან კარგი, მაგრამ ვიცნობ მასწავლებლებს, რომლებისთვისაც ჟურნალის მიხედვით დაფასთან გამოძახება („დაჯექი, ორიანი!") და ყოველ გაკვეთილზე ერთნაირი, მოსაწყენი დავალებების მიცემა ჩვეულებრივი რამ არის და რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ ჩვენ, მოსწავლეები, „ყველაზე უწიგნური თაობა" ვართ. ასეთ პედაგოგს კლასი, როგორც წესი, ვერ ეგუება და თავად მასწავლებელიც ნეგატიურად განეწყობა კლასის მიმართ. ჩემი მეგობარი, რომელიც ძალიან მონდომებული მოსწავლეა, წლებია, მსგავს სიტუაციაში სწავლობს. მისი მაღალი აკადემიური მოსწრება მხოლოდ პასუხისმგებლობის გრძნობითა და შინაგანი მოტივაციითაა განპირობებული, რადგან თავადაც არაერთხელ უთქვამს, რომ ტექსტების დაზუთხვა და ერთფეროვანი თემების წერა ძალიან მოსაბეზრებელია.

შენი აზრით, როგორ უნდა ისწავლებოდეს ლიტერატურა, რომ სწავლაზე გულაცრუებული მოსწავლისთვისაც საინტერესო გახდეს?

– სადღაც წავიკითხე ასეთი ფრაზა: სკოლა შეუმდგარ ფილოლოგებს კი არ უნდა უშვებდეს საზოგადოებაში, არამედ მკითხველებს, წიგნის მოყვარულ ადამიანებსო. შემდეგი სიტყვები კი დანიელ პენაკს ეკუთვნის: „სკოლის ფუნქცია თითქოს მხოლოდ კითხვის ტექნიკის შესწავლაა, მხოლოდ ტექსტის გარჩევაში დახელოვნება და, რაც მთავარია, კითხვისგან მინიჭებული სიამოვნების აკრძალვით წიგნისკენ მიმავალი ყველა გზის ერთხელ და სამუდამოდ ჩაკეტვა". მეც არაერთხელ მიფიქრია ამაზე – მასწავლებლები მხატვრული ანალიზების, თემებისა და ესეების წერას ავალებენ ბავშვებს, რომლებიც წიგნთან დამეგობრებულები არ არიან. ამ დავალებების წყალობით კითხვა მათთვის მოსაწყენ ვალდებულებად, ტანჯვად იქცევა.

როგორ შევაყვაროთ ბავშვს წიგნი? თავდაპირველად, ჩემი აზრით, მას კითხვის სიამოვნება უნდა ვაგრძნობინოთ. კითხვა თავგადასავლის სახით უნდა შემოიჭრას მოსწავლის ცხოვრებაში. ჯერ უნდა იყოს კითხვა-გართობა, კითხვა-დასვენება, კითხვა-სიამოვნება, მერე მოვა კითხვა-სიყვარულიც. როდესაც წიგნის სიყვარულით გულანთებულ ადამიანებს ვხედავ, მეც მიჩნდება წიგნებისადმი ინტერესი.

აი, რას წერს დანიელ პენაკი თავის წიგნში „რომანივით საკითხავი":

„მთავარი და უცვლელი პირობა წიგნთან შესარიგებლად: არაფერი მოითხოვოთ კითხვის საანაცვლოდ. სრულიად არაფერი. არ ააშენოთ მასა და წიგნს შორის წინასიტყვაობის კედელი, არ დასვათ არანაირი შეკითხვა, არ მისცეთ დავალებები, არ დაუწყოთ ახსნა-განმარტებები, შეეშვით ლიტერატურულ ფასეულობებსა და ლექსიკის თავისებურებებზე ლაპარაკს. არ არის საჭირო არც ტექსტის ანალიზი და არც ბიოგრაფიული ცნობები... საერთოდ, დაივიწყეთ „წაკითხულის შესახებ" საუბარი.

კითხვა საჩუქარი უნდა იყოს".

„მათ წიგნებთან რომ შეარიგებთ, ისინი უკვე თავიანთი ნებით გაივლიან გზას წიგნიდან ავტორისკენ, ავტორიდან ეპოქისკენ, წაკითხული ამბიდან მის მრავლისმთქმელ სიმბოლიკამდე".

რა თქმა უნდა, ეს მეთოდი ყველა მოსწავლისთვის არ გამოდგება. მე, საერთოდ, მგონია, რომ თითოეულ ადამიანს წიგნამდე მისასვლელი საკუთარი გზა აქვს, შეცდომებითა და წინააღმდეგობებით სავსე. იქნებიან ისეთებიც, წიგნის კითხვაზე, უფროსების ყველა მცდელობის მიუხედავად, უარს რომ იტყვიან. ეს უკვე მათი არჩევანი იქნება. ისევ და ისევ დანიელ პენაკისა არ იყოს, „შეიძლება, ადამიანმა წიგნი უარყოს; მთავარია, არ ეგონოს, რომ იგი წიგნმა უარყო".

შენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლება ბავშვისთვის, რას აძლევს მას?

მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობას გულახდილობა და ურთიერთპატივისცემა აადვილებს. მხარეებს უნდა ჰქონდეთ ერთმანეთის გაგების სურვილი. ბავშვები მცირე სიყალბესაც ამჩნევენ და ძალიან არ უყვართ, როცა უფროსები მათ თავიანთი გამოცდილების სიმაღლიდან უყურებენ.

– არაფორმალურ სწავლებას დიდი ადგილი უკავია ჩემს ცხოვრებაში. ბოლო ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ვყოფილვარ არაერთი სპორტული თუ ხელოვნებასთან დაკავშირებული წრის წევრი (რისთვისაც დიდი მადლობა ჩემს მშობლებს, რომლებიც ყოველთვის პატივს სცემდნენ ჩემს ინტერესებს და ახირებებს). ამჟამად ვარ თქვენ მიერ, მაია მასწ (ვითომ თავად არ იცით), დაარსებული საოცარი საზოგადოების, „მკითხველთა და კრიტიკოსთა კლუბის“ წევრი. აქ თანატოლებთან ერთად ვკითხულობ წიგნებს, ვუყურებ ფილმებს, ვმსჯელობთ, ვაკრიტიკებთ და ბევრ საინტერესო საქმეს ვაკეთებთ. ჩემს ორი წლის წინანდელ დღიურში ასეთ ჩანაწერს წავაწყდი: „კლუბი მაძლევს ყველაფერ იმას, რასაც ვერ მაძლევს სკოლა. ესაა დიდი თავისუფალი სივრცე ფიქრისა და განვითარებისთვის, საინტერესო, განსხვავებული და ხელოვნების სიყვარულით გაერთიანებული ადამიანების გაცნობის შესაძლებლობა, საკუთარი აზრის გაზიარების უფლება იმ გარანტიით, რომ მოგისმენენ და საკუთარ გამოცდილებასაც გაგიზიარებენ. კლუბი არის ადგილი, სადაც მე ვარ ის, ვინც ვარ. ყოველ პარასკევს მოუთმენლად ველი, იმიტომ, რომ ვიცი, არც ერთი ჩვენი შეხვედრა არ ჰგავს მეორეს. სკოლასთან შედარებით აქ დროც ძალიან სწრაფად გარბის, რადგან სულ საყვარელი და საინტერესო საქმით ვართ დაკავებულნი“.

ვფიქრობ, ეს ემოციური ჩანაწერი საკმაოდ ზუსტად ასახავს, რა მნიშვნელოვანი როლი აკისრია არაფორმალურ განათლებას მოსწავლის ცხოვრებაში. დავამატებ იმას, რომ მსგავსი სწავლება ბავშვს ისეთი საჭირო უნარების შეძენა-განმტკიცებაში უწყობს ხელს, როგორებიცაა ჯგუფში მუშაობა, დებატებში მონაწილეობა, შემოქმედებითობა და სხვა. ჩემი აზრით, სკოლა უფრო არაფორმალური უნდა გახდეს.

ხშირად გიგრძნია მასწავლებლებისგან თანამშრომლობითი დამოკიდებულება? შენი აზრით, საჭიროა თუ არა ასეთი ურთიერთობა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის?

– ვერ ვიტყვი, რომ ხშირად და ალბათ ამის გამო თავად ვცდილობ, დავიკავო გარკვეული დისტანცია მასწავლებლებთან, თუმცა ვფიქრობ, რომ ასეთი დამოკიდებულება საჭიროა. გული სიხარულით მევსება, როცა ვგრძნობ, რომ მასწავლებელი მექცევა, როგორც თანასწორ, ჩამოყალიბებულ პიროვნებას და არა როგორც უბრალოდ მოსწავლეს.

როგორ ფიქრობ, რა აადვილებს მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობას?

– მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობას, ჩემი აზრით, გულახდილობა და ურთიერთპატივისცემა აადვილებს. მხარეებს უნდა ჰქონდეთ ერთმანეთის გაგების სურვილი. ბავშვები მცირე სიყალბესაც ამჩნევენ და ძალიან არ უყვართ, როცა უფროსები მათ თავიანთი გამოცდილების სიმაღლიდან უყურებენ. მასწავლებელი, ჩემი აზრით, ზოგად ცოდნასთან ერთად თავის ცოდნასაც უნდა ჩუქნიდეს მოსწავლეებს, ანუ იმას, რასაც თავად მიაკვლია და რაც თავად განიცადა ცხოვრებაში.

ხშირად მგონია, რომ მე მასწავლებელი კი არა, მგზავრი ვარ, დროებით რომელიღაც კლასში შეჩერებული (იმ შეგრძნებით, დაღლილი მოგზაური პატარა დაბის მყუდრო სადგურს რომ წააწყდება და ჩამოისვენებს მატარებლის მოლოდინში), ჩემი მოვალეობა მოსწავლეების ყურადღებით მოსმენა და მერე, მათივე სურვილით, დახმარებაა. მინდოდა, თქვენამდეც მომეტანა ერთის პირით თქმული, დარწმუნებული ვარ, ბევრის სათქმელი. სტილიც დაცულია, ფორმაც, ღმერთი, რჯული – არაფერი მიკარნახია. არც გამოცდილი ინტერვიუერი ვარ, არც ილიაობას ვეპოტინები, მაგრამ „ჩემი ცდა მარტო იმაშია, რომ იმის აზრისათვის იმისივე ფერი შემერჩინა და იმის სიტყვისათვის – იმისივე კილო. თუ ეს შევასრულე, ჩემი განზრახვაც შემისრულებია“.

მაია ფირჩხაძე

ზოგიერთი პედაგოგიკური მიდგომა მოსწავლეთა ანალიტიკური აზროვნების განვითარებისთვის

ყველა ადამიანს ანალიტიკური აზროვნების უნარის განვითარების საკუთარი გზა აქვს, ამიტომ ანალიტიკურ მოაზროვნედ, „ანალიტიკოსად“ ჩამოყალიბება ინდივიდუალური პროცესის შედეგია. ანალიტიკური აზროვნება მაშინ იჩენს თავს, როდესაც მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია და ისინი ახდენენ მის ანალიზს, შეფასებას, ინტერპრეტირებას და სინთეზს, იყენებენ შემოქმედებით აზროვნებას არგუმენტის ჩამოსაყალიბებლად, პრობლემის გადასაჭრელად და დასკვნების გამოსატანად. ამ დროს მოსწავლეს შესაძლოა მოეჩვენოს, რომ „ცოდნა თავად შეიძინა და აზროვნებაც თავად განივითარა“, თუმცა უმნიშვნელოვანესი როლი აქ შეასრულა მასწავლებელმა, მისმა ჩართულობამ და საქმის მიმართ დამოკიდებულებამ, რადგან ინფორმაციის მიწოდებით „უბიძგა“ მოსწავლეს ანალიზისკენ, შეფასებისკენ, ინტერპრეტირებისა და სინთეზისკენ, არგუმენტის ჩამოსაყალიბებლად შემოქმედებითი აზროვნების გამოყენებისკენ.

საზოგადოდ, ანალიტიკური აზროვნების უნარ-ჩვევები მიიჩნევა გამჭოლ უნარებად, რომლებიც ყველა საგნობრივ სფეროში შეიძლება იქნეს გამოყენებული. ისინი მეტად ეხმარება მასწავლებელს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაში, ცნებებით სწავლებაში და საგნობრივი სტანდარტების თემატური ერთეულების ათვისებაში. მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლეებში ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება მასწავლებლის მხრიდან ითხოვს მთელ რიგ განსხვავებულ მიდგომებს და სწავლა-სწავლების სტრატეგიების გამოყენებას. მიზანია ინფორმაციის დამუშავებისა და გამოცდილების საშუალებით სწავლის ხელშეწყობა და არა მხოლოდ ინფორმაციისა და ფაქტების დამახსოვრებით შემოფარგვლა. ამ მიმართულებით მოსწავლეებში ანალიტიკური აზროვნების განვითარებისთვის მასწავლებლები უმთავრესად ორ მიდგომას იყენებენ:

I. **მარტივი მიდგომა – ეს არის სწავლის ინდივიდუალური შედეგების განსაზღვრა.** ამისთვის შეგვიძლია მოსწავლეებს შევთავაზოთ:

- დავალების შესრულებისას, გადაწყვეტილების მიღებამდე, განსაზღვრონ საკუთარი არჩევანის პრიორიტეტულობა;
- სწავლის შედეგები დაყონ ოპერაციებად, რომლებიც ექვემდებარება სწავლებას/სწავლას (მაგალითად, შეადგინონ იდეების ჩამონათვალი, შეარჩიონ იდეები, დაახარისხონ შერჩეული იდეები, შერჩეული იდეები გაამყარონ არგუმენტებით და დაუკავშირონ ისინი საკუთარ გადაწყვეტილებას).

როგორ შეიძლება მოცემული მიდგომის პრაქტიკული განხორციელება? აღსანიშნავია, რომ იმ უამრავი ტიპის დავალებებსა და სავარჯიშოებს შორის, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ სწავლის ინდივიდუალური შედეგები და შევაფასოთ მოსწავლეთა ანალიტიკური აზროვნების დონე, პროექტული ხასიათის დავა-

ანალიტიკური აზროვნება მაშინ იჩენს თავს, როდესაც მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია და ისინი ახდენენ მის ანალიზს, შეფასებას, ინტერპრეტირებას და სინთეზს, იყენებენ შემოქმედებით აზროვნებას არგუმენტის ჩამოსაყალიბებლად, პრობლემის გადასაჭრელად და დასკვნების გამოსატანად.

ლებები ყველაზე მოხერხებულია. **მოვიყვანოთ მაგალითი სამოქალაქო განათლების სწავლების ბლოკიდან,** კერძოდ, პროექტი „მოქალაქე", რომელიც ფართოდ გამოიყენება მრავალ ქვეყანაში სამოქალაქო განათლების კონტექსტში და მეტად უწყობს ხელს მოსწავლეთა კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების მთელი რიგი ელემენტების განვითარებას.

აქტივობის მიხედვით, მოსწავლემ უნდა წარმოიდგინოს ის პრობლემური საკითხები, რომელთა გადაჭრაც შესაძლებელია ადგილობრივ დონეზე გატარებული საჯარო პოლიტიკის საშუალებით, მაგრამ ამისთვის მას სჭირდება რამდენიმე სააზროვნო ოპერაციის ჩატარება:

- გაიაზროს საჯარო პოლიტიკის არსი და შეადგინოს იმ საკითხების ჩამონათვალი, რომლებიც გავლენას ახდენს ადგილობრივ საზოგადოებაზე;
- შეარჩიოს საზოგადოებაზე გავლენის მქონე ერთ-ერთი საკითხი, რომლის მოგვარებაც შესაძლებელია ადგილობრივი საჯარო პოლიტიკის საფუძვლიანი შესწავლით;
- შერჩეული საკითხის შესახებ შეაგროვოს ინფორმაცია სხვადასხვა წყაროდან (მაგალითად, სათანადო პასუხისმგებლობის მქონე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, იმ მოქალაქეებისგან, რომლებზეც ზემოქმედებს აღნიშნული საკითხი, სამოქალაქო საზოგადოების დაინტერესებული პირებისგან, ინტერნეტის გამოყენებით და სხვ);.
- დაახარისხოს მოპოვებული ინფორმაცია და გააანალიზოს პრობლემის მოგვარების შესაძლო გზები;
- აირჩიოს აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო გზა და დასახოს მოქმედების გეგმა, რომელიც პრობლემის მოგვარებას ემსახურება;
- მოამზადოს პრეზენტაცია, რომელშიც:
  - მოცემული იქნება საკითხის აღწერილობა და იმის განმარტება, რატომ არის ამ საკითხის მოგვარება მნიშვნელოვანი და ვინ არის პასუხისმგებელი მის მოგვარებაზე;
  - წარმოდგენილი იქნება საკითხის გადაჭრის რამდენიმე შესაძლო გზის ანალიზი (რომლითაც გამოიკვეთება საკითხის გადაჭრის დადებითი და უარყოფითი შედეგები);
  - შემოთავაზებული იქნება საჯარო პოლიტიკის, მისი შესაძლო შედეგების, მის გატარებასთან დაკავშირებული ხარჯების აღწერილობა;
  - იქნება დასკვნა, თუ რამდენად ესადაგება მოცემული საკითხი და მისი გადაწყვეტის გზა ადამიანის უფლებებს;
  - წარმოდგენილი იქნება ისეთი გეგმა, რომელიც განსაზღვრავს, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ მოქალაქეებს იმისთვის, რომ დაარწმუნონ შესაბამისი პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლების წარმომადგენლები შეთავაზებული საჯარო პოლიტიკის გატარების მნიშვნელობაში;
  - შევხვდებით აღწერილობას, თუ როგორ უნდა მოხდეს მიღებული შედეგების პრეზენტაცია მოსწავლეების მიერ ორგანიზებული ადგილობრივი შეხვედრის ან უფრო ფართო საჯარო ღონისძიების ფარგლებში;
  - იქნება დასკვნა, თუ რა ღირებულებები შეიძინეს მოსწავლეებმა, როგორი დამოკიდებულებები ჩამოუყალიბდათ, შეძლეს თუ არა საკითხის კრიტიკული გააზრება და გაცნობიერება;

  და სხვ.

პროექტზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე მოსწავლეებს მოუწევთ მცირერიცხოვან ჯგუფებში მუშაობა, საზოგადოების წარმომადგენლებთან სხვადასხვა გზითა და საშუალებით ურთიერ-

თობა, სხვა პირებთან კომუნიკაცია და მათთვის ინფორმაციის მიწოდება თავიანთი დასკვნების შესახებ, მათთვის საკუთარი წინადადებების გაცნობა, პროცესების ერთობლივი მართვა. შესაბამისად, კონკრეტული პროექტი და ამ ტიპის დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეთა ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

II. შედარებით რთული მიდგომაა, როდესაც მოსწავლეს ვთავაზობთ, გაამახვილოს ყურადღება:

- სხვადასხვა მასალის დახარისხებაზე; მასალაში მოცემული შინაარსის აღქმასა და იმ მოსაზრებების კვლევაზე, რომლებიც საფუძვლად უდევს ინფორმაციას; მათთვის მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტესა და იმ წინაპირობებისა და ვარაუდების შეფასებაზე, რომლებსაც ეფუძნება მოცემული მასალა; კონკრეტული კითხვების დასმაზე, ეჭვის გამოთქმაზე ან მინიშნებების გამოყენებაზე; სხვადასხვა ნაბეჭდი, ვიზუალური, აუდიო- თუ ციფრული მასალის შერჩევაზე; ინფორმაციის კრიტიკულად შეფასებასა და საკუთარი შედეგის შეფასებაზე.

მოვიყვანოთ მაგალითები ისტორიის სწავლების კურსიდან:

- **სხვადასხვა მასალის დახარისხებაზე ყურადღების გამახვილება** – როდესაც მოსწავლეები ახარისხებენ უძველეს ტექსტებს საწერი მასალის ან შინაარსის მიხედვით (თიხის ფირფიტა, პაპირუსი, ქაღალდი... სამეურნეო-ეკონომიკური ხასიათის ტექსტები, დიპლომატიური შინაარსის წერილები, მემუარები...);
- **მასალაში მოცემული შინაარსისა და კვლევის იმ მოსაზრებების აღქმა, რომლებიც საფუძვლად უდევს ინფორმაციას** – მაგალითად, მოსწავლეები მსჯელობენ, რამდენად შესაძლებელია, პირამიდების ტექსტებში მოიპოვებოდეს ინფორმაცია ბაბილონის დაკიდებული ბაღების შესახებ; შესაძლოა თუ არა, ალექსანდრე მაკედონელს ელაშქრა ქართლში და ეს არ ასახულიყო მის ბიოგრაფიაში; რატომ უნდა დაეწერა პროკოპი კესარიელს „საიდუმლო ისტორია“ და ა.შ.;
- **მათთვის მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტესა და იმ წინაპირობებისა და ვარაუდების შეფასებაზე მსჯელობა, რომლებსაც ეფუძნება მოცემული მასალა** – მაგალითად, განიხილავენ ინფორმაციას ბერძენ-სპარსელთა ომში მე-18 და მე-19 სატრაპიების მონაწილეობაზე, ანუ რამდენად შეიძლებოდა ამ ომის მონაწილენი ყოფილიყვნენ იბერიელი და კოლხი მეომრები; ან განიხილავენ იულიუს კეისრის მოგონებას ჩრდილოეთ ევროპაში ლაშქრობისას გერმანულ ტომებთან საომარი შეტაკების შესაძლო მართებულობაზე; ან მსჯელობენ ქსენოფონტეს ჩანაწერებზე სპარსეთის იმპერიაში მიმდინარე პოლიტიკური ამბების შესახებ და სხვ.;
- **კითხვების დასმა, ეჭვის გამოთქმა ან მინიშნებების გამოყენება** – მაგალითად, სვამენ კითხვებს იმ ისტორიული ვითარების შესახებ, რომელშიც მიმდინარეობს წყაროში/ნარატივში აღწერილი მოვლენები; ან ეჭვს/ვარაუდს გამოთქვამენ ნაშრომის შესრულების შესაძლო გარემოებებზე; ან პოულობენ მინიშნებას, როდის, სად და ვის მიერ უნდა იყოს დაწერილი ინფორმაცია;
- **სხვადასხვა ნაბეჭდი, ვიზუალური, აუდიო- თუ ციფრული მასალის შერჩევა** – მაგალითად, როდესაც ინფორმაცია ეხება შუა საუკუნეებს, განსაზღვრონ, როგორ გერბებს ან დროშებს იყენებდნენ და სწორად შეუსაბამონ ისინი რეალურ ისტორიულ გარემოს; შეარჩიონ იმდროინდელი მანუსკრიპტის სტილი, ილუსტრაცია, პორტრეტი, წერილი, ჩანაწერი, დღიური და ა.შ.;
- **ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება** – ამ დროს მოსწავლეები დაიყოფიან ჯგუფებად

გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლეებში ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება მასწავლებლის მხრიდან ითხოვს მთელ რიგ განსხვავებულ მიდგომებს და სწავლა-სწავლების სტრატეგიების გამოყენებას.

- გადაწყვიტა თუ არა პრობლემური და შემეცნებითი ხასიათის ამოცანები;
- გამოამჟღავნა თუ არა სახელმძღვანელოსა და დამატებით მასალაზე მუშაობის უნარი (ანალიზი, არგუმენტირება, გრაფიკული მახასიათებლების, ტექსტური და სხვა სახის ინფორმაციის შედგენა/წარმოდგენა);
- შეძლო თუ არა საკუთარი საქმიანობის კონტროლი, სწორად შესრულებული დავალების შეფასება, გეგმის მიხედვით საქმიანობა;
- შეძლო თუ არა ინფორმაციის ჩაწერა, გადაწერა, მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნა, თეზისებისა და კონსპექტების შედგენა, პრობლემის ფორმულირება, დასკვნების გამოტანა;
- მოახერხა თუ არა ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა ხერხის გამოყენება;
- გამოიყენა თუ არა ნასწავლი მასალა, მოიშველია თუ არა რეპროდუქციული და პროდუქციული კითხვები;

და ა.შ.

და ყურადღებით შეისწავლიან ინფორმაციას, აანალიზებენ, კრიტიკულად განიხილავენ და აღმოაჩენენ შეცდომებს; მუშაობისას გამოთქვამენ მოსაზრებებს, მოიყვანენ არგუმენტებს, შეაფასებენ თანაკლასელთა ნამუშევრებს, გახდებიან ერთგვარი „ექსპერტები“...);

- **საკუთარი შედეგის შეფასება** – დააკვირდებიან საკუთარ საქმიანობას:
  - გამოთქვა თუ არა საკუთარი მოსაზრება, მოიყვანა თუ არა არგუმენტი ასაკისა და სწავლის საფეხურის შესაბამისად;
  - წარმოაჩინა თუ არა მოცემული პრობლემის მიმართ საკუთარი დამოკიდებულება (მაგალითად, სხვა ეპოქის ადამიანებისადმი ემპათია, ან გამოხატა თუ არა ისტორიული პირებისადმი თანაგანცდა, ან გამოავლინა თუ არა დამოკიდებულება კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის მიმართ და ა.შ.);
  - შეძლო თუ არა ისტორიული მოვლენების გაგება და გააზრება, გარდასული ეპოქის ადამიანის ქცევის მოტივების განსაზღვრა;

მთავარი ხარვეზი, რომელმაც ამ მიდგომებით სარგებლობისას შეიძლება იჩინოს თავი, არის მოსწავლეთა ნაშრომის შეფასების სისტემა, ამიტომ, განურჩევლად იმისა, თუ რომელ მიდგომასა და სტრატეგიას გამოვიყენებთ სწავლებაში, მთავარია, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და საჭიროებები მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული და სწორად შეფასებული. ასე მასწავლებლები კიდევ ერთ ნაბიჯს გადავდგამთ მოსწავლეთა ანალიტიკური აზროვნების უნარის განვითარებისკენ.

თემურ სუყაშვილი

ადიქცია და მასთან ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკა

„ყველა მასწავლებელმა უნდა იზრუნოს თვითგანვითარებაზე, არა იმიტომ, რომ კომპეტენცია აკლიათ, არამედ იმიტომ, რომ შეუძლიათ იყვნენ უკეთესები“ (დილან უილიამი). ამიტომ არასოდეს ვამბობ უარს სხვადასხვა პროექტსა თუ ტრენინგ-სემინარში მონაწილეობაზე.

2-11 ივლისს თურქეთის ქალაქ სტამბოლში რვა ქვეყნის (თურქეთი, საქართველო, ალბანეთი, სერბეთი, ესპანეთი, ჩეხეთი, უკრაინა და ლიეტუვა) წარმომადგენლები ვმონაწილეობდით საერთაშორისო გაცვლით ტრენინგკურსში „ახალგაზრდებთან მომუშავენი ადიქციის წინააღმდეგ“ (Youth Workers Against Addictions), რომლის მთავარი თემა იყო ადიქცია და მისი პრევენციის ეფექტური მექანიზმები.

ევროკავშირის პროგრამა „Erasmus+“-ის ფარგლებში მონაწილეებს გავაცანით ჩვენს ქვეყნებში არსებული მდგომარეობა. შევიმუშავეთ ადიქციის შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების სტრატეგიები და პრევენციის მექანიზმები. პროგრამის დასასრულს შევქმენით 20 სამოდელო სემინარის გეგმა, რომელთა ჩატარება შესაძლებელია როგორც ახალგაზრდებთან, ისე მათ მშობლებთან, პედაგოგებსა და სხვა დაინტერესებულ პირებთანაც.

ჩვენს ქვეყანაში, საგან „მოქალაქეობის“ სტანდარტით, VII კლასში ერთ-ერთი სასწავლო თემა ჯანსაღ ცხოვრებას ეთმობა. სწორედ ამ თემის ფარგლებში შემოთავაზებული საკითხია ადიქცია. მოსწავლემ შესასწავლი საკითხის ფარგლებში უნდა შეძლოს ადიქციის სხვადასხვა ფორმის მავნე ზემოქმედების შედეგების გაანალიზება, პრობლემის დანახვა და მის საწინააღმდეგოდ ნაბიჯების გადადგმა.

სამედიცინო განმარტების მიხედვით, ადიქცია არის სახიფათო და დამღუპველ ჩვევაზე დამოკიდებულება. უფრო ფართოდ იგი განიხილება როგორც მავნე საქმიანობისადმი ადამიანის მიჯაჭვულობა. გამოყოფენ ადიქციური ქცევის ოთხ გამოვლინებას/ფორმას:

1. სიგარეტზე დამოკიდებულება;
2. ალკოჰოლზე დამოკიდებულება;
3. ნარკოტიკზე დამოკიდებულება;
4. აზარტულ თამაშებსა და ვიდეოთამაშებზე, ტექნოლოგიებზე დამოკიდებულება.

უკანასკნელი ფორმა შედარებით ახალია. მისი ფართო გავრცელება უკავშირდება ინტერნეტის და, საზოგადოდ, ტექნოლოგიების განვითარებას.

მსოფლიოს ქვეყნები ადიქციას სერიოზულ პრობლემად განიხილავენ. ყველაზე სახიფათოა ბავშვებისა და ახალგაზრდების მავნე ჩვევებზე დამოკიდებულება. გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემებით, მსოფლიოში აზარტული თამაშებისადმი მოზარდთა დამოკიდებულების მაჩვენებელი ზრდასრულთა მაჩვენებელს 2-4-ჯერ აღემატება, ხოლო 12-17 წლის მოზარდების 8%-მდე პათოლოგიური მოთამაშეა.

ადიქცია არის სახიფათო და დამღუპველ ჩვევაზე დამოკიდებულება. უფრო ფართოდ იგი განიხილება როგორც მავნე საქმიანობისადმი ადამიანის მიჯაჭვულობა.

მსოფლიოს ქვეყნები ადიქციას სერიოზულ პრობლემად განიხილავენ. ყველაზე სახიფათოა ბავშვებისა და ახალგაზრდების მავნე ჩვევებზე დამოკიდებულება.

სტამბოლის პროექტის ფარგლებში გვქონდა სასწავლო ვიზიტები ადიქციის თემაზე მომუშავე უმსხვილეს არასამთავრობო ორგანიზაციაში. „მწვანე მთვარე“ (Green Crescent) არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც მთელი თურქეთის მასშტაბით ჩართულია ადიქციის წინააღმდეგ ბრძოლაში. მას შემუშავებული აქვს მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც მუშაობს როგორც პრევენციის, ისე ინტერვენციის დონეზე. აქვს საკუთარი წარმომადგენლობა მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.

განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ადიქციის პრევენციისა და ინტერვენციის პროგრამებმა დაიმსახურა. მოსწავლეებში ადიქციის ოთხივე ფორმის პრევენციის მიზნით სკოლებში იმართება ინტენსიური საინფორმაციო კამპანიები/კვირეულები, სპორტულ-შემეცნებითი აქტივობები, ეხმარებიან მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლებაში, მათთან ერთად მუშაობენ ინტეგრირებულ პროგრამებზე, ქმნიან და ავრცელებენ ვიზუალურ მასალებს და ა.შ.

„მწვანე მთვარეს“ მთელი თურქეთის მასშტაბით აქვს სპეციალური სარეაბილიტაციო ცენტრები, ჰყავს პარტნიორი ორგანიზაციები, სადაც სპეციალისტები (სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები) ინდივიდუალურად მუშაობენ დამოკიდებულებაგამოვლენილ პირებთან (სტამბოლშითორმეტი ასეთი ცენტრია). არასრულწლოვანი (14 წლიდან) ბენეფიციარების მიღება ხდება მშობლების მიმართვის საფუძველზე, ხოლო სრულწლოვანი მოქალაქეებისა – პირადი განცხადების/სატელეფონო ზარის საფუძველზე. ფსიქოლოგთან ინტენსიური კურსის გავლის შემდეგ, ბენეფიციარის ინტერესების გათვალისწინებით, ხდება მისი ჩართვა კონკრეტულ პროგრამაში.

სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩართული ბენეფიციარები სწავლობენ ხეზე მუშაობას, ფერწერას, ვებდიზაინს, პროგრამირებას, გრაფიკულ დიზაინს, კულინარიას, ხელოვნების სხვადასხვა დარგს... თითოეულ სარეაბილიტაციო ცენტრს ინდივიდუალური პროფილი აქვს, რაც დამოკიდებულია იმ ქალაქში/უბანში/კვარტალში მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებებსა და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე.

მნიშვნელოვანია, რომ სარეაბილიტაციო კურსის დასრულების შემდეგ ბენეფიციარებთან ურთიერთობა არ სრულდება. აქ მკითხველის ყურადღებას ორ საკითხზე გავამახვილებ:

1. ორგანიზაციას ჰყავს უამრავი პარტნიორი კერძო სექტორში. ბენეფიციარებს, რომლებმაც გაიარეს სარეაბილიტაციო კურსი და შეისწავლეს კონკრეტული პროფესია, სთავაზობენ დასაქმებას რესტორნებში, სასტუმროებში, ქარხანა-ფაბრიკებში და ა.შ.
2. გარკვეული ხნის შემდეგ ტარდება გასაუბრება ბენეფიციართან, მის დამსაქმებელთან, ხოლო არასრულწლოვანის შემთხვევაში – მის კანონიერ წარმომადგენელთან. გასაუბრების მიზანია სარეაბილიტაციო კურსისა და შემდგომი პერიოდის შე-



ფასება, მისი ეფექტიანობის განსაზღვრა და სამომავლო ნაბიჯების დაგეგმვა.

სამწუხაროდ, საქართველოში სრულფასოვნად არ არის გამოკვლეული, მოზარდების რა რაოდენობა მოიხმარს ალკოჰოლს, თამბაქოს, ნარკოტიკსა და ტექნოლოგიებს.

რეკლამის შესახებ საქართველოს კანონი კრძალავს მაგარი სპირტიანი სასმელების პოპულარიზაციას ნებისმიერი ფორმით და განსაზღვრავს მსუბუქი ალკოჰოლის შემცველი პროდუქციის რეკლამის განთავსების წესს. აღნიშნული კანონის მიხედვით, აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარებისა და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის ყოველგვარი რეკლამა. აკრძალულია 18 წელს მიუღწეველი პირებისთვის ალკოჰოლიანი პროდუქციისა და თამბაქოს ნაწარმის მიყიდვა, ასევე იკრძალება აზარტულ თამაშებში ჩაბმა.

უნდა ვაღიაროთ, რომ აღნიშნული რეგულაციები არ არის ეფექტური, რადგან ზერელე დაკვირვებითაც ჩანს, რომ ახალგაზრდებში ხშირია ადიქციის ოთხივე ფორმა. რეკლამისა და გაყიდვების აკრძალვამ, ცხადია, შეიძლება შეასრულოს გარკვეული როლი მოზარდებსა და ზრდასრულებთან ადიქციის პრევენციაში, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

საყურადღებოა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ საქართველოს საპატრიარქოსთან თანამშრომლობით განხორციელებული კვლევის „მოზარდებში აზარტული თამაშების პრევენციის საერთაშორისო გამოცდილების შესახებ“ ერთ-ერთი რეკომენდაცია: **„აზარტულ თამაშებზე მოთხოვნილების მნიშვნელოვნად შემცირება შესაძლებელია ცნობიერების ამაღლების, საგანმანათლებლო ღონისძიებების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკის მიღებისა და განხორციელების გზით“.**

„მწვანე მთვარის“ ერთ-ერთ სარეაბილიტაციო ცენტრში სასწავლო ვიზიტის დროს გაგვაცნეს კონკრეტული რიცხვები, რომლებიც შთამბეჭდავია. სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს კოორდინირებული მუშაობის შედეგად ყოველდღიურად უამრავი ადამიანი ერთვება სარეაბილიტაციო პროგრამებში. შედეგად ისინი თავს აღწევენ ადიქციის საკმაოდ რთულ ფორმებს, უბრუნდებიან ნორმალურ ცხოვრებას, ოჯახებს.

გამოყენებული წყაროები:

1. https://matsne.gov.ge/ka/document/view/31840?publication=28
2. https://befriend.mes.gov.ge/article/?id=24
3. https://www.yesilay.org.tr/en/
4. https://tinyurl.com/3e6eyhtc

ინა იმედაშვილი

სწავლების გზა, ანუ ვასწავლოთ, როგორ ისწავლონ

კომპლექსური დავალების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ნამუშევრის წარდგენაა, რომლის დროსაც მოსწავლე საუბრობს და აჯამებს, რა სტრატეგიები გამოიყენა ან რას შეცვლიდა, ახლა რომ იწყებდეს დავალების შესრულებას.

„მაინც რა არის კომპლექსურ დავალებაში ასეთი მნიშვნელოვანი და უნიკალური, რატომ უნდა ჩავრთო ის ჩემს სასწავლო პროცესში? მე ხომ ასეთ დავალებებს სულ ვაძლევ ბავშვებს?“ – ბევრ მასწავლებელს, სკეპტიკურ განწყობასთან ერთად, ამგვარი კითხვებიც უჩნდება. აღმოჩნდა, რომ სიახლეების მიღება და გათავისება არც ისე ადვილია, როცა მასწავლებლობის გამოცდილება ათწლეულებს ითვლის და სწორედ ეს იქცევა ხოლმე რეფორმებისა და რაღაც ახლისთვის დაბრკოლებად. კი, მასწავლებლები დაიღალნენ, მუდმივი ცვლილებები და არასტაბილურობის განცდა ძალიან რთულია, მაგრამ მაინც, მოდი, ვაღიაროთ: ცვლილებები განვითარებისკენ მიმავალი არცთუ ისე მარტივი გზაა, სხვანაირად რომ ვთქვათ, ვერ განვვითარდებით, თუ არ შევიცვალეთ.

სიახლეები ყველა სფეროსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. მაგალითად ჯანდაცვა მოვიყვანოთ. აი, ჩემი შვილი ერთი წლისაა და იძულებული ვარ, ვიცოდე, რომ ყოველ წელს იცვლება ე.წ. გაიდლაინები და ისეთი „უმნიშვნელო“ რამაც კი, როგორიც ბავშვთა კვებაა, არასტაბილურია, მუდმივად ახლდება. მოკლედ, შევთანხმდეთ, რომ განათლების სისტემას დღეს, როგორც არასდროს, სჭირდება ცვლილებები.

ახალი სკოლის მოდელი, – ძალიან საინტერესო და ამავე დროს მრავალი კითხვის გამჩენი (მათთვის, ვინც ძირეულად არ იცნობს პროექტს) რეფორმა, – ვფიქრობ, ახალი სისხლია ჩვენი სკოლებისთვის, მასწავლებლებისთვის და, უპირველეს ყოვლისა, ბავშვებისთვის. რატომ, რატომაა ის ასეთი მნიშვნელოვანი?

ამას უამრავი მიზეზი აქვს და ერთი წერილი მათ ჩამონათვალს ვერ დაიტევს. მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანს შევეხები: კომპლექსური დავალებები, განმავითარებელი შეფასებები და სხვა ინსტრუმენტები მიმართულია იქით, რომ მოსწავლეს სწავლა ვასწავლოთ. ჰო, შესაძლოა, ცოტა უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ ამ მოდელით მომუშავე მასწავლებელს კომპლექსური დავალების შედეგზე მეტად მოსწავლის სწავლების გზა, ის კოგნიტიური პროცესები აინტერესებს, რომლებიც მან განვლო კომპლექსური დავალების შესრულებისას. ამიტომ კომპლექსური დავალების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ნამუშევრის წარდგენაა, რომლის დროსაც მოსწავლე საუბრობს და აჯამებს, რა სტრატეგიები გამოიყენა ან რას შეცვლიდა, ახლა რომ იწყებდეს დავალების შესრულებას. ამ დროს მასწავლებლის მიერ დასმული კითხვები აუცილებელი და არსებითია.

შეიცვალა მიზნებიც. მცირე საგაკვეთილო, სემესტრული თუ წლის მიზნები ჩაანაცვლა მსხვილმა, საფეხურის მიზნებმა. მაგალითად, ქართული. ავიღოთ მიზანი: ტექსტი. ტექსტი ისეთი მიზანია, მხოლოდ ერთ კლასში ან ერთ წელს კი არ მუშავდება, არამედ სულ, სანამ მოსწავლე საშუალო საფეხურზე სწავლობს, პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით. უბრალოდ, ის ნაბიჯ-ნაბიჯ, ასაკის შესაბამისად ძლევს ამ მიზნის კომპონენტებს.

სამიზნე ცნება „ტექსტი“ თავის თავში უამრავ საკითხსა და ქვეცნებას მოიცავს. ტექსტი რომ დამუშავდეს, მნიშვნელოვანია მისი სტრუქტურის გაგება, ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა, პერსონაჟის სქემა, რიგი გრამატიკული საკითხები, მხატვრული მხარე, კავშირი რეალურ სამყაროსთან, სხვა ტექსტებთან, ფილმებთან,

გამოცდილებასთან და ასე შემდეგ. და სწორედ ეს სიღრმეებია, რომლებშიც მასწავლებელმა მოსწავლეს მეგზურობა უნდა გაუწიოს.

კომპლექსური დავალებები არ არის მხოლოდ დავალებები, ეს მუდმივი სასწავლო პროცესია. ამ ყველაფრის უკეთ გასაგებად გაგიზიარებთ პირველი კლასის ერთ კომპლექსურ დავალებას თავისი აქტივობებით, რათა პროცესი თვალსაჩინო იყოს.

კლასი: პირველი

თემა: სიზმრების სამყარო, წარმოსახვა

ტექსტი: ძილისპირული

http://kargiskola.ge/anbani/zilispiruli.pdf

სამიზნე ცნება: ტექსტი

ქვეცნებები: დეტალი, ეპიზოდი

გაგების სტრატეგიები

კომპლექსური დავალება:

ტექსტის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება

გაიხსენე საკუთარი ცხოვრებიდან ამბავი, რომელიც გაგახსენა მოსმენილმა ტექსტმა და დახატე ის.

ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:

- რით უკავშირდება შენი ამბავი წაკითხულ ტექსტს;
- რამდენად და როგორ დაგეხმარა ცხოვრებისეული ამბისა და მოთხრობის შედარება ნაწარმოების უკეთ გაგებაში, რას მიაქცევ ყურადღება ისეთს, რაზეც მათ შედარებამდე არ გიფიქრია.

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)

პირველი ეტაპი – მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის გაცნობა

დავალების მოთხოვნების გაცნობიერება

- როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს სიტყვა „ძილისპირული“?
- ილუსტრაციის მიხედვით, ვინ არიან ამ მოთხრობის პერსონაჟები?
- თქვენი აზრით, რაზე იქნება ეს მოთხრობა?
- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს დავალება.
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- რისი შესწავლა დაგჭირდებათ?
- თქვენი აზრით, რა გაგიადვილდებათ, რა გაგიძნელდებათ?
- რაში დაგჭირდებათ დახმარება?

მეორე ეტაპი - კომპლექსურ დავალებაზე/დავალებებზე მუშაობა, დავალების წარდგენა

პირველი ნაბიჯი: რა სტრატეგიები გამოიყენე ტექსტის უკეთ გასაგებად?

ა) რა სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტის შინაარსის აღმოსაჩენად?

ბ) რა სტრატეგიები გამოვიყენო უცნობი სიტყვების გასაგებად და ასათვისებლად?

რესურსები და აქტივობები

რესურსი: ტექსტი „ძილისგუდა“

აქტივობა 1. ზღაპრის პაუზებით მოსმენა, ვარაუდების გამოთქმა

პაუზა 1. „თვალები დახუჭე და ძაფი გააგორე...“

პაუზა 2. „ვაი, მგონი, მგელია!..“

აქტივობა 2. სიტყვებზე „ძილისგუდა“, „ძილისპირული“ მუშაობა



აქტივობა 3. წინასწარ გამზადებული ბარათები: ძუნწი მეფე, მძინარე მზეთუნახავი, მგელი, ძაღლი, ძიძა (ილუსტრაცია და სიტყვა), – დაფაზე არეულადაა მოთავსებული. მოსწავლე მათ თანმიმდევრულად ალაგებს. გაგორდა გორგალი, გაგორდა, სად მიგიყვანა?

ერთი შეხედვით არც ისე გამორჩეული დავალების მიღმა შესაძლოა მოსწავლის საოცარი გამოცდილება და აღმოჩენები იმალებოდეს. აი, ამიტომაა კომპლექსური დავალება შესანიშნავი ინსტრუმენტი სწავლა-სწავლებისას.

აქტივობა 4. მასწავლებელი აკეთებს პაუზას, ყოვნდება და ბავშვებმა უნდა მოასწრონ იმ ეპიზოდის გრაფიკული ჩანახატის გაკეთება.

მეორე ნაბიჯი: რით უკავშირდება შენი ამბავი წაკითხულ ტექსტს?

რესურსები და აქტივობები

რესურსი: ტექსტი „ძილისგუდა“

ქართული ანიმაციური ფილმი „სიზმარა“ https://youtu.be/iV1Ut3s0OEc

აქტივობა 1. აქტივობა 4-ის დროს გაკეთებული ჩანახატებიდან მოსწავლეები ირჩევენ იმ ეპიზოდს, რომელსაც საკუთარ ამბავს დაუკავშირებენ.

აქტივობა 2. მოსწავლეები იხსენებენ საკუთარ გამოცდილებას, უზიარებენ ერთმანეთს და მასწავლებელს.

აქტივობა 3. ანიმაციის ყურება. დისკუსია – ანიმაციის, ტექსტისა და საკუთარი გამოცდილების შედარება.

მესამე ნაბიჯი: რამდენად და როგორ დაგეხმარა ცხოვრებისეული ამბისა და მოთხრობის შედარება ნაწარმოების უკეთ გაგებაში, რას მიაქციე ყურადღება ისეთს, რაზეც მათ შედარებამდე არ გიფიქრია?

რესურსები და აქტივობები

რესურსი: მოსწავლეთა ნამუშევრები

აქტივობა 6. იდეების გენერირება

აქტივობა 7. ინდივიდუალური მუშაობა – მოსწავლეები ხატავენ ტექსტში მოცემული ამბის მსგავს პირად შემთხვევას.

აქტივობა 8. ნამუშევრების გამოფენა და წარდგენა

- დავალების წარდგენის პროცესში დასასმელი კითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ):
- აღწერე შენი ნამუშევარი და ახსენი, რომელ ეპიზოდს ან დეტალს უკავშირდება ტექსტიდან.
- ისაუბრე, რამდენად დაგეხმარა დავალებაზე მუშაობა ნაწარმოების უკეთ გაგებაში.

- თანამიმდევრობით აღწერე, რა ნაბიჯები გადადგი.
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადალახე? რატომ ვერ გადალახე? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა? რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებია?
- შენი თანაკლასელების ნაშრომთაგან რომელმა მიიპყრო ყველაზე მეტად შენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

ზემოთ აღწერილი პროცესი, რა თქმა უნდა, სულაც არ არის სრულყოფილი. აქტივობების დროს მასწავლებელი სვამს სამიზნე ცოდნის (დეკლარაციული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებულ შეკითხვებს, რომელთა მოყვანით წერილი აღარ გადავტვირთე. გარდა ამისა, აღნიშნული აქტივობებიც არ წარმოადგენს აუცილებლობას და ყველა მასწავლებელი საკუთარი სურვილის, გემოვნების, საჭიროებისამებრ ცვლის მათ, არგებს კლასისა და მოსწავლის თავისებურებებს.

ამ მცირე მაგალითშიც, ვფიქრობ, კარგად გამოჩნდა, რომ კომპლექსური დავალება მხოლოდ დავალებას არ გულისხმობს და ის სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კომპლექსური დავალების დროს საგანთა ინტეგრირება მეტად მოხერხებულია, ხოლო მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება – აუცილებელი და მიზანშეწონილი. ყველა მოსწავლეს საკუთარი ხედვა და მიდგომა აქვს, ყველა მოსწავლე თავისებურად მუშაობს და ამიტომაცაა თითოეული მათგანი უნიკალური, ხოლო მათი ნამუშევრები – განსხვავებული. როდესაც თითოეული თავის ნაშრომს წარადგენს, ის ინდივიდუალურად განვლილ გზაზეც გვიამბობს და ხედვასაც გვიზიარებს. ერთი შეხედვით არც ისე გამორჩეული დავალების მიღმა შესაძლოა მოსწავლის საოცარი გამოცდილება და აღმოჩენები იმალებოდეს. აი, ამიტომაა კომპლექსური დავალება შესანიშნავი ინსტრუმენტი სწავლა-სწავლებისას.

P.S. **წლების წინ, თექვსმეტი წლის ინა პირველ კურსზე რომ აღმოჩნდა, პირველი შოკი და ელდა მაშინ მიიღო, ორმოცდაათგვერდიანი მასალა ერთ დღეში რომ უნდა მოემზადებინა. არ იცოდა, საიდან დაეწყო, როგორ წაეკითხა და მთავარი როგორ დაემახსოვრებინა. არ იცოდა არც ერთი სტრატეგია გააზრებული კითხვისა. აი, სკოლაში რომ კითხვისა და გაგების სტრატეგიები ესწავლა, კომპლექსური დავალებები შეესრულებინა და ეს ყველაფერი კლასის წინაშე შეეჯამებინა, ვინ იცის, იქნებ წყლის ნაყვა აღარ აღმოჩენილიყო ბაკალავრიატის ოთხი წელი. ნეტავ სტუდენტობა იმ უნარ-ჩვევებით აღჭურვილს გაეტარებინა, ასე რომ დააკლდა და რამდენიმე წლით უკან დახია, სანამ წლების შემდეგ თავად არ გაერკვია ამ ყველაფერში. თუმცა ყველაფერი ხომ გამოცდილებად იქცევა ხოლმე. რომ არა ეს მტკივნეული მოგონება და წლები, ვერ მიხვდებოდა კომპლექსური დავალების რეალურ სიკეთეებს, ვერ გააანალიზებდა და ამ წერილსაც არ დაწერდა.**

მარიამ გოდუაძე

კომპლექსური დავალების ადაპტირება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის

სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის განათლებაში ჩართული პირებისთვის ჯერჯერობით კვლავაც გამოწვევასთან ასოცირდება სწავლა-სწავლების მიზნების კომპლექსური დავალების ფორმასა და ხარისხზე მორგების საკითხი.

სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის განათლებაში ჩართული პირებისთვის ჯერჯერობით კვლავაც გამოწვევასთან ასოცირდება სწავლა-სწავლების მიზნების კომპლექსური დავალების ფორმასა და ხარისხზე მორგების საკითხი.

არადა, კომპლექსური დავალების მორგება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობაზე რომ შესაძლებელი და არც ისე რთულია, მრავალი ჩვენგანის გამოცდილებამ აჩვენა. ექსპერტებიც დაბეჯითებით გვეუბნებიან, რომ კომპლექსური დავალებების გამოყენებით სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვისას მასწავლებელს შეუძლია, სხვადასხვა მოსწავლისთვის ჩამოაყალიბოს კომპლექსური დავალების სხვადასხვა პირობა მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. უბრალოდ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის კომპლექსური დავალების ადაპტირების პროცესში უფრო მეტი ნიუანსის გათვალისწინებაა საჭირო.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ახალი, ინკლუზიური განათლების 2021 წლის გზამკვლევის[1] თანახმად, არსებობს წესები, რომელთა გამოყენება მესამე თაობის ესგ-ს წარმატებით დანერგვაში ყველა ჩვენგანს დაეხმარება:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის მასწავლებელი ადგენს ინდივიდუალურ გრძელვადიან მიზნებს, თუმცა ასევე აწვდის კომპლექსური დავალების მოდიფიცირებულ ვერსიას.
- თემა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისა და მისი თანატოლებისთვის ერთია. *მაგალითად, საგანში „მე და საზოგადოება“ ცნებების დასამუშავებლად მასწავლებელი განსაზღვრავს თემას „სკოლა, მეგობრები და თანატოლები“.* სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ადაპტირებული კომპლექსური დავალებაც ამავე თემის კონტექსტში უნდა განიხილებოდეს.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესი თანხვდება კლასში მიმდინარე სასწავლო პროცესს. მასწავლებელმა ერთი საკითხი უნდა შესთავაზოს კლასს და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს. *მაგალითად, მასწავლებელი დაამუშავებს საერთო საკითხებს მოსწავლეთა ჯგუფში, თუმცა მზად იქნება იმისთვის, რომ შერჩეული საკითხი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ შესაძლოა განსხვავებული ფორმით დაამუშაოს და განსხვავებულ დონეზე დაეუფლოს მას. თუ გეოგრაფიის მასწავლებელი ჩრდილოეთი ამერიკის თემის კონტექსტში ირჩევს საკითხს „ტორნადოების ხეივანი“, შესაბამისად, კომპლექსური დავალებაც ამ საკითხზეა აგებული.* კლასში ერთ საკითხზე მუშაობა უმეტესად შესაძლებელია. **გამონაკლისს წარმოადგენს ის საგნობრივი პროგრამები, რომელთა ფარგლებში კონკრეტულ საკითხს შესაძლოა ჰქონდეს გარკვეული წინაპირობა ქვეცნების ან საკითხის სახით. ამ შემთხვევაში განსაზღვრული საკითხის ათვისება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ დაძლეულია მის წინაპირობად განსაზღვრული საკითხი და**

[1] ავტორები: მაია ბაგრატიონი, შორენა ტყეშელაშვილი, ლია ქურციკიძე.

ამით მომზადებულია ნიადაგი მიმდინარე საკითხის დასამუშავებლად / ასათვისებლად.

- თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს არასრულად ან არასაკმარისად აქვს დამუშავებული და ათვისებული წინაპირობად განსაზღვრული საკითხი, გაუმართლებელი იქნება კლასისთვის განსაზღვრული საკითხის მისთვის წარდგენა. მასწავლებელს მოუწევს კომპრომისზე წასვლა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის რელევანტური, მის საგანმანათლებლო საჭიროებას მორგებული, თუნდაც კლასისგან განსხვავებული საკითხის შეთავაზება.
- ამგვარი ცვლილება მასწავლებელმა შეიძლება ნებისმიერი მოსწავლისთვის განახორციელოს.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ცოდნისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, მასწავლებელს შეუძლია შეცვალოს და დააზუსტოს კომპლექსური დავალების სხვადასხვა კომპონენტი.

მაგალითად, თუ კომპლექსური დავალების პროდუქტია პრეზენტაცია, ხოლო მოსწავლე ამ ეტაპზე არ ფლობს ტექნოლოგიების გამოყენების საკმარის უნარებს, შეიძლება, პრეზენტაცია სხვა პროდუქტით ჩანაცვლდეს, მაგალითად, პოსტერით, პლაკატით, ვიდეორგოლით. გარდა ამისა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის კითხვის, წერის, მოსმენილი ინფორმაციის გაგების უნარების გათვალისწინებით, მასწავლებელმა შესაძლოა კომპლექსური დავალების პირობა მარტივი ფრაზების, მოსწავლისთვის ნაცნობი სიტყვებისა და მოკლე წინადადებების სახით ჩამოაყალიბოს.

– ზოგიერთი სსსმ მოსწავლისთვის შესრულების ციფრული ფორმის შეთავაზება უფრო ხელსაყრელი იყოს.

კომპლექსური დავალების პირობა შედარებით მარტივი წინადადებითაა ჩამოყალიბებული, მოსწავლის საჭიროებებიდან და წინარე ცოდნიდან გამომდინარე, დაზუსტებულია კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები. თუ სხვა მოსწავლეები მთელი მოთხრობის შინაარსს თანმიმდევრულად, ყველა ეპიზოდის ჩათვლით წარმოადგენენ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს მხოლოდ ორი ეპიზოდის წარმოდგენა ევალება.

კომპლექსური დავალების პირობა კლასისთვის	**კომპლექსური დავალების პირობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის**
სახატავი საშუალებების ან ციფრული რესურსის „ვსწავლობთ თამაშით“ გამოყენებით დახატეთ კომიქსი მოთხრობის (მაგ., იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის „ანდროკლე და ლომი“) მიხედვით.	**სახატავი საშუალებების გამოყენებით დახატე კომიქსი მოთხრობის „ანდროკლე და ლომი“ მიხედვით.**

ვხედავთ, რომ პროდუქტი (კომიქსი) უცვლელი რჩება, მაგრამ თუ მოსწავლეს გაუძნელდება ციფრული რესურსის გამოყენება, მხოლოდ დახატვას ვთავაზობთ. შესაძლოა, პირიქითაც

ცნება „ტექსტი“ მკვიდრი წარმოდგენები	ზოგადი კრიტერიუმები	კრიტერიუმები (კლასი)	კრიტერიუმები (სსსმმ)
1. თითოეული ჟანრის ტექსტს აქვს თავისებური შინაარსი, ენა და აგებულება.	კონკრეტული ჟანრის ტექსტის (მაგ., მოთხრობის, იგავის) შინაარსობრივი მხარის, ენობრივი საშუალებების, აგებულების ცოდნა	• წარმოადგინე ეპიზოდები თანმიმდევრობის დაცვით. • გამოსახე თითოეული ეპიზოდის მონაწილე პერსონაჟები.	• დახატე ორი ეპიზოდი, დასაწყისი და დასასრული. • გამოსახე მთავარი პერსონაჟები.
2. ყველა ტექსტი შექმნილია რაიმე თემაზე, პრობლემაზე/საკითხზე, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება; ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, იდეებს.	ტექსტის თემა ან/და მთავარი იდეა, ან/და საკითხი/პრობლემა; ან/და ტექსტის კავშირი ცხოვრებასთან	• ისაუბრე იმაზე, რა გაგახსენა, რაზე დაგაფიქრა ნაწარმოებმა.	• გადმოეცი, რაზეა მოთხრობა.

კომპლექსური დავალების კომპონენტების ადაპტირება

მასალის მოცულობა	**ქვეცნებები, კომპლექსური დავალების კრიტერიუმები**
მასალის ფორმა	**რესურსები, ქვეცნებები**
შესრულების ფორმა	**კომპლექსური დავალების წარდგენა, პროდუქტის შექმნა**
შესრულების პირობა	**კომპლექსური დავალების პირობა**



სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესი თანხვდება კლასში მიმდინარე სასწავლო პროცესს. მასწავლებელმა ერთი საკითხი უნდა შესთავაზოს კლასს და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს.

ამათგან კლასისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის უცვლელი რჩება ცნება და თემა. რეკომენდებულია საკითხისა და პროდუქტის შენარჩუნება, ხოლო ზუსტდება: მკვიდრი წარმოდგენები, შედეგები, საკითხი, დავალების პირობა, პროდუქტი, შეფასების კრიტერიუმები, დავალების პრეზენტაციის ფორმა, რესურსები და აქტივობები.

კომპლექსური დავალების შექმნისა და განხორციელების ძირითადი კომპონენტებია:

- ცნება, მკვიდრი წარმოდგენები, შედეგები;
- თემა, საკითხი, დავალების პირობა, პროდუქტი;
- შეფასების კრიტერიუმები;
- დავალების პრეზენტაციის ფორმა;
- რესურსები, აქტივობები.

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

ДИАНА АНФИМИАДИ

მუზეუმი და შთაგონება – ულევი რესურსი საინტერესო გაკვეთილებისთვის

მუზეუმები ჩემი სიყვარულია. ყველგან, სადაც ჩავდივარ, აუცილებლად ვგეგმავ მუზეუმში სტუმრობას. ლუვრებსა და მოდერნ-ტეიტებზე კი არ მოგახსენებთ (ამ პანდემიის გამო ქვეყნიდან ცხვირის გაყოფა სანატრელი გახდა), არამედ ჩვენი ქვეყნის დიდი და პატარა ქალაქების მუზეუმებზე. გორის მუზეუმში ყოფილხართ? დაფნის ფოთლების უნაზესი ოქროს თავსამკაული გინახავთ? ნუმიზმატიკური საგანძური? უძველესი ბელადის მუმია? იქნებ ადამიანის გამოსახულებები, რომლებსაც ღვთაებას სწირავდა უძველესი ქართველი, რომ ჯანმრთელობა გამოეთხოვა? ბორჯომის მუზეუმი, რკინიგზის მაკეტი და რომანოვების პირადი ნივთები? საოცარი წარწერები და უძველესი ჭურჭელი? იქნებ ონის მუზეუმი – ჩემი დიდი სიყვარული? ყოფითი კულტურის საგანძური და ერთი პაწია ქანდაკება, რომელსაც ონის სიმბოლოდ ვაქცევდი – პაწია ბიჭი, რომელიც უზარმაზარ ვარდს იხუტებს, ექსპონატი ონის სასაფლაოდან, საოცარი ბარელიეფები და ჭვირვალი ბალთები? ფოთის მუზეუმი? ვანის, მესტიის? თბილისის, თელავის, ბათუმისა და ქუთაისის? ზღვაზე წასულებმა აუცილებლად შეიარეთ ბათუმის ხელოვნების მუზეუმში და პატარა, მაგრამ უძვირფასესი ექსპოზიცია ნახეთ: ფიროსმანი, გუდიაშვილი, ესმა ონიანი და გიგო გაბაშვილი.

მოკლედ, თქვენს პაწია თუ დიდ ქალაქებში მუზეუმებს ალბათ თავადაც მიაგნებთ თქვენს მოსწავლეებთან ერთად. მე მინდა, ჩვენი პირადი მუზეუმის შექმნასა და რამდენიმე საინტერესო შემოქმედებით გაკვეთილზე მოგიყვეთ.

პირადი ნივთებისა და ამბების მუზეუმი

გიფიქრიათ, რამდენ საინტერესო ამბავს მალავენ ნივთები? ჩვეულებრივი, ყოფითი ნივთები, აი, თუნდაც ისეთი, როგორიც ჯინსის შარვალი, თმის სამაგრი, საათი ან გულსაკიდია? კი, კი, კალამიც, წიგნიც, რვეულიც, კოვზიც.

რატომაც არ შეიძლება, შექმნათ თქვენი ამბების მუზეუმი, ეს შემოქმედებით აქტივობად აქციოთ და როგორც წერისა თუ კითხვის, ისე პრეზენტაციის უნარებიც გამოიყენოთ?

მაშ, ასე, მომყევით:

1. პირველი და მნიშვნელოვანი მუზეუმისთვის ადგილის შერჩევაა. ეს შეიძლება იყოს რომელიმე თარო, ფანჯრის რაფა ან სულაც ვირტუალური სივრცე. ამ ეტაპზე შეგიძლიათ, მოსწავლეებს ვირტუალურად დაათვალიერებინოთ მუზეუმები, ისაუბროთ არქიტექტურასა და კონცეფციაზე.
2. ექსპონატების შეგროვება. ამისთვის საჭიროა, მოსწავლემ აარჩიოს თავისთვის მნიშვნელოვანი ერთი, ნებისმიერი ნივთი, რომელსაც თავისი პატარა ამბავი აქვს, ვთქვათ, ჩვილობის დროინდელი ქუდი, კალამი, რომელიც მეგობარმა აჩუქა, თმის სამაგრი, რომელიც მამამ ჩამოუტანა, ნიჟარა, რომელიც ზღვის პირას იპოვა, რვეული, რომელიც პირველ კლასში ჰქონდა... მოსწავლეს ევალება, თვითონ აღწეროს თავისი ექსპონატი და პაწია ამბავიც დაურთოს. თუ ვირტუალური მუზეუმი გვაქვს, მაშინ დავალებაში ფოტოს გადაღებაც შევა. როდესაც ექსპონატები შეგროვდება, მოსწავლეებთან ერთად თემატურად დავახარისხოთ, აღვნუსხოთ და დავნომროთ.
3. ახლა ექსპოზიციის ჯერია. ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ განვალაგებთ ექსპონატებს. ყველა ნივთის ამბავი თავისთავად მნიშვნელოვანია, თუმცა ექსპონატების ერთობლიობასაც უნდა ჰქონდეს თავისი შინაარსი, სიუჟეტი, სათქმელი.
4. როდესაც მუზეუმი უკვე მზადაა და ბოლო სამუშაოებიც დასრულებულია, ფინალური დავალების დროც დგება: ყველა მოსწავლემ ან მოსწავლეთა მცირე ჯგუფებმა ისეთი საექსკურსიო პროგრამა უნდა შექმნან, რომ დამთვალიერებლები მუზეუმში მოიზიდონ. შესაძლოა, ბროშურები, პლაკატები, სლოგანები მოამზადონ. იქნებ აუდიოგიდიც ჩაწერონ სხვადასხვა ენაზე. ეს უკვე ინტერდისციპლინური გაკვეთილების ახალი ეტაპი იქნება.

სასიამოვნო მუშაობას გისურვებთ!

ელიზბარ ელიზბარაშვილი

უძვირფასესი

ოქროსა და ვერცხლს ერიდეთო, არ დაემონოთო, – ჯერ კიდევ როდის შეგვაგონებდნენ. არ შევისმინეთ. ვინ მოთვლის, რამდენი ოფლი და სისხლი დაღვრილა ამ ორი მეტალის გულისთვის მათი აღმოჩენის დღიდან, რამდენ ადგილას გაუფატრავთ დედამიწის გულმკერდი, რამდენი ადამიანი გაუწირავთ მათ მისხალ-მისხალ შესაგროვებლად, ხაზინებისა თუ მიწისქვეშა საგანძურების ასავსებად, ზეპურთა დარბაზებისა თუ ძვირფასეულობის მოტრფიალეთა სხეულების შესამკობად...

რატომ გავაფეტიშეთ მაინცდამაინც ეს ორი ქიმიური ელემენტი? ვითომ მართლა ყველაზე ძვირფასია?

ამჟამად 118 ელემენტია ცნობილი. ცხადია, ყველა მათგანი მეტალი არ არის, მაგრამ საკუთარი ღირებულება ყველას აქვს.

ოქრო-ვერცხლის პოპულარობას ხელი რამდენიმე ფაქტორმა შეუწყო. უპირველეს ყოვლისა – იმან, რომ, სხვა მეტალებისგან განსხვავებით, ბუნებაში თავისუფალი სახით მოიპოვებოდა. საკმარისი იყო წერაქვი და მკლავში ძალა, „თვალნი ქორებულ მხედავნი“ და ცოტაოდენი იღბალიც. რკინის, სპილენძის, ალუმინისა და სხვა მეტალების მიგნებას და მეტალად ქცევას კი ქიმია-მეტალურგიის ცოდნა სჭირდებოდა. მეორე ფაქტორი ამ ელემენტთა ინერტულობაა: მიწაშიც და ზარდახშაშიც საუკუნეების განმავლობაში უცვლელად ინახება, ჟანგი მათ გულს არ ეკარება.

კიდევ ერთი ფაქტორი მათი ადვილად გალღობის უნარი და პლასტიკურობა აღმოჩნდა – მარტივი ნახშირის ღუმლის მცხუნვარება საკმარისი გახლდათ ოქროსა და ვერცხლის „მდინარეების“ მისაღებად. ჩაქუჩსაც ადვილად ემორჩილებოდა, დამყოლი და დამჯერი მასალები იყო. ამავე ჯგუფის კიდევ ერთ ელემენტს, პლატინას, სწორედ ამ საკითხში არ გაუმართლა – მასაც რიყის ქვებივით ადვილად მოიპოვებდნენ, მაგრამ ღუმელში ჯიუტდებოდა, ამიტომ ვერაფერი მოვუხერხეთ და ზურგი ვაქციეთ მანამდე, სანამ პირიდან ცეცხლის მფრქვეველი დანადგარები არ მოვიგონეთ.

ეკონომიკის კანონები თუ ოდნავ მაინც ესმის ადამიანს, ლოგიკური კითხვა გაუჩნდება: რატომ უნდა იყოს ოქრო სპილენძზე, რკინასა და ალუმინზე ძვირი? ოქროს მოსაპოვებლად საკმარისია, დაიხარო და აიღო, რკინისა და ალუმინის მისაღებად კი ტონობით ნედლეული უნდა მოთხარო, წაიღო, უზარმაზარ ღუმელში ჩაყარო, ცეცხლი შეუნთო და რამდენიმე საათს ათუხთუხო.

პასუხს ისევ ეკონომიკის კანონებში ვიპოვით, რომელიც მარტივი ენით ასე გამოითქმის: ოდეს ტურფა გაიაფდეს, არა ღირდეს არცა ჩირადო. ოქრო კი საკმარისი რაოდენობით მოიპოვებოდა დედამიწაზე, მაგრამ სპილენძი, რკინა და ალუმინი კიდევ უფრო მეტი აღმოჩნდა. თუმცა მათი სიიაფე უმთავრესად მაინც ქიმიური ტექნოლოგიის დამსახურებაა – მათი მიღების მარტივი მეთოდები მოვიგონეთ, თორემ იყო დრო, ელემენტთა პერიოდულობის კანონის დიდ შემოქმედს, მენდელეევს, დამსახურების აღსანიშნავად ვერცხლთან ერთად ალუმინის თასიც მიართვა ქიმიურმა საზოგადოებამ.

და მაინც, რომელია ყველაზე ძვირფასი ელემენტი? დღეისთვის ცნობილ ელემენტებს შორის ოქროს მხოლოდ მე-19 ადგილი უკავია. ის ერთი ნაბიჯით უსწრებს პლატინას და ასევე ერთი ნაბიჯით ჩამორჩება პალადიუმს. მათი ღირებულება კილოგრამზე 50 000 დოლარის ფარგლებში ვარირებს. ოქროზე ცოტა ძვირია ირიდიუმი და ცეზიუმი. ტექნეციუმი კი მთელი 100 000 დოლარი ღირს. როდიუმი 147 000-იანი ნიშნულით მე-14 ადგილს იკავებს. სიის კენწეროსკენ ელემენტების ღირებულება ასტრონომიულ რიცხვებს აღწევს: მეოთხე-მეხუთე ადგილებს კალიფორნიუმ-249 და ბერკლიუმ-249 იყოფენ (185×109 დოლარი), მესამეზე ტექნეციუმ-99-ის მეტასტაბილური იზოტოპია (1.9×1012 დოლარი), მეორეზე – აქტინიუმ-225 (29×1012 დოლარი), პირველზე – პოლონიუმ-209 (49.2×1012 დოლარი).

ნახშირბადი, რომელიც ანთრაციტის წვით მიიღება, უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ქლორი. ეს უკანასკნელი ყველაზე იაფ ელემენტად არის შეფასებული. დაუჯერებელია? იგივე აღებ-მიცემობის კანონები ამას მარტივად ხსნის: ქლორი თანაური პროდუქტის სახით მიიღება ნატრიუმის ჰიდროქსიდის წარმოებისას და ვინაიდან ნატრიუმის ტუტეზე მოთხოვნა დიდია და აუარება იყიდება, ქლორის ფასი, გაცილებით დაბალი მოთხოვნის გამო, მნიშვნელოვნად ეცემა. უფრო მეტიც – ზოგჯერ იმდენი გროვდება, რეზერვუარებს ავსებს და მწარმოებლები სულაც უფასოდ გაგატანენ, თუ წაიღებთ და წარმოებას გაჩერებას გადაარჩენთ.

25 ელემენტი (At, Rn, Fr, Ra, Pa, Es, Fm, Md, No, Lr, Rf, Db, Sg, Bh, Hs, Mt, Ds, Rg, Cn, Nh, Fl, Mc, Lv, Ts, Og) ჯერაც ფასდაუდებელია – იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჯერ არ იწარმოება.

ყიდვა-გაყიდვის კანონების თანახმად, საქონლის ფასს მისთვის დახარჯული რესურსი კი არა, მისი ხელში ჩაგდების სურვილი განაპირობებს და პირიქით, ერთი ნივთით რაც უფრო დიდ რამეს იყიდი, მისი ღირებულებაც მით უფრო დიდია.

თუ მართლა ასეა, მაშ, ვერცხლი ყოფილა ყველაზე ძვირფასი მეტალი, რადგან ყველა დროის ყველაზე დიდი გარიგება ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში შედგა – მთელი კაცობრიობის სინდისი და ნამუსი 30 ვერცხლად გაიყიდა...

გურამ
მეგრელიშვილი

როგორ გვითხრას შვილმა, როცა დახმარება სჭირდება

ამ წერილს შეიძლებოდა რქმეოდა „როგორ ვათქმევინოთ შვილს, რომ დახმარება სჭირდება“, მაგრამ არ ჰქვია, რადგან სათაურშივე დავუშვებდით შეცდომას, რომელიც ერთხელ მაინც ყველა მშობელს მოსვლია: ვაიძულებდით მოზარდს იმაზე ლაპარაკს, რაზეც ძალიან უჭირს. არადა, საჭიროა, რადგან ხდება ხოლმე, რომ მოზარდებს უმნიშვნელო პრობლემა აქვთ, მაგრამ იმის გამო, რომ ვერავის უზიარებენ ან არასწორ ადამიანებს ელაპარაკებიან, ეს პრობლემები მოწყვეტილი ზვავივით მოგვიყოლებს ხოლმე ყველას – ბავშვებსაც და მშობლებსაც.

გარდატეხის ასაკს თავისი სირთულეები ახლავს, რომელთა გაუთვალისწინებლობაც არ ივარგებს, თუ სწორი კომუნიკაცია გვინდა. ამიტომ მნიშვნელოვანია სფეროს სანდო წარმომადგენლების, ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოთერაპევტების რეკომენდაციების გათვალისწინება.

როგორი ტიპაჟია? ხომ არ ჯობია, პირისპირ დაისვათ? იქნებ სადმე ბუნებაში გასეირნება ჯობდეს? სმს-ის მიწერა ჯობია თუ დარეკვა და საუბარი? იქნებ სულაც ხელნაწერი ან ელექტრონული წერილი ჯობდეს გასაკვირვებლად?

რა ფორმაც უნდა აარჩიოთ, კარგად გაიაზრეთ სათქმელი, მეტიც – თქმაშიც წაივარჯიშეთ, რადგან ერთი არასწორი სიტყვა და შესაძლოა, თქვენი შვილი საბოლოოდ ჩაიკეტოს საკუთარ თავში. ბავშვმა უნდა იგრძნოს, ირწმუნოს, რომ თქვენთვის არაფერი ადამიანური უცხო არ არის და რომც მოიძებნოს ასეთი რამ, თქვენი მხარდაჭერა იქნება ურყევი, მტკიცე და უსაყვედურო, რაც ასეთ დროს უმთავრესია.

ამისთვის შესაძლოა რამდენიმეთვიანი სამზადისიც კი დაგჭირდეთ. სანამ მთავარ სათქმელზე გადახვიდოდეთ, გამონახეთ დრო და ურთიერთობა დაალაგეთ. შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ ამ პატარა ცვლილებამ პრობლემა უთქმელად გადაჭრას.

შეხედეთ შვილს როგორც ახალი რეალობის, ახალი გამოწვევის წინაშე მდგომ მცირე გამოცდილების მქონე პატარა ადამიანს, შეხედეთ როგორც საკუთარ თავს ამ ასაკში და მხოლოდ ამის შემდეგ გაბედეთ, მაგრამ გაბედეთ, რადგან ეს აუცილებელია.

როდესაც დროს შეარჩევთ და გეცოდინებათ, რაზე უნდა ელაპარაკოთ, მოზომილად და ფრთხილად გაარკვიეთ, რამ შეუცვალა ხასიათი, რამდენი ხანია, ეს აწუხებს და სჭირდება თუ არა დახმარება ან რჩევა. ხომ არ ურჩევნია, მოუყვეს თავის ამბავს ვინმე მესამეს, პროფესიონალს, ან ხომ არ აჯობებდა, უბრალოდ გესაუბრათ ამაზე ყოველგვარი განხილვის გარეშე, რადგან ხშირად მხოლოდ თქმაც კი დიდი შვებაა.

მაგრამ როგორ მოიქცეს მშობელი, თუ შვილი უარობს პრობლემის არსებობას და უფრო მეტად იკეტება? იქნებ მის საუკეთესო მეგობარს დაელაპარაკოს, გამოჰკითხოს, რა ხდება მისი შვილის თავს?

არ გირჩევთ. ამ გამოკითხვამ შესაძლოა შვილის ყურამდე მიაღწიოს, ეჭვი გაუჩინოს, რომ „სიმართლის გაგება“ უფრო გინდათ, ვიდრე მისი დახმარება და ყველაფერი წყალში ჩაგეყაროთ. რაკი ნაბიჯი გადადგმულია, დაელოდეთ, როდის გადმოდგამს ის საპასუხო ნაბიჯს, თქვენ კი სამმაგი დრო დაუთმეთ მასთან პირისპირ კომუნიკაციას. სთხოვეთ დახმარებაც, როცა რაღაც გაწუხებთ. გაუზიარეთ საკუთარი საიდუმლო. ასეთ დროს ადამიანებს შორის ერთგვარი ენერგეტიკული გაცვლა-გამოცვლა ხდება. საიდუმლოს განდობა მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც მსმენელსაც განაწყობს, თავისი გითხრათ.

ნუ მოუყვებით მის ნაამბობს მეუღლეს ან ოჯახის სხვა წევრებს, სანამ ამას თავად არ მოისურვებს, რადგან ერთია, როდესაც თქვენ გენდობიან და მეორეა, როდესაც ამ ნდობას სხვას გადააბარებთ.

დააკვირდით, როდის ეცვლება განწყობა თქვენს შვილს, რას უკავშირდება ეს მომენტი – სწავლას? გადაღლას? იქნებ ოჯახს, სადაც ის თავს კომფორტულად ვერ გრძნობს?

ჩაიწერეთ ყველა ემოცია, რაც დაგეუფლათ, საკუთარი ფიქრები და ამბები და სცადეთ, ნამდვილი, პროფესიონალი ფსიქოლოგივით მიაგნოთ პრობლემას, რომელიც თქვენს შვილს ასე აწუხებს.

დასახეთ სამოქმედო გეგმა და, რაც მთავარია, ლექსიკონში გაამრავლეთ საალერსო სიტყვები, რომლებიც იქნებ დიდი ხანია აღარ გითქვამთ. მოსინჯეთ ყველაფერი, რაც შეგიძლიათ.

თუ ამანაც არ გაამართლა, მიმართეთ ფსიქოლოგს და სცადეთ, მასთან ერთად მოიფიქროთ, როგორ გააღოთ შვილის გულის დაგმანული კარი.

შესაძლოა, ამით ადამიანის სიცოცხლეც კი იხსნათ.

რჩევები კი დაახლოებით ასეთია:

უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს, რა შეიძლება მოჰყვეს ამ საუბარს. ხართ თუ არა მზად ნებისმიერი პასუხის სწორად მისაღებად და ხომ არ ჩაკეტავთ მოზარდს თქვენი შეუსაბამო რეაქციით. ამისთვის საჭიროა, დაივიწყოთ მშობლის როლი და მიუდგეთ შვილს როგორც ძალიან ახლობელ, კარგ მეგობარს, რომელსაც დახმარება სჭირდება და არა შეფასება ან კიცხვა.

ამისთვის უპასუხეთ რამდენიმე კითხვას:

- რატომ უნდა დაველაპარაკო ახლა?
- რა ფორმით ჯობია კომუნიკაცია?
- სავარაუდოდ, რა პრობლემაზე შეიძლება მესაუბროს შვილი?
- მაქვს თუ არა მოსაყოლი ჩემს პრობლემაზე, რომელიც მის ასაკში გადავლახე?
- ვარ თუ არა გულწრფელი მოსმენისას?

კარგი იქნება, თუ კომუნიკაციის დაწყებამდე კარგად გაიაზრებთ ფორმას, რომელიც თქვენს შვილთან გაამართლებს.



შორენა ტყეშელაშვილი

ჯადოსნური მთხრობელი – როგორ მოვყვეთ ამბავს საინტერესოდ

ამბების ლამაზად თხრობა, საინტერესოდ გადმოცემა დღეს, ციფრულ ეპოქაში, არა მხოლოდ მწერლებსა და ჟურნალისტებს გვჭირდება – ვფიქრობ, ეს უნარი ყველა პროფესიის ადამიანებს გამოადგებათ, განსაკუთრებით კი მასწავლებლებს. მათ გამუდმებით უწევთ იმაზე ფიქრი, როგორ გახადონ სწავლების პროცესი უფრო საინტერესო, როგორ მიაწოდონ მოსწავლეს მასალა ისე, რომ ადვილი აღსაქმელი და დასამახსოვრებელი იყოს, როგორ გადმოსცენ სათქმელი ისე, რომ მოსწავლემ იოლად გაიგოს და აითვისოს. კარგი მასწავლებელი გაკვეთილს ისე გეგმავს, რომ მოსწავლე მთელი გულისყურით ერთვება პროცესში და ასეთი გაკვეთილი მისთვის დაუვიწყარი ხდება.

ადამიანებს გვიყვარს ისეთი ისტორიების მოსმენა, რომლებთანაც ემოციურ კავშირს ვგრძნობთ, რომლებიც დავიწყებულს გაგვახსენებს, მოგონებების სიმებს შეგვირხევს, ძველ სურნელს მოიყოლებს ან იმდენად ცოცხალი აღმოჩნდება, რომ მათზე ფიქრი დიდხანს გაგვყვება და ყველასთვის გაზიარებას მოგვანდომებს. ხომ იმისთვის ვკითხულობთ წიგნებს, ვუყურებთ ფილმებს და ვუსმენთ მუსიკას, რომ მოსაწყენი რეალობის მდინარება დროებით შევაჩეროთ?

ზოგიერთ ადამიანს ამბების საინტერესოდ გადმოცემის ნიჭი აქვს, თუმცა შესაძლებელია ამ უნარის განვითარება და ისეთი ფორმების მიგნება, რომელთა წყალობით ამბებს შთამბეჭდაობას შევმატებთ და შესაძლოა, დაუვიწყარიც კი გავხადოთ.

დღეს ჩვენ ბევრი ამბის ტყვეობაში ვართ, თუმცა ყველა ამბავი განსაკუთრებული არ არის. ამიტომაც ვეძებთ უნიკალურ ისტორიებს, რომლებიც ჩვენზე იმოქმედებს, ესთეტიკურ სიამოვნებას მოგვანიჭებს და ცოტა ხნით სხვა განზომილებაში გადაგვიყვანს.

სთორითელერი, სთორითელინგი – ეს სიტყვები ბოლო დროს ხშირად გვესმის. ორივე სიტყვა ამბების მოყოლას უკავშირდება და მთავარი აქაც ისაა, ვინ უფრო საინტერესო, ცოცხალ და შთამბეჭდავ ამბავს მოგვითხრობს, როგორი იქნება მისი ამბავი და თხრობის რა ფორმებს გამოიყენებს ჩვენს დასაინტერესებლად. სთორითელერი მთხრობელია, რომელიც სიტყვით აჯადოებს მსმენელს, წარმოსახვას ულვიძებს და თავისი ამბების სამყაროში იტაცებს.

რამდენიმე წლის წინ მეუღლესთან ერთად მოკლე ვიდეოფილმი გადავიღე წალკის რაიონში მცხოვრებ ახალგაზრდა მასწავლებელ ირა ძირკვაძეზე. გადაღებების წინ ვფიქრობდით, საინტერესოდ როგორ გვეჩვენებინა ახალგაზრდა მასწავლებლის საქმიანობა და ცხოვრება რეგიონში, ვეძებდით ფორმას, რომ ვიდეოს თავისი მაყურებელი ეპოვა და თავი დაემახსოვრებინა. სანამ გადაღებას შევუდგებოდით, ირასთან წინასწარ გავიარეთ დეტალები, შევთანხმდით კადრებზე და იმაზე, რა იქნებოდა გადაღებისთვის კარგი და საინტერესო. ვიდეო შშვენიერი გამოვიდა. ირას ამბავში ახალი ის იყო, რომ ახალგაზრდა და მოტივირებული მასწავლებელი წალკის რაიონის სოფელში ასწავლიდა, მოსწავლეების საჭიროებებს იცნობდა, მათთან დაახლოებლად ახალ-ახალ გზებს პოულობდა – ხან ველოსიპედით სეირნობდა მათთან ერთად, ხან ფეხბურთს ეთამაშებოდა და გაკვეთილებსაც ისე გეგმავდა, რომ ამ პროცესის მთავარი გმირი მოსწავლე ყოფილიყო.

ირას უყვარს თავისი პროფესია და მისი მნიშვნელობაც კარგად ესმის. ჩვენი ვიდეოს შემდეგ ირას საქმიანობა სხვა ტელევიზიებმაც გააშუქეს, გაზეთებმაც დაწერეს მასზე და სოფელ გუმბათსაც ბევრჯერ ესტუმრნენ. ერთი სიტყვით, „ვოგონა მზის ჩასვლის მხარიდან“, როგორც ამბავი, შედგა და თავისი აუდიტორია იპოვა.

როდესაც ამბის თხრობას ვიწყებთ, ზეპირად, წერილობით თუ სხვა ფორმით, მნიშვნელოვანია, თავად გვქონდეს მასთან ემოციური კავშირი, რათა შეგვეძლოს, სხვასაც გავუზიაროთ ეს ემოცია და უფრო მიმზიდველი გავხადოთ ჩვენი ნაამბობი. ასევე მნიშვნელოვანია, როგორ მივიტანთ ჩვენს ამბავს აუდიტორიამდე და რა ინსტრუმენტებს გამოვიყენებთ ამისთვის.

სანამ ჩვენი ამბის გაზიარებას შევუდგებოდეთ, კარგი იქნება, წინასწარ დავსვათ რამდენიმე კითხვა და შევაფასოთ ამბის პოტენციალი.

- როგორი ამბავია საინტერესო და როგორ ამბავს მოვუსმენდი, წავიკითხავდი ან ვნახავდი?
- როგორ მოვყვე ჩემს ამბავს, როგორ ავაწყო მისი სტრუქტურა ისე, რომ საინტერესო და მიმზიდველი გავხადო?
- რაგვარ ჭრილში უნდა დავინახო და დავანახვო სხვებს ეს ამბავი, როგორი კუთხე მოვუძებნო?
- რა მიზანი აქვს ჩემს ამბავს? რას გვაძლევს ის, რატომ უნდა ავირჩიოთ და რა ღირებულების მატარებელია?

დღეს ინფორმაციების, ამბებისა და ისტორიების ზღვაში გვიწევს ტივტივი, ყველაფრის წასაკითხავად, მოსასმენად და სანახავად ვერც კი ვიცლით და ყურადღების მიპყრობაც საკმაოდ ძნელია. თუ ვიცით, რომ ჩვენს ამბავს აქვს რაღაც განსაკუთრებული მახასიათებელი, რაღაცით უფრო მეტია იმაზე, რაც ჩვენ ირგვლივ ირევა, უფრო მიმზიდველია, მეტი ღირებულების მქონე, ის აუცილებლად იპოვის თავის აუდიტორიას.

სწორედ ამ მიზნით და ამ პრიორიტეტების გამო ვირჩევთ ჩვენც სხვა ამბავს, წინასწარ ვარკვევთ, რა სარგებელს მოგვცემს ის და რატომ უნდა დავუთმოთ მას დრო.

ჩემი საყვარელი სთორითელერი კი ჩემი ბებია იყო, ისტორიების უბადლო მთხზველი და ძველი ამბების ჩვენამდე მომტანი. ბებია, რომელსაც სკოლაში არ უვლია, მაგრამ ჩინებული უნარი ჰქონდა, ძველი ამბები ისე გაეცოცხლებინა, რომ ხელშესახები და დასანახი გაეხადა პატარა შვილიშვილებისთვის. ზამთრის ცივ საღამოებში, როცა ბებია მის საწოლში შეყუჟულებს ან ბუხართან, ჭრაქის შუქზე მოკალათებულებს, გვიყვებოდა ათას ამბავს, ზოგს – მართლა თავს გადახდენილს და ზოგსაც – მოგონილს, ჩვენი წარმოსახვა ფრთებს შლიდა და გვინდოდა, ბებიას არასდროს დაესრულებინა თხრობა. კარგი სთორითელერობაც ალბათ ეს არის – მოჰყვე ისე, რომ არ დაღალო, თავი არ მოაბეზრო მსმენელს.

„არ დაგავიწყდეს თამაში!“

თამთა დოლიძე

დღეისათვის საგანმანათლებლო სივრცეში თამაშის გამოყენების საჭიროება კითხვის ნიშნის ქვეშ აღარ დგას, თუმცა არცთუ ისე შორეულ წარსულში თამაში და სასწავლო პროცესი მკვეთრად იყო გამიჯნული. მასწავლებლები გვიხსნიდნენ, ჩვენ ვუსმენდით, ვიზუთხავდით, ვაბარებდით... ვისხედით მერხთან წელგამართულები, უმეტესად ზურგზე აკრული ხელებით. თუ მარცხენა კალმისკენ გაგვექცეოდა, აუცილებლად მტკივნეულად შეგვახსენებდნენ, რომ ამ ხელს მხოლოდ ფურცელი უნდა გადაეშალა ან მარჯვენისთვის სამელნე მიეწოდებინა... ეს რეალობა ალბათ ყველას კარგად გვახსოვს. მიხარია, რომ იმ გარემოში არ მიწევს სწავლება, სადაც ბავშვობა სახაზავის ტკაცუნთან მთავრდებოდა და ზურგის ჯვებირით გადატიხრულ ხელებში გვაბერდებოდა. ახლა თითქოს სხვა დროა. ბავშვს თავი იქით უნდა „მოაწონო“ - სწავლა მოანდომო, დააინტერესო... მაგრამ ხანდახან მაინც გვესმის: „გართობაში ვიხდი ფულს?!“, „ვათამაშო კი არა, დაჯდეს და დაიზეპიროს, ერთ ლექსს ვერ იტყვის ამხელა ბავშვი!“ - და ა.შ. სიმართლე გითხრათ, სულაც არ მიკვირს ამ ადამიანების სკეპტიკური დამოკიდებულება თანამედროვე სწავლა-სწავლების მეთოდების მიმართ, რადგან ისინი ჩემი ბავშვობის სკოლაში გაიზარდნენ და მშობლების ამპლუაში დაბრუნებულებს სულ სხვა სასწავლო გარემო დახვდათ.

აქვე გავიხსენებ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ღია გაკვეთილს, რომლის იდეაც სწორედ ზემოაღნიშნული კითხვების საპასუხოდ დაიბადა. საკლასო ოთახის კარი შევაღე, ჩვეული მისალმების შემდეგ პროექტორით კედელს ცნობილი მხატვრის მარკ ჯონსის „მივახატე“ და ვთქვი:

არ დაგავიწყდეთ თამაში!



უპირველეს ყოვლისა, ნახატზე გამოსახული დეტალები ამოვწერეთ: საათის ციფერბლატი, ისრები, საქანელა და ზემოაღნიშნული წარწერა.

სკოლის დისტანციურ ფორმატში გადატანამ ელექტრონული ინსტრუმენტების საჭიროება უფრო მძაფრად დაგვანახა, რადგან ვირტუალური სასწავლო პროცესის მათ გარეშე წარმართვა თითქმის შეუძლებელი გახდა.

ბევრი ვიფიქრეთ თუ ცოტა, ავტორს სათქმელს მაინც მივუხვდით. დროის დინებამ, ზრდამ შესაძლოა თამაშის სურვილი, სილაღე და ბავშვობის სიმსუბუქე წაგართვას, ამიტომაც გვიკეტავს ისრები (ჟამთასვლის სიმბოლო) საქანელებისკენ (თამაშის შესაძლებლობისკენ) მიმავალ გზას. მაგრამ თამაში მარტო გართობა ხომ არ არის?! მაშ, რითაა ის ასე მნიშვნელოვანი, რა როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში? ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მივედით გაკვეთილის მთავარ თემამდე.

საკუთარი ნაზრევი მოსწავლეებმა ფურცლებზე გადაიტანეს. ჩამოწერეს იმ მოვლენების სიაც, რომელთა დავიწყებასაც არასდროს ისურვებდნენ. ბოლოს კი გაიხსენეს მათთვის ყველაზე საინტერესო გაკვეთილები, რომლებიც თამაშის ელემენტებით იყო გაჯერებული და დაასკვნეს, რომ თამაში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ყოფილა.

სკოლის დისტანციურ ფორმატში გადატანამ ელექტრონული ინსტრუმენტების საჭიროება უფრო მძაფრად დაგვანახა, რადგან ვირტუალური სასწავლო პროცესის მათ გარეშე წარმართვა თითქმის შეუძლებელი გახდა. მოსწავლეთა მოტივირებისთვის საგანმანათლებლო თამაშების „გაციფრულებაც“ დაგვჭირდა. რა თქმა უნდა, ციფრული რესურსები პანდემიამდეც იქმნებოდა, თუმცა გასულმა წელმა მნიშვნელოვნად დააჩქარა სასწავლო პროცესში მათი მასობრივი დანერგვა.

დღეს ელექტრონული სასწავლო რესურსების მოძიება ან შექმნა სირთულეს აღარ წარმოადგენს. ერთ-ერთი ასეთი ციფრული პლატფორმა გახლავთ ყველა „ბუკში“ ჩატვირთული „ვსწავლობთ თამაშით“. ის სასწავლო პროცესის ინტერაქციული თამაშებით გამდიდრებაზეა ორიენტირებული და თან ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას გვიადვილებს. http://play.geolab.edu.ge/

„ვსწავლობთ თამაშით“ 2018 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით შეიქმნა. ის I-IV კლასების მოსწავლეებისთვისაა განკუთვნილი. მისი გამოყენება შეგიძლიათ როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ განათლებასთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად. ელექტრონული პლატფორმა ხელს უწყობს ბავშვებში ისეთი უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება, კომუნიკაცია და თანამშრომლობა, პრობლემის ეფექტურად გადაჭრა, შემოქმედებითობა და სხვ.

ციფრული რესურსი შექმნილია ინკლუზიური განათლების პრინციპების დაცვით, რაც, თავის მხრივ, დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვას განაპირობებს. ის მრავალფეროვანი ინდივიდუალური და ჯგუფური აქტივობების ჩატარების საშუალებას გვაძლევს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლეთა მოტივაციასა და ეფექტიანობას.

ინსტრუქციაში გაეცნობით ელექტრონული პლატფორმის ძირითად მახასიათებლებს და სწორად ორიენტირებისთვის საჭირო ინფორმაციას. აპლიკაციაში ნახავთ საგნობრივ მატრიცებს, რომლებიც სასწავლო პროცესში რესურსის მიზნობრივად გამოყენებას გაგიადვილებთ. მატრიცებთან ერთად შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ეროვნული სასწავლო გეგმა და საგაკვეთილო რესურსი (ტექსტები კლასების მიხედვით და სხვ.).

აღნიშნული ინსტრუმენტის დახმარებით ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე შეგიძლიათ შექმნათ ხმოვანი ილუსტრაციები და კომიქსები. მოსწავლეებს თავიანთ ნამუშევრებთან მრავალჯერ მიბრუნების და მათი რედაქტირების საშუალება აქვთ. წაკითხული ტექსტების სიღრმისეული გააზრებისთვის ვერბალური ინფორმაციის ვიზუალიზება გამოცდილი და ეფექტური მეთოდია, პროგრამა კი დისტანციურ სივრცეში ამ აქტივობის შემოტანას უზრუნველყოფს.

„ვსწავლობთ თამაშით“ მხოლოდ ქართულ ენასა და ლიტერატურასთან დაკავშირებული აქტივობებით არ შემოიფარგლება. მისი გამოყენება მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, მუსიკისა და ხელოვნების მასწავლებლებსაც შეუძლიათ.

დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა ლეპტოპებში ასევე ჩატვირთულია კითხვის სწავლებასთან დაკავშირებული თამაშები: ინტერაქციული ანბანი, სიტყვობანა, მარცვლობანა და სხვ. აღნიშნული თამაშები ქართული ენისა და ლიტერატურის პირველი კლასის მოსწავლეებს ან ენის შესწავლით დაინტერესებულ პირებს კითხვის პროცესთან დაკავშირებული პირველი ნაბიჯების გადადგმას გაუადვილებს.

ინტერაქციული ანბანი | კლასის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი ციფრული საგანმანათლებლო რესურსია. ის ქართულ ანბანთან დაკავშირებული ცოდნის განმტკიცებაზეა ორიენტირებული. რესურსი აჩვენებს ანბანის ასოებს, ახმოვანებს მათ, ასახელებს არჩეულ ასოზე დაწყებულ სიტყვებს, გვაჩვენებს მათ მოხაზულობას.

სიტყვობანა ზემოაღნიშნული თამაშის ერთგვარი გაგრძელებაა. ამ რესურსის დახმარებით მოსწავლეები ანბანის გამოყენებით სიტყვების აწყობას ისწავლიან, რაც კითხვასთან ერთად წერითი უნარების განვითარებასაც მოიცავს. გარდა ამისა, მოთამაშე ხედავს გამოსახულებას და ისმენს მის შესაბამის სიტყვას, რაც ლექსიკური ერთეულის ვიზუალური და ბგერითი ხატის აღქმას უწყობს ხელს. საკლასო ოთახში ზემოაღნიშნული აქტივობისთვის ანბანის ბარათებს ან მაგნიტურ ანბანს ვიყენებ, დისტანციურ სასწავლო პროცესში კი ეს რესურსი მართლაც შეუცვლელია.

მარცვლობანა, წინა აპლიკაციების მსგავსად, მოსწავლეებს საანბანო პერიოდთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების განვითარებაში ეხმარება და სიტყვების სწორად დამარცვლას აჩვევს. სიტყვის მარცვლებად დაშლა-აწყობა წერა-კითხვის პროცესის უმნიშვნელოვანესი ბერკეტია. ამ საკითხთან მიბრუნება დაწყებითი საფეხურის ფარგლებში არაერთხელ დამჭირვებია, რადგან მოსწავლეთა ნაწილს უძნელდება სიტყვის გადატანასთან დაკავშირებული წესების გააზრება, ლექსიკური ერთეულების სწორად დაშლა ან ნაწილების გამთლიანება. შესაძლოა, სიტყვის ვიზუალი დაიმახსოვროს და სხვა სიტყვების ჯაჭვშიც ამოიცნოს, მაგრამ მარცვლებად დაშლილი ვერაფრით გაამთლიანოს. „მარცვლობანას“ კლასში წებოვანი ფურცლების გამოყენებითაც ვთამაშობთ. დაფაზე ვწერ რამდენიმე ნაცნობ სიტყვას, შემდეგ არეულად ვაწებებ ამ სიტყვებში არსებულ მარცვლებს (ქარმა დაუბერა და მარცვლები ფოთლებივით მიმოფანტა...) და მოსწავლეებს მათ სწორად დალაგებას ვთხოვ. ზემოაღნიშნული აქტივობა დამარცვლასთან დაკავშირებულ სტრესს ამსუბუქებს და კითხვის პროცესი უფრო სახალისო ხდება.

ციფრული რესურსი შექმნილია ინკლუზიური განათლების პრინციპების დაცვით, რაც, თავის მხრივ, დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვას განაპირობებს.

იმედს ვიტოვებ, რომ ახალი სასწავლო წლის საკლასო ოთახებში წარმართვას შევძლებთ, მაგრამ თუ მაინც ვირტუალურ ფანჯრებში მოგვიხდა შებრუნება, ზემოაღნიშნული ელექტრონული პლატფორმების მსგავსი თამაშები ცოტათი მაინც შეგვიმსუბუქებს დისტანციური საგანმანათლებლო პროცესის თანამდევ სირთულეებს, ან თავად შევქმნით „ნავს“, რომელიც საჭირო ნაპირზე გაგვიყვანს.

თამთა კობახიძე

ხარისხის უზრუნველყოფა როგორც სასკოლო კულტურის ნაწილი

სკოლაში შიდა შეფასების დროს ან, საზოგადოდ, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ჩამოყალიბებისას ყურადღება უმთავრესად სასწავლო პროცესზე, მის მიმდინარეობასა და მოსწავლეთა შედეგებზე მახვილდება.

სწავლის შედეგებზე სასკოლო კულტურის გავლენა მრავალი კვლევით არის დადასტურებული. საინტერესოა, როგორია სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის წილი სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებაში; განსხვავდება თუ არა სკოლის ტიპის მიხედვით სასკოლო კულტურა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა; რა როლს ასრულებს ღირებულებითი ნაწილი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში და როგორია სასკოლო კულტურაზე მისი გავლენა.

სკოლაში შიდა შეფასების დროს ან, საზოგადოდ, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ჩამოყალიბებისას ყურადღება უმთავრესად სასწავლო პროცესზე, მის მიმდინარეობასა და მოსწავლეთა შედეგებზე მახვილდება. რა თქმა უნდა, ეს არსებითად მნიშვნელოვანია, თუმცა იმ ფაქტორების შესწავლა, რომლებიც გავლენას ახდენს სასკოლო შედეგებზე, ასევე აუცილებელია. თუ სასწავლო პროცესს მხოლოდ კონკრეტული საგნობრივი კომპეტენციების ჭრილში არ განვიხილავთ და გავითავისებთ, რომ ის ღირებულებით ნაწილსაც მოიცავს, ცხადი გახდება, რომ სამოქალაქო კომპეტენციები ხშირად შეფასების მიღმა რჩება. თუმცა სასკოლო განათლების სისტემებში არსებობს ისეთი პრაქტიკები, სადაც სამოქალაქო კომპეტენციების სიღრმისეული შეფასება და საგნობრივი კომპეტენციების შეფასებასთან ინტეგრირება ხდება.

განვიხილავთ გერმანიის ერთ-ერთი მიწის (რეგიონის) მოდელს, სადაც ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა აქცენტს სწორედ სამოქალაქო კომპეტენციების შეფასებაზე სვამს. ამ მოდელის მიხედვით, განისაზღვრება შეფასების ოთხი სფერო, რომლებიც, თავის მხრივ, თორმეტ მიმართულებად იშლება:

1. სწავლის შედეგები
   ა) სასკოლო მიღწევები;
   ბ) პიროვნული და სოციალური განვითარება;
   გ) სამომავლო განვითარება (მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის უნარი).

2. საგაკვეთილო პროცესი
   ა) გაკვეთილისთვის დათმობილი დროის ხანგრძლივობა;
   ბ) გაკვეთილის ხარისხი;
   გ) სირთულეები სწავლის დროს.

3. პროცესები სასკოლო დონეზე
   ა) სკოლა როგორც სასწავლო გარემო;
   ბ) სკოლა როგორც სოციალური გარემო;
   გ) სკოლა როგორც სამუშაო გარემო.

4. სასკოლო გარემო
   ა) სკოლა და მშობლები;
   ბ) სკოლა და თემი;
   გ) სკოლა და მაკონტროლებელი.

სწავლის შედეგები:

სასკოლო მიღწევები – აქ მოიაზრება არა მხოლოდ წლისა თუ საფეხურის ბოლოს მიღებული განმსაზღვრელი შეფასება, არამედ სასწავლო პროცესის ყოველდღიური, თვისებრივი შეფასება. კითხვები, რომლებსაც სკოლამ უნდა უპასუხოს, შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: რა ცოდნა, უნარები და კომპეტენციები მიიღეს მოსწავლეებმა კონკრეტულ საფეხურზე? როგორ გამოიყურება აღნიშნული მიღწევები წინა წელთან შედარებით – მოსწავლეთა მიმართ არსებულ მოლოდინთან შედარებით მაღალია თუ დაბალი? როგორია მაღალი და დაბალი მიღწევების მქონე მოსწავლეთა შორის განსხვავება, იზრდება თუ მცირდება ყოველწლიურად?

მიღწევების შეფასებისას ერთ-ერთ მეთოდად გამოიყენება **მოსწავლეთა პორტფოლიო**. ზოგადი განათლების სისტემებში მოსწავლეთა მიღწევები მეტწილად იმის მიხედვით იზომება, როგორი წარმატებით აბარებენ ისინი გამოსაშვებ გამოცდებსა და ტესტებს. მსგავსი ინდიკატო-

რით განისაზღვრება, რა ცოდნასა და კომპეტენციებს ფლობენ მოსწავლეები კონკრეტულ სფეროში დროის იმ მონაკვეთში და არა საზოგადოდ მიღწევების მაჩვენებელი. ამ დროს მოსწავლეთა პორტფოლიოების შესწავლა, რომლებიც მოიცავს ერთი წლის ან სემესტრის განმავლობაში მოსწავლეთა სასკოლო ნამუშევრებს, ნამდვილად იძლევა ზოგადი სურათის აღქმის შესაძლებლობას.

მოლოდინები – რადგან სკოლები მოსწავლეთა შერეულ ჯგუფებთან მუშაობენ, ყოველი მოსწავლის წარმატების მაჩვენებელი ცალკეულ შემთხვევად უნდა იქნეს განხილული და მხედველობაში უნდა მივიღოთ ის პროგრესი, რომელიც, მაგალითად, მოსწავლეებმა წინა წლის შედეგებთან შედარებით აჩვენეს. ამ შემთხვევაში ე.წ. მატების კოეფიციენტი განისაზღვრება მოსწავლის მიერ სკოლის დასრულებისას და მას ადარებენ სავარაუდო მაჩვენებელს – რა მოლოდინებიც არსებობდა კონკრეტულად მის მიმართ. მოლოდინის კოეფიციენტის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მოსწავლის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, მიმდინარე შეფასებები და ასაკობრივი თავისებურებები.

საფეხურის დამამთავრებელი ჯგუფები როგორც ინდიკატორი – თუ სკოლაში სამივე საფეხურზე მიმდინარეობს სწავლება, შეგვიძლია გამოვთვალოთ, ყოველი ასი მოსწავლიდან, რომლებმაც, მაგალითად, სწავლა დაიწყეს 2001 წელს, რამდენმა მიაღწია წინასწარ დადგენილ შედეგებს და ა.შ.

კოლეგიური შეფასება (peer review) – ხარისხის კრიტერიუმები, რომლებსაც სასკოლო შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, ყველაზე კარგად იზომება ტესტისა და გამოცდის შედეგებთან შედარებისა და შეპირისპირებისას. პროცესში გამოყოფენ შიდასასკოლო, სკოლების დონეზე და რეგიონის დონეზე არსებულ მიდგომებს. შიდასასკოლო შეფასებისას ტესტისა და გამოცდის შედეგების შეფასება ხდება ერთი და იმავე საგნის სხვადასხვა მასწავლებლის მიერ. განიხილება შეფასებებს შორის არსებული განსხვავებებიც. სასკოლო დონეზე ამ მიდგომის გამოყენებისას მასწავლებელთა ჯგუფი (კონკრეტული საგნის) ეძებს მსგავს სკოლებს და სთხოვს ამ სკოლების მასწავლებლებს, მათგან დამოუკიდებლად შეაფასონ მოსწავლეთა ნამუშევრები. რეგიონულ დონეზე კი მიდგომის განვრცობა ხდება განსხვავებული ტიპის სკოლებზე.

პიროვნული და სოციალური განვითარება

პიროვნული და სოციალური განვითარება განიხილება როგორც სწავლის შედეგების არსებითი შემადგენელი ნაწილი. მოკლედ რომ ვთქვათ, კონკრეტულ საგნობრივ კომპეტენციებში მაღალი ნიშნები არ წარმოადგენს სწავლის შედეგის მიღწევის დასტურს. პიროვნული და სოციალური განვითარება გულისხმობს როგორც ზოგადი განათლების მიზნების მთლიანობას, ასევე კონტექსტს, შინაარსს, სადაც ყოველი მოსწავლის მიღწევა აზრს იძენს. კითხვები, რომლებსაც სკოლამ ამ ნაწილში უნდა უპასუხოს, შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- რამდენად წარმატებულია სკოლა მოსწავლეების ისეთი უნარების განვითარების თვალსაზრისით, როგორიცაა საკუთარი თავის, მოქალაქეებისა და სხვების პატივისცემა? გუნდურობა, ინიციატივის გამოჩენა და მომავლისადმი პოზიტიური და შემოქმედებითი მიდგომა?
- რამდენად გათვალისწინებულია სასკოლო გარემოში სოციალური მდგომარეობის, სქესთა შორის განსხვავებების, განსხვავებული შესაძლებლობებისა და სხვა ასპექტებით გამოწვეული უთანასწორობისა და არათანაბარუფლებიანობის დაძლევის გზები?
- რამდენად ხშირად მიმდინარეობს მასწავლებლებთან ღირებულებებსა და პირად თუ სოციალურ განვითარებაზე მსჯელობა და არის თუ არა კოლექტივში თანხმობა ღირებულებით საკითხებზე?
- რა მტკიცებულებებს ვეყრდნობით პერსონალური და სოციალური განვითარების შეფასებისას და როგორ მიმდინარეობს მოსწავლეთა თვითშეფასების პროცესი?

სამოქალაქო კომპეტენციების (როგორც პიროვნული და სოციალური განვითარების ერთ-ერთი კომპონენტის) შესაფასებლად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი. ერთი მათგანია **კითხვარი,** რომელიც აუცილებლად უნდა იძლეოდეს ინფორმაციას იმაზე, რა ღირებულებების მატარებელნი არიან მოსწავლეები. მაგალითად, კითხვარში უნდა იყოს ისეთი მორალური დილემები, როგორიცაა კანონის დარღვევა და პასუხისგება („შემიძლია დავარღვიო კანონი, მთვარია, არ დამიჭირონ“), გენდერული თანასწორობა („ქალმა შეიძლება ისევე კარგად მართოს თვითმფრინავი, როგორც მამაკაცმა“), სიტყვის თავისუფლება („ვინც არ ეთანხმება მთავრობის პოლიტიკას, შეუძლია ქუჩაში აქციით გააპროტესტოს“) და ა.შ.

თუ სასწავლო პროცესს მხოლოდ კონკრეტული საგნობრივი კომპეტენციების ჭრილში არ განვიხილავთ და გავითავისებთ, რომ ის ღირებულებით ნაწილსაც მოიცავს, ცხადი გახდება, რომ სამოქალაქო კომპეტენციები ხშირად შეფასების მიღმა რჩება.

კრიტიკული სიტუაციების **როლური თამაში** შეფასების ერთ-ერთ მეთოდად განიხილება. ამ შემთხვევაში საშუალება გვაქვს, დავაკვირდეთ და შევაფასოთ ქცევა, სამოქალაქო კომპეტენციები. მაგალითად, რასისტული ქცევა, ფულით სავსე საფულის პოვნა, ფიზიკური ძალადობის გამოვლინება და ა.შ.

Q-SORT – მოსწავლეებს ეძლევათ გამოგონილი პერსონაჟები ხასიათის მკვეთრად გამოხატული თვისებებით. მაგალითად, გიორგიმ მეგობარს გადააბრალა დანაშაული, მაშინ როდესაც თავად იყო ინციდენტის ინიციატორი. მოსწავლეებს ურიგდებათ ბარათები, რომლებზეც ფრაზებია დაწერილი და მათ ისინი ოთხ კატეგორიად უნდა გაანაწილონ („ზუსტად ისეთი პერსონაჟია, როგორიც მე ვარ“, „დაახლოებით ჩემნაირია“, „ცოტათი მგავს“, „არანაირი მსგავსება არ გვაქვს“).

ფოკუსჯგუფები – დროდადრო მასწავლებლები პატარა ჯგუფებად იკრიბებიან და მსჯელობენ მოსწავლეებში პიროვნული და სოციალური კომპეტენციების განვითარების დონის შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლისა და დისკუსიის ფორმატში შესაძლებელია მოსწავლეთა განვითარების კონკრეტული ფაზის განსაზღვრა. შეიძლება გამოვიყენოთ კითხვარი როგორც დამხმარე ინსტრუმენტი. როდესაც დისკუსიის ფორმატში მიღწეულ იქნება შეთანხმება კონკრეტული მოსწავლის პირადი თუ სოციალური პრობლემების შესახებ, გროვდება სხვადასხვა მონაცემი ეთიკური პრინციპების დაცვით და დგება სტრატეგია ამ კომპეტენციაში მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებისთვის.

დოკუმენტური ანალიზი – მოსწავლეთა მიერ სასწავლო წლის განმავლობაში შექმნილი მასალები გროვდება და ფასდება სამოქალაქო კომპეტენციების ჭრილში. ეს შეიძლება იყოს საკლასო და სასკოლო პროექტების შედეგები. საორიენტაციო კითხვები შესაძლებელია ამგვარად ჩამოყალიბდეს: როგორ წარმოადგენს თავად მოსწავლე მასალას? შექმნილი მასალა რა ტიპის/ როგორი ხასიათის მოსწავლეზე მიუთითებს? რა სამოქალაქო კომპეტენციებს ფარავს პროექტის შექმნით მიღებული შედეგი?

სამომავლო განვითარება (მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის უნარი)

ამ ნაწილში ფასდება მოსწავლის შესაძლებლობები სკოლის დასრულების შემდეგ – შეძლოს საზოგადოებაში ადაპტაცია, სამუშაო ადგილის პოვნა/შექმნა, სამომავლო განვითარება და ა.შ. კითხვები, რომლებსაც სკოლამ პასუხი უნდა გასცეს, შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: როგორ ხედავენ მოსწავლეები საკუთარ მომავალს (სად აპირებენ სწავლის გაგრძელებას)? რამდენად შეესაბამება მათი გეგმა მათ რეალურ კომპეტენციებსა და პიროვნული განვითარების უნარს? რა წვლილი შეიტანა სკოლამ ამ გარდამავალი ეტაპისთვის მოსწავლეების მომზადებაში? მოსწავლეთა მოლოდინები პროფესიულ მომავალთან მიმართებით განსხვავდება თუ არა მათი სქესის, სოციალური კაპიტალისა და ეთნიკური ნიშნის მიხედვით?

შეფასების მეთოდად შეიძლება გამოვიყენოთ კითხვარი, ანგარიშების შესწავლა და მეორადი მონაცემების ანალიზი.

მოამზადა ირმა კახურაშვილმა

მოსწავლის პერსონალური საგანმანათლებლო ტრაექტორიის ორგანიზება

როდესაც მეშვიდეკლასელი დათუნა ახალ სკოლაში გადაიყვანეს, მაშინვე მოუკლო სწავლას და პრობლემები შეექმნა. ძველ სკოლაში ის მაღალ ქულებს იღებდა, მაგრამ ახალ სასწავლო გარემოში მოხვედრისთანავე თავის თავში ჩაიკეტა. მას არ სურდა ძველი სკოლის მიტოვება, ამიტომ ახალ პედაგოგებს გაუუცხოვდა. ვერც თანაკლასელებთან პოულობდა საერთო ენას. საშინაო დავალებებსაც ხან ასრულებდა, ხან – არა. მასწავლებლები თუ რამეს ჰკითხავდნენ, დუმდა ან პასუხობდა, რომ მზად არ იყო.

იმისთვის, რომ მსგავსი სიტუაცია არ გართულდეს და მოსწავლეს სწავლის მიმართ უარყოფითი ემოციები არ გაუჩნდეს, უნდა ვეცადოთ, შევადგინოთ ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამის ასეთი ტრაექტორია დაეხმარება მოსწავლეს, გაუმკლავდეს უცაბედ სირთულეებს. ამ სტატიაში ტრაექტორიის ფორმირების წარმატებულ და ძირითად პრინციპებზე ვისაუბრებთ.

მოდი, დავადგინოთ, რას წარმოადგენს ინდივიდუალური ტრაექტორია. ინდივიდუალური ტრაექტორიის დროს ფოკუსი იცვლება და ბავშვი ხდება თავისივე განათლების სუბიექტი, წინ წამოიწევს მისი ინტერესები, შესაძლებლობები და მოთხოვნილებები. ინდივიდუალური საგანმანათლებლო ტრაექტორიის მთავარი პრინციპია, მოსწავლე გახდეს საგანმანათლებლო პროცესის აქტიური მონაწილე. ის უშუალოდ უნდა მონაწილეობდეს ტრაექტორიის არჩევაში და პასუხისმგებელი იყოს ამ არჩევანზე. მასწავლებლის ამოცანა კი არა მხოლოდ მისი დონის შესაბამისი დავალებების მიცემაა მოსწავლისთვის, არამედ დახმარებაც დამოუკიდებელი არჩევანის გაკეთების დროს.

მაგალითად, ინდივიდუალურ მიდგომასთან არანაირი კავშირი არ აქვს იმას, როდესაც მასწავლებელი კლასს სუსტ და ძლიერ მოსწავლეებად ყოფს და, შესაბამისად, მათ სხვადასხვა სირთულის ამოცანებს აძლევს. ასეთი მიდგომა მხოლოდ ზრდის უთანასწორობას ჩამორჩენილ და წარმატებულ მოსწავლეებს შორის.

თუ შინაარსს განვიხილავთ როგორც ერთიან საგანმანათლებლო მასალას, ხოლო ინდივიდუალიზაციას – როგორც ამ მასალის დაუფლების გზების კონტექსტს, ლოგიკურია, რომ ეს გააფართოებს შესაძლებლობებს, ხელს შეუწყობს თანასწორობას, რადგან გააფართოებს ერთი და იმავე საგანმანათლებლო მასალის დაუფლების ხერხების არსენალს.

განათლების ინდივიდუალიზაციის ამოცანაა, ასწავლოს ბავშვებს, დამოუკიდებლად მართონ თავიანთი საგანმანათლებლო ტრაექტორია. ამ პრობლემის წარმატებით გადაჭრა სხვადასხვა გზით შეიძლება. გთავაზობთ ხუთ ძირითად ნაბიჯს.

ნაბიჯი პირველი: მომზადება

თქვენ შეგიძლიათ, დათუნას მშობლები სკოლაში გამოიძახოთ და უთხრათ, რამდენად

იმისთვის, რომ მსგავსი სიტუაცია არ გართულდეს და მოსწავლეს სწავლის მიმართ უარყოფითი ემოციები არ გაუჩნდეს, უნდა ვეცადოთ, შევადგინოთ ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამის ასეთი ტრაექტორია დაეხმარება მოსწავლეს, გაუმკლავდეს უცაბედ სირთულეებს.

თუ შინაარსს განვიხილავთ როგორც ერთიან საგანმანათლებლო მასალას, ხოლო ინდივიდუალიზაციას – როგორც ამ მასალის დაუფლების გზების კონტექსტს, ლოგიკურია, რომ ეს გააფართოებს შესაძლებლობებს, ხელს შეუწყობს თანასწორობას, რადგან გააფართოებს ერთი და იმავე საგანმანათლებლო მასალის დაუფლების ხერხების არსენალს.

რთულია მათი შვილის აღზრდა, სთხოვოთ, რომ მასზე რაიმე გავლენა მოახდინონ. შეგიძლიათ, დათუნას დამატებითი დავალებები, ესეები და ტესტები მისცეთ. მაგრამ ეს მიდგომები არ იმუშავებს.

ინდივიდუალური საგანმანათლებლო ტრაექტორიის აგებისას მნიშვნელოვანია რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება:

1. მოსწავლის ასაკი

უმცროსკლასელი მოსწავლე მოზარდისგან არა მხოლოდ ცოდნით, არამედ ფსიქოლოგიური მომზადებითაც განსხვავდება. თუ მასწავლებელმა წარმატებით განახორციელა ინდივიდუალური სწავლება მეცხრეკლასელთან, მეორეკლასელ მოსწავლესთან იგივე სქემა არ იმუშავებს. ძალიან კარგი იქნება, თუ გამოჩნდა შესაძლებლობა, საქმეში სკოლის ფსიქოლოგი ჩაერთოს, რათა განსაზღვროს ბავშვის ძლიერი მხარეები, სწავლისთვის მისი ფსიქოლოგიური მზადყოფნა.

2. მოსწავლეთა აქტივობის ხარისხი

სწავლა შეიძლება განხორციელდეს მასწავლებლის ინიციატივით და მოიცავდეს მოსწავლის აქტივობის ელემენტებს. მაგალითად, მასწავლებელი ირჩევს თემას და დავალების სირთულეს, ხოლო მოსწავლე მხოლოდ მათ რაოდენობას განსაზღვრავს.

მომდევნო ეტაპი დგება, როდესაც მასწავლებელი და მოსწავლე თანასწორნი არიან სწავლის ორგანიზებაში აქტივობის თვალსაზრისით: მოსწავლე იღებს ინიციატივას დავალებების ფორმატის არჩევისას, თავად ეძებს თემებს დამოუკიდებელი სწავლისთვის, მაგრამ ეს ყოველთვის არ ხდება, – და „მოწინავე“ დონე, როცა მასწავლებელი მხოლოდ მხარს უჭერს მოსწავლის ინიციატივას.

3. განათლების მიზანი განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში

მასწავლებელს, რომელიც სწავლებისადმი ინდივიდუალურ მიდგომას მისდევს, ესმის ინდივიდუალური ტრაექტორიის შექმნის სარგებელი და იცის, რა უნარ-ჩვევების გამომუშავება სჭირდება მოსწავლეს. ის ხედავს მოსწავლეს A წერტილში და შეუძლია, წინასწარ განსაზღვროს მისი მარშრუტი B წერტილამდე.

4. მოსწავლის ინტერესთა სფერო

რბილი მოტივაცია ყოველთვის სჯობია მძიმე ტერორს. თუ მოსწავლის ინტერესებს გაითვალისწინებთ, მას გაუადვილდება, ჩაერთოს პროცესში და ინიციატივა გამოხატოს. წარმოიდგინეთ ეს ინფორმაცია კუბებად, სადაც კუბის თითოეულ წახნაგს განსხვავებული ფერი აქვს. თუ ჩვენ მათ სწორი თანმიმდევრობით ავაწყობთ, მივიღებთ ინდივიდუალურ საგანმანათლებლო ტრაექტორიას, რომელიც შესაფერისია კონკრეტული მოსწავლისთვის დროის განსაზღვრულ მონაკვეთში.

აუცილებელია ოთხივე ფაქტორის გათვალისწინება, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ეტაპია. წარმატებული ინდივიდუალური ტრაექტორიის შესაქმნელად მნიშვნელოვანია სხვა ნაბიჯების გადადგმაც. გარდა ამისა, მასწავლებელი არ უნდა შეუშინდეს თავისივე შედგენილი გეგმის შეცვლას, თუ ამის საჭიროება წარმოიშვა.

ნაბიჯი მეორე: მიეცით არჩევანის შესაძლებლობა

ჩვენ გვახსოვს, რომ ბავშვი განათლების მთავარი სუბიექტია. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, მას შეეძლოს ერთი ან რამდენიმე მარშრუტის არჩევა. გარდა ამისა, მას უნდა შეეძლოს თავისი ტრაექტორიის ეფექტიანობის შეფასება და თუ საბაზისო ცოდნის მიღებაში დინამიკა არ იარსებებს, ჰქონდეს ინდივიდუალური ტრაექტორიის შეცვლის შესაძლებლობა. ბავშვს უნდა შეეძლოს არჩევანის გაკეთება. ამისთვის კი მასწავლებელს სასწავლო რესურსების მთელი არსენალი უნდა ჰქონდეს მომზადებული.

გაკვეთილის მსვლელობისას შეგვიძლია გამოვიყენოთ სამი ან მეტი რესურსი ცოდნის მოსაპოვებლად. ბავშვს შეუძლია, თავად შეარჩიოს პლატფორმა, დონე და ამოცანების რაოდენობა. ზოგჯერ ის წინა წარმატებებს ეყრდნობა, ზოგჯერ – განწყობას. ნებისმიერ შემთხვევაში ის ირჩევს. დაე, მან დღეს ნაკლები აკეთოს, მაგრამ თავი გამარჯვებულად იგრძნოს და მომდევნო ჯერზე უფრო რთულ დონეზე გადასვლისა არ შეეშინდეს.

რაც უფრო მეტი ფორმატის შეთავაზება შეუძლია მასწავლე-

ბელს, მით მეტი შანსი აქვს მოსწავლეს. შეეცადეთ, გვერდიდან შეხედოთ ჩვეულ დავალებებს. მაგალითად, როგორ შეიძლება სხვაგვარად გამოიყენოთ სიტყვების ჩამონათვალი ინგლისურის გაკვეთილზე? უბრალოდ სწავლა მოსაწყენია, ამიტომ შეადგინეთ დიალოგები, კროსვორდები, შეარჩიეთ სინონიმები ან ანტონიმები ლექსიკონის გამოყენებით, იპოვეთ რითმა და ა.შ. ყველა ეს მეთოდი გაცილებით უკეთ ააქტიურებს სიტყვების მარაგს, ვიდრე დაზეპირება. როდესაც მოსწავლე თავად ირჩევს ფორმატს, ინტერესიც უძლიერდება.

მასწავლებლებმა დათუნას სხვადასხვა სახის დავალებები შესთავაზეს, როგორც თემის, ასევე ფორმატის მიხედვით.



დროთა განმავლობაში მათ შეამჩნიეს, რომ ბიჭი დაინტერესდა ისტორიით და ყველაფრით, რაც მას უკავშირდებოდა. დათუნამ მასწავლებლის მიერ შეთავაზებული ყველა არასტანდარტული ამოცანა წარმატებით ამოხსნა. არადა, ორი კვირის წინ რვეულის გადაშლაც კი არ უნდოდა.

ნაბიჯი მესამე: კავშირი და თვითრეფლექსია

განათლების ინდივიდუალიზაცია გულისხმობს, რომ მოსწავლე პასუხისმგებელია თავის სწავლაზე, მაგრამ არც მასწავლებლის როლია გაუქმებული. მნიშვნელოვანია, ვასწავლოთ მოსწავლეს თავისი ნამუშევრის შეფასება, რომ მიხვდეს, გაართვა თუ არა თავი დავალებას.

დავალების დასრულებამდე მოსწავლეს უნდა ესმოდეს, რას აკეთებს და ამას როგორ შეუფასებენ.

მასწავლებელი გაკვეთილზე მომზადებული მოდის. მან იცის, რა მასალას მისცემს ბავშვებს და რატომ, იცის შეფასების კრიტერიუმები, მაგრამ ხშირად მოსწავლეებს ეს ყველაფერი არ ესმით. მასწავლებლის ამოცანაა, მიაწოდოს მოსწავლეებს ინფორმაცია ამის შესახებ; დავალების მიცემამდე განუმარტოს, რა არის მისი მიზანი და როგორ შეუფასდებათ ამ დავალების შესრულება.

თუ რამე არ გამოდის, მასწავლებელი მოსწავლესთან ერთად არჩევს, რისი ბრალია წარუმატებლობა, როგორ შეიძლება ამის გაკეთება სხვანაირად, რა ვარიანტები არსებობს. ეს არის ინდივიდუალური მიდგომა განათლებაში.

თავდაპირველად დათუნა უბრალოდ კითხულობდა მასალას, რომელსაც მასწავლებლები აძლევდნენ. შემდეგ დაიწყო კითხვებზე პასუხების გაცემა, მოცულობითი დავალებების შესრულება. მასწავლებლები მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს ერთად განიხილავდნენ. დათუნამაც ისწავლა საკუთარი თავის შეფასება, შეამჩნია პოზიტიური ცვლილებები, ანუ გახდა თავისივე განათლების ობიექტი. ეს დაეხმარა მას, არ დანებებულიყო და კვლავ არ ჩაკეტილიყო საკუთარ თავში.

ნაბიჯი მეოთხე: სწორი მოტივაციის ძიება

მასწავლებელი გასწავლით არჩევანის გაკეთებას, გადაწყვეტილებების მიღებას და მათ განხორციელებას. მასწავლებლის დანიშნულებაა, შექმნას პირობები განვითარებისთვის,

თვალყური ადევნოს მოსწავლეთა მიღწევებს და მისცეს მათ საშუალება, მიიღონ კმაყოფილება თავიანთი სწავლის შედეგით, გაიაზრონ პერსპექტივები და წინსვლის გზა.

ამავე დროს, შეფასება ყოველთვის არ უტოლდება მოტივაციას. ზოგისთვის საშუალო ქულაც მოტივაციაა, ზოგისთვის კი ეს არ არის საკმარისია.

ჩვენ არ უნდა შევადაროთ მოსწავლის პროგრესი მისი თანაკლასელების პროგრესს. ჩვენ ვაკვირდებით კონკრეტული მოსწავლის კონკრეტულ დინამიკას.

ამიტომ უფრო მნიშვნელოვანია, ვიპოვოთ მოსწავლის ნამდვილი ინტერესი, რაც ხელს შეუწყობს სწავლის სტიმულირებას. მაგალითად, კარგად მუშაობს საპროექტო სწავლება, როდესაც მოსწავლეს შეუძლია, თავად აირჩიოს პროექტის თემა და ფორმატი. მოსწავლე ამზადებს პროექტს და ავითარებს თავის თვისებებს პროცესში: იუმჯობესებს ცოდნას, ირჩევს საჭირო ინსტრუმენტებს, აკონტროლებს შედეგს და წარუმატებლობის შემთხვევაში ცვლის სტრატეგიებს.

მოკლედ, დათუნასთვის განისაზღვრა ინდივიდუალური ტრაექტორია, რომლის მთავარი ინსტრუმენტიც საპროექტო საქმიანობა აღმოჩნდა. დათუნასთვის კლასში მუდმივად აქტიურ რეჟიმში მუშაობა მისაღები არ იყო - ის სწრაფად კარგავდა მოტივაციას, სამაგიეროდ, გაირკვა, რომ შეეძლო, დამოუკიდებლად საათობით ეძებნა საჭირო ინფორმაცია, გონებაში აღედგინა ისტორიული მოვლენები.

ნაბიჯი მეხუთე: კონტროლი

თუ თქვენ ასწავლეთ ბავშვს სწავლა, საკუთარი თავის შეფასება და პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა, მას წარმატება გარანტირებული ექნება. ეს უნარები მთელი სიცოცხლის განმავლობაში დაეხმარება. მაგრამ სიტუაციის მიშვებაც არ შეიძლება. ბავშვებს სჭირდებათ მასწავლებელი, მაშინაც კი, როცა ისინი აკონტროლებენ სწავლის 90%-ს. თქვენი 10% მათ დაეხმარება მასალის უკეთ გაგებაში, ცოდნის გაძლიერებაში ან პროფესიული არჩევანის გაკეთებისას.

ჰკითხეთ მოსწავლეს მიზნების შესახებ, შეამოწმეთ, შეესაბამება თუ არა მისი არჩეული ინსტრუმენტები ამ მიზნებს, აქვს თუ არა დრო ყველაფრისთვის, რაც დაგეგმა. ბავშვთან ერთად შეადარეთ მიღწეული შედეგი დაგეგმილს, გააანალიზეთ წარმატებისა და წარუმატებლობის მიზეზები, დაეხმარეთ კორექტივების შეტანაში.

ლელა კოტორაშვილი

ჩანახატები მასწავლებლის ცხოვრებიდან

რა არის თქვენთვის შთაგონება? რა გავსებთ დადებითი ენერგიით?

უბრალო ამბების მიღმა დამაფიქრებელი სიღრმეების აღმოჩენა შეიძლება. შარშან ზაფხულს, მზისგან გაჩახჩახებულ ერთ დილას, ზღვაში ვცურავდი და წყალქვეშ თევზების ქარავანმა ჩამიქროლა. თვალგახელილი მივაპობდი წყალს და სწორედ ამ დროს შევამჩნიე ვერცხლისფერი თევზები. შუადღისას მეგობარმა მიამბო, რომ მასაც შეუმჩნევია ისინი. მე რომ არ მეთქვა თევზების ქარავნის ამბავი, ნეტავ ჩემი მეგობარი თუ მომიყვებოდა მათ შესახებ?

გადავწყვიტე, გიამბოთ პატარ-პატარა ამბები ჩემი მასწავლებლური ცხოვრებიდან, რომლებიც ჩემთვის ძვირფასი გახდა. ვინ იცის, რომელ მოგონებას გაგიღვიძებთ ან რაზე დაგაფიქრებთ. იქნებ დიდი თუ პატარა ქალაქებისა და სოფლების მასწავლებლებს ვერცხლისფერი თევზების ქარავანივით გვაერთიანებს ამბები, რომლებსაც თუ არ მოვყვებით, დავიწყება ემუქრება?

მთის ბროლი

სოფელ უწერას თავს დაჰყურებს ბროლის მთა. მოსახლეობას იქიდან ხშირად ჩამოაქვს ბროლის ქვები. ერთ ზაფხულს მიშომ, უწერის სკოლის მოსწავლემ, ხელისგულისოდენა მთის ბროლი მაჩუქა.

მეოთხე კლასის სახელმძღვანელოში ტარიელ ხავთასის მოთხრობა „მოხუცი და ბროლია“ წავიკითხეთ. მოთხრობა მოხუცისა და მაწანწალა ძაღლის დამეგობრების ამბავს აღწერს. ქალაქელი ბავშვებისთვის ქვები უმეტესად ნაცრისფერია. მიშოს ნაჩუქარი მთის ბროლი სკოლაში წავიღე. ფანჯრიდან შემომავალ მზის სხივებს მივუშვირეთ, მზის სხივებმა ქვაში გამოიარა და ყველამ ერთად ვიხილეთ, რას ნიშნავს სიტყვა „გამჭვირვალე“.

რამდენიმე კვირის შემდეგ სახელმძღვანელოს რვეულში ლექსიკურ სავარჯიშოს ვაკვირდებოდით. ბავშვებმა დავალება შინ შეასრულეს და ერთად ვამოწმებდით. ერთ-ერთი სავარჯიშო ქვების ფერს ეხებოდა. ბავშვებმა არ იცოდნენ გიშერი, ძოწი და ზურმუხტი, მაგრამ უმეტესობას ბროლის ფერი ადვილად ამოეცნო. ყველას გაგვახსენდა გაკვეთილი, რომლის ფოტოებიც განსაკუთრებულია ჩვენთვის. ერთ ფოტოზე ასახულია, როგორ ვართ ფანჯარასთან მიხვავებული, ხელში მთის ბროლი მიჭირავს და მასში არეკლილ მზის სხივებს ვუყურებთ, მეორე ფოტო ჩემი გადაღებულია – აღვბეჭდე, როგორ გვიღებს ფოტოებს სკამზე შემხტარი ანასტასია. გაიზრდებიან და გაეცნობიან მთის ბროლს როგორც „ვეფხისტყაოსნის“ მეტაფორულ სახეს.

სლაიდები ლენინგრადიდან

ბატონი ალექსანდრე ბუკინისტია. ორი წლის წინ მასთან შევიძინე აპარატი, რომლის სახელი დღემდე არ ვიცი. პატარა კოლოფის დირეში ფირფიტა უნდა ჩადოთ, სინათლეს მიუშვიროთ და თქვენ თვალწინ ცნობილი მხატვრების რეპროდუქციები ჩნდება.

ერთ-ერთი გაკვეთილი ფოტოხელოვნებასა და მხატვრობას ეხებოდა. ხელი მოვხვიე უამრავ რესურსს – ჩემი ბავშვობის ფოტოებს, ელენე ახვლედიანის, ვან გოგის, კანდინსკის ალბომებს – და დაფასთან გამოვფინე.

მათ შორის იყო ბატონ ალექსანდრესთან ნაყიდი უცნაური აპარატიც. გაკვეთილის ბოლოს სათითაოდ მოდიოდნენ და სამი მხატვრის ნახატებს ეცნობოდნენ.

მეორე დღეს მეოთხეკლასელმა ნატალიმ სკოლაში მოგვიტანა ნივთები, რომლებიც მისთვის ბებიას გამოუტანებია. წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული, როდესაც ამ ნივთებს შორის ისეთივე

მოწყობილობა დავინახე, ბატონი ალექსანდრესგან ორი წლის წინ რომ შევიძინე.

ემოციებით სავსემ ნატალის ბებოს დავურეკე. მითხრა, რომ წლების წინ ლენინგრადში შეუძენია ნივთი, რომელსაც „სლაიდს“ უწოდებდა. სლაიდები ასახავს ფირფიტებს, რომლებზეც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ცნობილი მხატვრების ნახატებია გამოსახული. ერთი სული მქონდა, გამეგო, რომელ მხატვარს გაგვაცნობდა ძაფით თავმოკრულ ცელოფანში დახვავებული სლაიდები. XXI საუკუნის სკოლის ოთახში XVI საუკუნის იტალიიდან ტიციანი გვეხმიანებოდა. მე და ჩემი პატარა მოსწავლეები ცალ თვალს ვჭუტავდით და მეორე, ფართოდ გახელილი თვალით ჭუჭრუტანაში ვხედავდით მარიამ მაგდალინელს, პერსეევსის დედას – არგოსის მეფის ასულ დანაეს, პაპ პავლე III-ს, სალომეას, ვენერას, კარლ V -ს.

ბებიას ნატალისთვის გამოეტანებინა ლენინგრადში ნაყიდი ფიროსმანის ალბომიც, რომელსაც 1965 წელს სათუთად გაკეთებული წარწერა ამშვენებდა. ალბომში ნიკო ფიროსმანაშვილის ნახატების ორგანზომილებიანი ფოტოები იყო შეტანილი სამენოვანი (რუსული, ინგლისური, ფრანგული) განმარტებებით. ერთი მათგანი, რუსეთ-იაპონიის ომის ამსახველი ნახატი, ჩემთვის უცხო გახლდათ. ორი თვის შემდეგ სიღნაღის მუზეუმს ვესტუმრე. ვიდექი ფიროსმანის მასშტაბური ტილოს წინ და ვფიქრობდი ნატალის ბებოზე, რომელსაც მხოლოდ სატელეფონო საუბრიდან ვიცნობდი. მისი ნათქვამი სიტყვები გულს მინათებდა და ჩემს მასწავლებლურ ცხოვრებას უზარმაზარ აზრს სძენდა.

დუქ ვონცექ?

გოგა რვა წლის ბიჭია. შავი, კაკლის მურაბასავით თვალები და უკეთილესი გული აქვს. ერთხელ, ქართულის გაკვეთილის შემდეგ, მოვიდა და მითხრა: – იცით, მე სომეხი ვარ, მასწავლებელოო.

რვა წლის ადამიანების ნათქვამი სიტყვები უზარმაზარ და დასაფასებელ გულწრფელობაზე დგას. არ ვიცი, რატომ მოისურვა გოგამ, მაინცდამაინც იმ გაკვეთილის შემდეგ ეთქვა ჩემთვის ვიღაცისთვის უმნიშვნელო, მაგრამ თავისთავად ბევრი რამის მთქმელი ამბავი, თუმცა სათქმელის მოტივის ამოცნობა არ გამჭირვებია. მან, პატარა სომეხმა ბიჭმა, ქართულ სკოლაში ქართულის გაკვეთილზე იმდენად კარგად იგრძნო თავი, რომ დიდი განდობის მონაწილე გამხადა.

ამ ამბიდან რამდენიმე ხანში დაფაზე ვწერდი სიტყვებს, რომლებშიც ბავშვებს უნდა ამოეცნოთ დაკარგული ასო. გოგამ „ძუ“ ამოიკითხა და მითხრა, სომხურად კვერცხს ნიშნავსო. ვთხოვე, ჩემთვის სომხური ესწავლებინა. ვკითხე, „როგორ ხარ?“ სომხურად როგორ უნდა ვთქვა-მეთქი. გოგა დაიბნა და ვერაფრით გაიხსენა.

იმ დღეს ჩემს ძმისშვილ ლუკას ბოლო ზარი ჰქონდა. მთელი ოჯახი მუხიანში მივდიოდით. სკოლის კართან ჩემი მეუღლე დამხვდა, ჩვენი ორი წლის გოგონაც მოეყვანა. ხელი მოვკიდე ლილეს და მეორეკლასელებთან ავიყვანე. ბავშვები მოგვცვივდნენ, შეშინებულმა ლილემ ხელი მაგრად ჩამკიდა და აჭყვიტინდა. ნუცა მოგვიახლოვდა, არ გინდა, ლილე, შენც გაკვეთილი ჩაგვიტარო, შენი დედიკო, იცი, რა საინტერესო გაკვეთილებს გვიტარებსო, – ეფერებოდა. სწორედ ამ დროს მოგვიახლოვდა გოგა და ამ ხმაურსა და აურზაურში დამძახის: „დუქ ვონცექ, მასწავლებელო, დუქ ვონცექ!“ – გავიხსენე, სომხურად როგორ არის „როგორ ხართ“!“

ნიკოს დღიურები

ზოგჯერ უსიამოვნო ამბებიც ხდება. ერთხელ მეექვსეკლასელებმა გამაბრაზეს და მოთმინებიდან გამოსულმა საკლასო ოთახი დაუმშვიდობებლად დავტოვე. რამდენიმე ბავშვი სამწუთიან ესეს წერდა. გაცხარებულმა, ნამუშევრებიც არ გამოვართვი. სახლში ქვასავით დამძიმებული გულით მოვედი. დამღლელი დღის შემდეგ ყავა მოვიდუღე და დარღვეულმა ჰარმონიამ ბოლო მომიღო. ღმერთო, როგორ უნდა გავატარო ასეთი მძიმე განწყობით მთელი დღე-მეთქი, გავიფიქრე და ისევ სკოლაში დავბრუნდი. კლასში შესულმა ბავშვებს მოვუბოდიშე – ზუსტად ისე მოვიქეცი, რასაც ყველაზე მეტად ვუფრთხი-მეთქი. ვფიქრობ, რაც არ უნდა გაგვაბრაზონ მოსწავლეებმა, გაკვეთილის ბოლოს აუცილებლად უნდა ვცადოთ ურთიერთობის მოგვარება, რადგან ჩვენ, მასწავლებლებს, მათზე მეტი მოგვეთხოვება. ჩვენ ვართ მათი როლური მოდელი. ხელოვნების გაკვეთილი სრულდებოდა. ნიკო ქართულის გაკვეთილზე დაწყებული თავისუფალი ესეს წერას აგრძელებდა. მობოდიშებისა და ურთიერთშეთანხმების შემდეგ ესეები სახლში გავიყოლე.

ნიკოს ნაწერში მთავარი პერსონაჟი ვარ. დაწვრილებით აღწერდა ჩემს განრისხებას, მერე ნაწერში ხელოვნების გაკვეთილი გრძელდებოდა

სხვა ამბებითა და სხვა პერსონაჟებით, ბოლოს კი ნიკოც ჩემთან ერთად განიცდიდა კათარსისს და კლასის სახელით მეგობდიშებოდა – ოდნავ თამამ და დაუფარავად თავხედურ ტონს მოკრძალებულით ცვლიდა.

მთელი კლასის დიორამა

მე და ჩემი მეოთხეკლასელები ორი სემესტრის განმავლობაში არჩილ სულაკაურის „სალამურას თავგადასავალს“ ვკითხულობდით. იმდენად საინტერესო გამოცდილება დაგვიგროვდა, ამ ყველაფრის შესახებ ცალკე სტატიაც კი დაიწერება, თუმცა ახლა გამოძერწილ პერსონაჟებზე უნდა გიამბოთ.

წიგნიდან ამოვწერეთ პერსონაჟები, გავიხსენეთ მათი თვისებები და პლასტილინისგან გამოვძერწეთ, მერე კი პერსონაჟთა გალერეა ფანჯარაზე მივაწებეთ. ფანჯრის მიღმა ნაცრისფერი კორპუსები, ბავშვების მომლოდინე მშობლები და ქარისგან მოშრიალე ხეები ჩანდა.

საღამოს მეოთხეკლასელმა გელამ ჯგუფში ფოტო ატვირთა, სახელად „მთელი კლასის ნამუშევარი“. ერთიანობის განცდა, რომელმაც მიდი მოადეს, ფრინტას, ქონდარინეს, კინა ლოკოს, სალამურას თუ ბაიას გამოძერწვისას ჩვენი გულები გააერთიანა, გელას სტატუსში გახმიანდა.

ყვავილის ქოთნები

მეექვსეკლასელებთან რიგით მეორე ლიტერატურული კაფე საკლასო ოთახში გავმართე. თითოეულ მოსწავლეს მერხი თავად უნდა გაეფორმებინა. დილას საკლასო ოთახში შესულს გული გამინათდა. ისინი სპორტის გაკვეთილზე იყვნენ. ცარიელ ოთახში ტკბილეულითა და სათამაშოებით მორთული მერხები მათზე ჰყვებოდნენ. რამდენიმე ბიჭის მერხზე ხელოვნური ყვავილების ქოთნები დამხვდა. სკოლის დღეები მსგავსი აღმოჩენების ფეიერვერკია. მთავარია, ვუბიძგოთ და წავახალისოთ. მერე დერეფნებიდან ქოთნის მცენარეები შემოვიტანეთ. წითლად აბრიალებულმა ბალბის ყვავილებმა სხვა ელფერი შესძინა ჩვენს დღესასწაულს.

„მფრინავი არწივი“

ნებისმიერ ნივთს შეიძლება ახალი სიცოცხლე შევძინოთ და სასწავლო რესურსად ვაქციოთ. როგორც კი ჩემმა მეუღლემ ლილეს სათამაშო არწივი მოუტანა, მაშინვე ახალი იდეა დამებადა. მერე აიშოლპან ნურგაევა გამახსენდა, არწივების მომთვინიერებელი მონღოლი გოგონა.

დახმარება მეექვსეკლასელებს ვთხოვე, რომლებმაც განსაზღვრულ დროს მესამე სართულის ფანჯრიდან ძაფგამობმული არწივი ჩამოუშვეს. მისი გამოჩენა აიშოლპან ნურგაევას შესახებ საინფორმაციო ტექსტის გაცნობას მოჰყვა. ბავშვებზე

თითოეულ მასწავლებელს თავისი განსაკუთრებული ამბებით სავსე კალეიდოსკოპი აქვს. მთავარია, გაზიარებისა და მოყოლის სურვილი არ დაგვეკარგოს.



მასწავლებლისთვის მშობლებთან ურთიერთობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. როდესაც მოსწავლესა და მშობელს ერთ მთლიანობად აღიქვამ, ყველაფერი მარტივდება.

არანაკლებ მოულოდნელი და განსაცვიფრებელი აღმოჩნდა ჩემთვის ხმაურიანი და ფრთებმოფრთხიალე არწივის გამოჩენა მეორე კლასის ფანჯრის წინ. არასდროს დამავიწყდება ბავშვების სიხარულისა და გაკვირვების შეძახილები.

„გარეული გედები“ და საბა

მეორეკლასელი საბა ხუთშვილიანი ოჯახის უფროსი შვილია. მის დედიკოს არ ვიცნობ. სკოლაში მამა ან ბებია აკითხავს ხოლმე.

ერთხელ ბავშვებს ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპარი „გარეული გედები“ წავუკითხე. მერე საყვარელი ეპიზოდის დახატვა ვთხოვე. საბამ თავის ნახატს დააწერა „მე დავხატე, რომ ელიზამ გარეთ გედი დაინახა“. მის მინიმალისტურ ნახატზე შავთმიანი ელიზა ფანჯარასთან ზურგით დგას, ჭრელი გედი კი ცაში მიფრინავს.

გაკვეთილების შემდეგ ცარიელ საკლასო ოთახში განმავითარებელი კომენტარების დასაწერად განვმარტოვდი. უფარდო ფანჯრიდან მდინარე გლდანულას ხეობა და კერძო სახლები მოჩანდა. გარეთ სწორედ იმ დროს გადავიხედე, როცა მამასთან ხელჩაკიდებული საბა სახლის გზას მიუყვებოდა. საბას ნახატი სულ ამ კადრს მახსენებს – როგორ მიდიან სახლისკენ პატარა ბიჭი და მამამისი ერთად.

დაჩი – კლასის მზე

მეექვსეკლასელი დაჩი სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეა. მას ფენილკეტონურია აქვს. ამ იშვიათი დაავადების შესახებ სკოლის ფსიქოლოგმა, კლასის დამრიგებელმა და დაჩის ბებიამ მიამბეს.

ისე მოხდა, რომ დაჩი ჩემი გოგონას კლასელი და ჩვენი მეზობელი აღმოჩნდა. ეს მასთან ინდივიდუალურ მუშაობას მიადვილებდა. ხშირად ჩემი გოგონაც ამეცადინებდა წერა-კითხვაში.

დაჩის ჰიპერაქტიურობას მისი ხალასი ბუნება სულ სხვა მიმართულებას აძლევდა. მთელი წლის განმავლობაში ინდივიდუალურ, მის შესაძლებლობებს მორგებულ ინსტრუქციებს ხალისით ასრულებდა.

ერთ-ერთი შემაჯამებელი სამუშაო - ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფია - ჩრდილების თეატრს დავუკავშირეთ. პრეზენტაცია ოთხი დღე გაიწელა. რამდენიმე კვირაში ლიტერატურული კაფე გავმართეთ. დღის ბოლოს „საშლელების“ ავტორს, თამარ გეგეშიძეს შევხვდით. ბავშვები სათითაოდ უსვამდნენ შეკითხვებს, უმთავრესად – წიგნისა და წერის შესახებ. დაჩის ჯერი რომ დადგა, თამარს ჰკითხა, როგორი კაცი იყო ვაჟა-ფშაველაო. მისმა შეკითხვამ ბევრ რამეზე დამაფიქრა – როგორ ილექება თითოეული გაკვეთილი მოზარდების

გონებაში, როგორ ფიქრებს აღძრავს და როგორი ამოუცნობია ბავშვების შესაძლებლობები.

სემესტრის ბოლოს ტორესა მოსის „ორდროშობანას“ მიხედვით პროექტის პრეზენტაცია დავგეგმეთ. კლასი წყვილებად დავყავი. დაჩის მეწყვილე ნიკა იყო. „ძველი ქართული სიტყვები „ორდროშობანაში“ – ასეთი იყო მათი თემის სათაური. მე და ჩემმა გოგონამ ბიჭები რამდენჯერმე ჩვენთან მოვიწვიეთ. ჯერ სიტყვები ამოწერეს, შემდეგ ლექსიკონში განმარტებები მოძებნეს და საინფორმაციო პლაკატზე გადაიტანეს, ბოლოს კი შესანიშნავი პრეზენტაცია გამართეს. დაჩის ყველაზე მეტად მოეწონა სიტყვა „შლეგი“.

დაბადების დღეზე კლასელებმა დაჩის პირადი წერილები მისწერეს. თბილი სიტყვები არცერთმა არ დაიშურა. აღმოჩნდა, რომ დაჩის მხიარულება, უშურველობა, გულღიაობა ყველასთვის შესამჩნევი ყოფილა. ეფერებოდნენ, იხსენებდნენ მისი გაცნობის დღეს, მასთან გატარებულ დროს. ერთმა მისწერა – ჩვენი კლასის მზე ხარო. შეუძლებელია, დაჩი გაიცნოთ და თქვენც იგივე არ იფიქროთ.

მე აზერბაიჯანელი ვარ

სევგი 10 წლის გოგონაა. მესამე კლასში გავიცანი. წერა-კითხვა უჭირდა, მაგრამ ფუტკარივით შრომობდა და სწორედ ამ გულმოდგინებამ მოსწავლე-მასწავლებელს ორი წლის შემდეგ დიდი სიხარული მოგვანიჭა. მუდმივად ვაქებდი და მადლობას ვუხდიდი, ენას ასეთი ხალისით რომ სწავლობდა. ჩემთვის დიდი გამოწვევა იყო სევგისთან მუშაობა, რადგან ბევრ დროსა და ენერგიას მოითხოვდა. სამუშაო კიდევ ბევრი გვაქვს, თუმცა ორი წლის შედეგია ის, რომ სევგი შესანიშნავ წერილებს წერს.

სემესტრის ბოლოს ბავშვებმა სახელმძღვანელოს ავტორს ნინო გორდელაძეს პირადი წერილები მისწერეს. „გამარჯობა, ნინო მასწავლებელო, მე ვარ სევგი ნუგზარკიზი. მე ვარ აზერბაიჯანელი“, – ასე იწყებს წერილს სევგი.

ქონდარი

„სალამურას თავგადასავლის“ პერსონაჟთა სახელები მწერალს მათი თვისებების, ხასიათისა და პროფესიის მიხედვით შეურჩევია. ქონდარეთის, ქონდარინესა თუ ქონდართუხუცესის შთაგონებით ქონდრის ყიდვა გადავწყვიტე. მინდოდა, მისი მკვეთრი სურნელი წიგნისთვის დაეკავშირებინათ. გაკვეთილის დაწყებამდე რამდენიმე წუთი იყო დარჩენილი, პატარა სასურსათო მაღაზიის კარი რომ შევაღე და ქონდარი მოვიკითხე. სურნელოვანი მცენარე არ ჰქონდათ, მაგრამ გამყიდველმა ქალმა საუბარი გამიბა და გელას ბებიად გამეცნო. გელა ერთ-ერთი იყო იმ ბავშვებიდან, რომლებისთვისაც ქონდარს დავეძებდი.

კლასის წიგნი

მასწავლებლისთვის მშობლებთან ურთიერთობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. როდესაც მოსწავლესა და მშობელს ერთ მთლიანობად აღიქვამ, ყველაფერი მარტივდება.

რა არის მასწავლებლის ოცნება? ოცნება მომავლის ცნებაა. ოცნებობ იმაზე, რაც არ არის და გინდა, რომ რეალობად იქცეს. ლიზის დედამ, თამარმა, ჩემი ოცნება – რომ შენი შვილის ყველა კლასელი თანაბრად გიყვარდეს და გაინტერესებდეს – სწორედ რომ რეალობად აქცია.

თამარი მანდატურია. კანონის მიხედვით, მანდატურს საკუთარი შვილების სკოლაში მუშაობის უფლება არ აქვს. დატვირთული გრაფიკის გამო თამარს პირადად არ ვიცნობ, თუმცა ორი წელია აქტიური მიმოწერა გვაქვს სოციალურ ქსელში.

მეორე სემესტრის ბოლოს თამარმა ჯადოსნური ამბები დაატრიალა – სათითაოდ დაუკავშირდა ყველა მშობელს, მოიძია ბავშვების დაბადების თარიღები, ფოტოები, ნამუშევრები და ყველაფერი წიგნად აკინძა. თამარის ქმედებამ იმედით ამავსო – კიდევ ერთხელ დამაფიქრა იმაზე, როგორი უნდა იყოს XXI საუკუნის სკოლა ჩვენთვის – მშობლებისთვის, მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის. დიდი სიყვარულით შექმნილი კლასის წიგნის თვალიერებისას მადლიერებით მევსება გული. თამარის ფუსფუსი პირად მაგალითად მექცა. ნამდვილად შესაძლებელია სხვისი შვილებიც ისე გიყვარდეს და გაინტერესებდეს, როგორც შენი. როცა ყოველდღიურობას უსამართლობა ჯანღივით დაეფარება ხოლმე, თამარს ვიხსენებ და იმედით ვივსები.

ჩემი მოთხრობილი ამბები კალეიდოსკოპს ჰგავს - ხელის ერთი მოძრაობით ფერებისა და ფორმების ცვლილებისას ახალი სამყარო გეშლება თვალწინ. მჯერა, რომ თითოეულ მასწავლებელს თავისი განსაკუთრებული ამბებით სავსე კალეიდოსკოპი აქვს. მთავარია, გაზიარებისა და მოყოლის სურვილი არ დაგვეკარგოს.

ნათელა ბაღათრიშვილი

როგორ ავაგოთ ბიოლოგიის საგნობრივი კურიკულუმი

სკოლა ქმნის სასკოლო კურიკულუმს, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის ზოგად მოთხოვნებს მოსწავლის განვითარების კონკრეტულ გზად აქცევს.

სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისათვის მასწავლებელს ოთხ შეკითხვაზე სჭირდება მკაფიო პასუხი:

1. რა მიზნით ვასწავლი? (სწავლა-სწავლების მიზნები);
2. რა მასალაზე დაყრდნობით ვასწავლი? (სასწავლო საკითხები და რესურსები);
3. როგორ ვასწავლი? (სწავლა-სწავლების მეთოდები და სტრატეგიები);
4. როგორ ვაფასებ მოსწავლეების მიღწევებს? (შეფასება).

ამ მიმართულებით ზოგად ორიენტირებს ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს (მინისტრის ბრძანება 40/ნ, 18 მაისი, 2016) – გრძელვადიანი მიზნები განსაზღვრულია შესავალ ნაწილში და ჩამოყალიბებულია **ზოგადი კომპეტენციების**, საფეხურის ბოლოს მისაღწევი **შედეგებისა** და **სამიზნე** ცნებების სახით. ესგ-ის ზოგად კონცეპტუალურ ნაწილში ჩამოყალიბებულია ხუთი პედაგოგიკური პრინციპი, რომელსაც სწავლა-სწავლება და შეფასება უნდა ეფუძნებოდეს. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვაში მთავარი აქცენტი სკოლასა და პედაგოგებზე დაისმის. სკოლა ქმნის **სასკოლო კურიკულუმს,** რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის ზოგად მოთხოვნებს მოსწავლის განვითარების კონკრეტულ გზად აქცევს. სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი დოკუმენტებია საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც იქმნება კათედრაზე, მასწავლებლების მიერ.

ვიდრე განვიხილავთ საგნობრივი კურიკულუმის შექმნის/აგების პროცესს, წარმოვიდგინოთ არქიტექტორი, რომელიც ამა თუ იმ ობიექტის გეგმას ადგენს. მან ზუსტად იცის, როგორ, როდის და რა ნაბიჯები უნდა გადადგას, რა რაოდენობის რესურსი სჭირდება გეგმის განსახორციელებლად. არქიტექტორს შეუძლია, ერთი და იმავე გეგმით ისარგებლოს და ააგოს მრავალი შენობა მსგავსი შემადგენლობისა და სტრუქტურის მიწის ნაკვეთზე, მაგრამ განსხვავებული მიწის ნაკვეთის შერჩევისას მას უთუოდ მოუწევს პირვანდელ გეგმაში გარკვეული ცვლილებების შეტანა. პარალელი გავავლოთ სწავლებასთან. ის ცოცხალი პროცესია და მოქნილია, რადგან საჭიროების შემთხვევაში ცვლილებებს ექვემდებარება. ცოდნის აგების პროცესში დიდ როლს ასრულებს ემოციები, ინტერესები, ღირებულებები, მოტივაცია და სხვა. და მაინც... თავისთავად არაფერი ხდება. ვინ არის ამ პროცესების შემოქმედი, თუ არა მასწავლებელი? ახლა წარმოვიდგინოთ ერთი კონკრეტული კლასის ბიოლოგიის მასწავლებელი, რომელიც იღვწის მოსწავლეებში გარკვეული ცოდნისა და გამოცდილების სისტემის ასაგებად. თუ გავითვალისწინებთ, რომ კლასში სხვადასხვა შესაძლებლობის, ინტერესებისა და საჭიროებების მოსწავლეები სწავლობენ, მასწავლებლისთვის რთული იქნება ერთი კონკრეტული გეგმით სარგებლობა და მიზნის

მიღწევა. საკლასო დონეზე ამ პროცესებს მასწავლებელი დიფერენცირებული მიდგომებით არეგულირებს. ახლა წარმოვიდგინოთ ერთი რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის სკოლები, რომლებსაც აქვთ განსხვავებული გეოგრაფიული მდებარეობა, ბიომრავალფეროვნება, ეკოლოგიური პრობლემები და სხვა. როგორ წარმოგიდგენიათ, რამდენად საინტერესო და ახლობელი იქნება რეგიონის თითოეული სკოლისთვის ერთი და იმავე გეგმის მიხედვით აგებული სასწავლო პროცესი? ამიტომ თითოეულ სკოლაში იქმნება ორიგინალური კურიკულუმები.

საგნობრივი კურიკულუმის აგების დროს სტანდარტით შემოთავაზებული **სავალდებულო თემების** ფარგლებში მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს მისი მოსწავლეებისთვის საინტერესო და საჭირო საკითხები, მათზე დაფუძნებით შექმნას კომპლექსური დავალებები (ან შეარჩიოს კომპლექსური დავალებების ბანკიდან) და დაგეგმოს მათი განხორციელება სასწავლო წლის განმავლობაში საორიენტაციო ვადებში.

საბაზო საფეხურზე ბიოლოგიის სავალდებულო თემებია:

VII კლასი

- მიკროორგანიზმები
- სოკოები
- მცენარეები
- ცხოველები
- სასიცოცხლო ციკლი

VIII კლასი

- სიცოცხლის ორგანიზაციის დონეები
- ადამიანის საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა
- ნივთიერებათა მიმოცვლა და ტრანსპორტი
- ჯანმრთელობა და მავნე ჩვევები

IX კლასი

- ადამიანის მარეგულირებელი სისტემა
- შეგრძნების ორგანოები
- რეპროდუქციული სისტემა და ჯანმრთელობა
- უჯრედის მეტაბოლიზმი
- ეკოსისტემა, სახეობა, პოპულაცია (ესგ 2018-2024)

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მასწავლებელი თავად განსაზღვრავს, რამდენი დრო სჭირდება თითოეული თემის დამუშავებას, რომელ საკითხებსა და კომპლექსურ დავალებებს შესთავაზებს მოსწავლეებს და რა რაოდენობით. დღეისათვის ზოგადი განათლების რეფორმისა და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის გუნდი მასწავლებლებს ნიმუშებად სთავაზობს **თემატურ**

სასწავლო წელი – 2021-2022

კათედრა – საბუნებისმეტყველო

საგანი – ბიოლოგია

კლასი – VII

მატრიცებს. თითოეული მათგანი მოიცავს **საკითხებს, კომპლექსურ დავალებებს, სამიზნე ცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებსა და საკვანძო შეკითხვებს**. თემატური მატრიცები მასწავლებლებს საგნობრივი კურიკულუმის აგების პროცესში დაეხმარება.

უნდა ითქვას, რომ ზოგადი განათლების მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთი მთავარი ლოკომოტივია კომპლექსური დავალებებით სწავლება – სვლა კომპლექსურიდან კომპლექსურისკენ, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს საგნობრივი კურიკულუმის აგების დროს.

განვიხილოთ მე-7 კლასის ბიოლოგიის კურიკულუმის ნიმუში. იგი შექმნილია 2021-2022 სასწავლო წლისთვის საქართველოს ერთ-ერთ საჯარო სკოლაში. საგნობრივი კურიკულუმი ყოველწლიურად განიცდის მოდიფიცირებას, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

- შესაძლოა შეიცვალოს საკითხთა ჩამონათვალი მასწავლებლის სურვილისა და მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების მიხედვით;
- შესაძლოა შეიცვალოს სასწავლო თვეების მიხედვით თემების გადანაწილების განრიგი;
- შესაძლოა შეიცვალოს სასწავლო თემების თანმიმდევრობა;
- რეკომენდებულია, ყოველი თემის ფარგლებში დაიგეგმოს კომპლექსური დავალებების განხორციელება კონკრეტულ საკითხთან ან საკითხთა ჯგუფთან მიმართებით.

თვე	**თემა**	**საკითხი/საკითხები**	**კომპლექსური დავალება**
სექტემბერი ოქტომბერი ნოემბერი	**მიკროორგანიზმები**	არაუჯრედული ფორმები - ვირუსები; პროკარიოტები - ბაქტერიები;	
		ეუკარიოტები მიკროორგანიზმები: ერთუჯრედიანი სოკოები, წყალმცენარეები და უმარტივესები	
		მიკროორგანიზმების როლი ბუნებაში	ბუნების დიდი მესაფლავეები (დანართი 1)
		დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმები	
		მავნე მიკროორგანიზმებთან ბრძოლის მეთოდები	
	მცენარეები	ცოცხალი ორგანიზმების კლასიფიკაცია	
		ყვავილოვანი მცენარეების მრავალფეროვნება	
		ფოტოსინთეზი; ფოტოსინთეზის პროცესის კვლევა	
დეკემბერი		მცენარის სუნთქვის თავისებურებანი	
იანვარი თებერვალი		ნივთიერებათა ტრანსპორტი მცენარეებში	
		ყვავილოვანი მცენარეების გამრავლება	
		მიშველოფესლოვანი მცენარეები	
		სპოროვანი მცენარეები	
	სოკოები	ქუდიანი სოკოები	
		სოკოების მრავალფეროვნება	
		სოკოების მნიშვნელობა	
	ცხოველები	ცხოველთა კლასიფიკაცია	
მარტი		თევზები: ჩონჩხი, შინაგანი აგებულება, მნიშვნელობა და დაცვა.	ხერხემლიან ცხოველთა შეგუებულობები წყალში ცხოვრებასთან. (დანართი 2)
		ამფიბიები: გარეგანი და შინაგანი აგებულება; მნიშვნელობა და დაცვა;	
		ქვეწარმავლები: შინაგანი და გარეგანი აგებულება; მნიშვნელობა და დაცვა	
მარტი აპრილი		ფრინველები: შინაგანი და გარეგანი აგებულება; მნიშვნელობა და დაცვა; ფრინველთა მრავალფეროვნება	
		ძუძუმწოვრები: შინაგანი და გარეგანი აგებულება; მნიშვნელობა და დაცვა; ძუძუმწოვრების მრავალფეროვნება	
		უხერხემლოები: ნაწლავღრუიანები, ჭიები, რგოლოვანი ჭიები, მოლუსკები, ფეხსახსრიანები, ეგზოსკელეტიანები და კიბოსნაირები; მნიშვნელობა და დაცვა	
მაისი ივნისი	**სასიცოცხლო ციკლი**	მცენარეების სასიცოცხლო ციკლი;	
		ცხოველების სასიცოცხლო ციკლი;	
		ადამიანის სასიცოცხლო ციკლი;	

(მოცემული ცხრილი არის გარდამავალი დოკუმენტი, რომლის მსგავსად აიგო ბიოლოგიის კურიკულუმი მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში ჩართული სკოლების პედაგოგების მიერ 2021-2022 სასწავლო წლისთვის; აქვს მხოლოდ ნიმუშის, გზამკვლევის ხასიათი, რომელიც მასწავლებლებს დაეხმარება საკუთარ სკოლაზე მორგებული ბიოლოგიის საგნობრივი კურიკულუმის შექმნაში)

პირველ სვეტში მოცემულია **სასწავლო თვეების** ჩამონათვალი, რომელსაც მასწავლებელი

ცოდნის აგების პროცესში დიდ როლს ასრულებს ემოციები, ინტერესები, ღირებულებები, მოტივაცია და სხვა. და მაინც... თავისთავად არაფერი ხდება. ვინ არის ამ პროცესების შემოქმედი, თუ არა მასწავლებელი?

ანაწილებს მეორე სვეტში მოცემული **სავალდებულო თემების** მიხედვით. მესამე სვეტში მასწავლებელი განათავსებს **საკითხთა** ჩამონათვალს, რომელსაც სასწავლო წლის განმავლობაში დაამუშავებს. მეოთხე სვეტში კი განათავსებს **კომპლექსური დავალების/ დავალებების სათაურს**.

კომპლექსური დავალება აიგება რომელიმე კონკრეტულ საკითხზე ან საკითხთა ჯგუფზე. ცხრილის სტრუქტურიდან და შინაარსიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიოლოგიაში მე-7 კლასის კურიკულუმში ყველა სკოლისთვის საერთო იქნება მხოლოდ მეორე სვეტი – სავალდებულო თემები, რომლებიც რეგულირდება ესგ-ის ბიოლოგიის სტანდარტით, ხოლო დანარჩენი ნაწილი განსხვავებული იქნება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თითოეული სკოლა ქმნის ბიოლოგიის ორიგინალურ გზას – კურიკულუმს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. საგულისხმოა, რომ თითოეულ სკოლაში ერთი კლასისთვის (განურჩევლად იმისა, რამდენი პარალელური კლასია) ბიოლოგიის მასწავლებელთა საგნობრივი ჯგუფის მიერ იქმნება ერთი სასწავლო კურიკულუმი, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მეოთხე სვეტში კომპლექსურ დავალებას მიეთითოს, რომელ კლასში უნდა განხორციელდეს ის (მაგ., ბუნების დიდი მესაფლავეები, დანართი 1. VII ა VII ბ). კომპლექსური დავალების პირობა და შეფასების კრიტერიუმები დანართის სახით დაერთვება VII კლასის ბიოლოგიის საგნობრივ კურიკულუმს. მეშვიდე, მერვე და მეცხრე კლასების ბიოლოგიის კურიკულუმებით დგება საბაზო საფეხურის **ბიოლოგიის საგნობრივი კურიკულუმი**, რომელიც სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი კომპონენტია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა (2018-24)
2. ზოგადი განათლების რეფორმის, მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის გუნდის მიერ მომზადებული მასალები

ქეთევან ოსიაშვილი

შეცდომის შიში ბავშვებში – გამომწვევი მიზეზები და დაძლევის გზები

შეცდომის დაშვების შიში სოციალურ შიშებს მიეკუთვნება, რადგან მისი არსია, ბავშვის მისწრაფება ყველანაირად შეესაბამებოდეს ქცევის სოციალურ ნორმებსა და მოთხოვნებს.

ვფიქრობ, ყველა, ვისაც ყოველდღიური ურთიერთობა აქვს ბავშვებთან, დამეთანხმება, რომ არცთუ იშვიათად შეიძლება შევხვდეთ შეცდომის დაშვების პანიკური შიშით შეპყრობილ მოზარდს, რომლისთვისაც სწორედ ეს შიში იქცევა მთავარ დაბრკოლებად სასწავლო პროცესში წარმატებისკენ მიმავალ გზაზე. ის ასევე მეტად უარყოფით გავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბების პროცესზე.

მშობლები ხშირად გულწრფელად და დაუფარავად გამოხატავენ გულისტკივილს იმის გამო, რომ მათი შვილი ძლიერ განიცდის სწავლაში წარუმატებლობას, შეცდომის დაშვების შემდეგ წყვეტს აქტიურობას იმის შიშით, მისი პასუხი არასწორი არ აღმოჩნდეს, ხოლო თუ დაბალი ქულა მიიღო შეცდომით შესრულებული დავალების გამო, შფოთავს და ტირის კიდეც.

ზოგიერთ ბავშვში, განსაკუთრებით პატარებში, დაშვებულმა შეცდომამ შესაძლოა საზროვნო პროცესების ერთგვარი შეფერხება გამოიწვიოს. ასეთ დროს ისინი ერთი შეცდომის შემდეგაც კი თითქოს წყვეტენ აზროვნებას, დამახსოვრებას და მიცემულ დავალებებს უფრო და უფრო უარესად ასრულებენ. საკონტროლო სამუშაო ამ ტიპის ბავშვისთვის სერიოზული გამოცდაა. ის წინასწარ იწყებს ნერვიულობას, მაშინაც კი, თუ სერიოზულად იმუშავა და კარგად არის მომზადებული. შესაძლოა ასტკივდეს თავი, მუცელი, დაეწყოს ხელების ოფლიანობა, დაეჭიმოს ხელის კუნთები იმდენად, რომ გაუჭირდეს არა მხოლოდ ზეპირი, არამედ წერილობითი დავალების შესრულებაც. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვის ყურადღებაზე და ის ისეთ შეცდომებს უშვებს, რომლებიც მისთვის საკმაოდ უჩვეულოა და სხვა სიტუაციაში არასოდეს დაუშვებდა. ხშირად პედაგოგისთვისაც გულდასაწყვეტია, რომ ნერვიულობა, მღელვარება და შეცდომების დაშვების შიში ხდება იმის მიზეზი, რომ ასეთი ბავშვი საკონტროლო სამუშაოებში ბევრად უფრო დაბალ შეფასებებს იღებს, ვიდრე იმსახურებს.

ხანდახან სასწავლო პროცესში შეცდომების დაშვების შიში ბავშვს ცხოვრების სხვა მნიშვნელოვან სფეროებშიც გადააქვს, მაგ., უარს ამბობს, იყოს გუნდის კაპიტანი სხვადასხვა სახის (როგორც სპორტული, ასევე ინტელექტუალური) შეჯიბრებების დროს, ან გამოვიდეს სცენაზე, რადგან ეშინია, რომ თავს შეირცხვენს. ხშირად უარს ამბობს ლიდერობაზე, თუმცა რეალურად შესაძლოა ყველა მონაცემი ჰქონდეს საამისოდ და თავადაც სურდეს ეს.

რატომ ხდება ასე? რატომ უჩნდება ბავშვს შეცდომის დაშვების პანიკური შიში? ეს კითხვა ბევრ აღმზრდელს აწუხებს. ყველაზე საოცარია, რომ ასეთი ბავშვები იზრდებიან ოჯახებში, სადაც მშობლები ბევრ დროსა და ყურადღებას უთმობენ პატარას, სადაც ბავშვი მათი ცხოვრების მთავარი აზრია. ხშირად მშობლები საკმაოდ განათლებულები და სოციალურად წარმატებულები არიან. ასეთ ოჯახში ბავშვს ძალიან უყვარს მშობლები, ამაყობს მათით და სურს, ჰგავდეს მათ.

მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ბავშვი მშობლებს უკვე წარმატებულებს ხედავს. გზა, რომელიც მათ გაიარეს, დაბრკოლებები, რომლებიც გადალახეს წარმატების მისაღწევად, ბავშვისთვის შესაძლოა უცნობი იყოს ან, თუ ნაცნობია, არ იყოს დატვირთული ემოციურად. ასეთ ოჯახებში ბავშვები საკუთარ თავს დღევანდელ მდგომარეობაში მყოფ, წარმატებულ მშობლებს ადარებენ და ეს შედარება მათ სასარგებლოდ ნამდვილად არ მოქმედებს. საკუთარი თავი არასაკმარისად წარმატებული ეჩვენებათ და ყოველი შეცდომა, მათი აზრით, ამას ამტკიცებს. თითოეული შეცდომა მათ საკუთარ არასრულფასოვნებაზე აწყებინებს ფიქრს. მიაჩნიათ, რომ ასეთი შესანიშნავი მშობლების სიყვარულის ღირსები არ არიან, არ იმსახურებენ, რომ ასეთი კარგი მშობლები ჰყავდეთ.

პარადოქსია, მაგრამ რაც უფრო მჭიდრო ემოციური კავშირია ბავშვსა და მშობელს შორის, რაც უფრო მეტ დროს ატარებენ ისინი ერთად, მით უფრო მეტად ეშინია მოზარდს მისი განაწყენების. ეს კი ნიშნავს, რომ სულ პატარა შეცდომაც კი მისთვის უზარმაზარ ტრაგედიად იქცევა. და თუ ბავშვი, ამასთან ერთად, ემოციური და მგრძნობიარეცაა, შეცდომებით გამოწვეული განცდები ძალიან შეუშლის ხელს წარმატებების მიღწევასა და თვითრეალიზებაში.

შეცდომის დაშვების შიში სოციალურ შიშებს მიეკუთვნება, რადგან მისი არსია, ბავშვის მისწრაფება ყველანაირად შეესაბამებოდეს ქცევის სოციალურ ნორმებსა და მოთხოვნებს. შეცდომის დაშვების შიშით შეპყრობილი ბავშვები, როგორც წესი, ცდილობენ სკოლაში დადგენილი და მიღებული ქცევის ყველა ნორმის დაცვას. ისინი ყოველთვის უსმენენ მასწავლებელს, გაკვეთილზე არ ესაუბრებიან მეზობელს, არ გადააქვთ ყურადღება სხვა ობიექტზე, მაქსიმალურად არიან მობილიზებულები გაკვეთილისათვის. ამ ყველაფრის გამო ისინი გაკვეთილზე დამატებით დაძაბულობას განიცდიან.

რაც უფრო მჭიდრო ემოციური კავშირია ბავშვსა და მშობელს შორის, რაც უფრო მეტ დროს ატარებენ ისინი ერთად, მით უფრო მეტად ეშინია მოზარდს მისი განაწყენების. ეს კი ნიშნავს, რომ სულ პატარა შეცდომაც კი მისთვის უზარმაზარ ტრაგედიად იქცევა.

როგორც წესი, პედაგოგი მათთან კარგად და კომფორტულად გრძნობს თავს, მაგრამ ბავშვისთვის ძალიან მძიმეა მუდმივად იდეალური მოსწავლის როლის თამაში და წესების დარღვევის გარეშე ცხოვრება.

რეკომენდაციები შეცდომის შიშის დაძლევაში ბავშვის დასახმარებლად

- არასოდეს ვეჩხუბოთ, არ დავსაჯოთ ბავშვი დაშვებული შეცდომების გამო. ის საკმარისად ეჩხუბება და სჯის საკუთარ თავს.
- შევქმნათ სიტუაციები, რომლებშიც ჩვენ სრულყოფილების განსახიერება არ ვიქნებით და ეს ვაჩვენოთ ბავშვს. რამდენადაც მოზარდი უყურებს მშობელს როგორც ეტალონს, რომელსაც აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს, მისი შეცდომების დანახვისას „უფლებას მისცემს“ საკუთარ თავს, ხანდახან თავადაც დაუშვას შეცდომა.
- ვისწავლოთ ბავშვის შეცდომებზე სწორად რეაგირება. მოვერიდოთ მის დასამშვიდებლად ისეთი ფრაზების გამოყენებას, როგორიცაა: „არაფერია, ნუ ღელავ“. ბავშვმა შესაძლოა ჩვენი სიტყვები ასე გაიგოს: „თუ არაფერია და მე ვღელავ, ე.ი. რაღაც სერიოზული პრობლემა მაქვს“. ეს, ბუნებრივია, კიდევ ააღელვებს. ეფექტიანი იქნება პოზიტიური ლექსიკის გამოყენება უარყოფითი ნაწილაკის – „არა“-ს გამორიცხვით. მაგ., „ყველაფერი რიგზეა“; „მშვიდად იყავი“; „მომავალ ჯერზე სწორად გააკეთებ“ და ა.შ.
- თუ ბავშვი ძლიერ განიცდის დაშვებულ შეცდომას, შევაქოთ კარგად შესრულებული სხვა დავალების გამო: „შეგეშალა, სამაგიეროდ, ძალიან ლამაზი ნაწერი გაქვს“; „შეგეშალა, სამაგიეროდ ჩანს, როგორ ცდილობდი და მონდომებით მუშაობდი“.
- კარგი იქნება, ვასწავლოთ ბავშვს შეცდომის მიზეზის ძიება. მაგ., „შეცდომა იმიტომ დაუშვი, რომ მარჯვენა და მარცხენა აგერია. აბა, თავად დაფიქრდი“.
- აუცილებლად უნდა ვეცადოთ, ავამაღლოთ ბავშვის თვალში შეცდომის ღირებულება და როლი, რომელსაც ის სასწავლო საქმიანობაში წარმატების მიღწევაში ასრულებს.
- შევუცვალოთ მოზარდს დამოკიდებულება შეცდომის მიმართ, დავეხმაროთ იმის გაგებაში, რომ შეცდომა ახალ გამოცდილებას სძენს ადამიანს, სურვილს უჩენს, რაღაც შეცვალოს საკუთარ თავში. კარგი იქნება, შევახსენოთ ისეთი ფრაზები, როგორიცაა: „არ ცდება ის, ვინც არაფერს აკეთებს“; „წარმატება გვახარებს, შეცდომები კი გვასწავლის“; „ჭკვიანი არ მიისწრაფვის, გაექცეს შეცდომებს, პირიქით, ცდილობს, გამოასწოროს ისინი“ – და ა.შ.
- ვასწავლოთ ბავშვს, გააანალიზოს შეცდომა და დაფიქრდეს, რა გამოცდილება მიიღო მისი დაშვებით.
- ნუ მოვთხოვთ, იყოს იდეალური და სრულყოფილი. ამით კიდევ უფრო გავუძლიერებთ შეცდომის დაშვების შიშს.
- ვერიდოთ ბავშვის შეცდომებზე ზედმეტად ემოციურ რეაგირებას, არასწორად შესრულებული დავალების გამო წყენის გამოხატვას. ასეთ შემთხვევაში ემოციურად მგრძნობიარე ბავშვს მაღალი შედეგების მიღწევის მოტივაცია შესაძლოა შეეცვალოს წარუმატებლობის თავიდან აცილების, წარუმატებლობისგან გაქცევის მოტივაციით. ამიტომ გაკვეთილზე ის დაიწყებს ფიქრს არა იმაზე, როგორ შეასრულოს დავალება სწორად, არამედ იმაზე, რომ რამე შეცდომა არ დაუშვას. ბუნებრივია, ასეთ დროს მოქმედების ტემპი დაქვეითდება, ბავშვს გაუჭირდება შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა, შეცდომებს კი აუცილებლად დაუშვებს. ხომ კარგად არის ცნობილი, რომ ადამიანი რაზეც უფრო მეტს ფიქრობს, სწორედ ის ხდება.

დაბოლოს, გავითვალისწინოთ, რომ ადამიანები უფრო ეფექტიანად სწავლობენ, როცა შეცდომებს უშვებენ. განსაკუთრებით – გააცნობიერებს და გააანალიზებს დაშვებულ შეცდომებს. თუ შეცდომის ბავშვს ეშინია, ეს აისახება არა მხოლოდ მის სასწავლო საქმიანობაზე, არამედ მის ცნობისმოყვარეობასა და შემეცნებით ინტერესებზეც. ის ყოველთვის აარიდებს თავს ყველაფერ რთულსა და საინტერესოს, იმის შიშით, რომ თავს ვერ გაართმევს მათ. ამიტომ, აუცილებელია, გავაგებინოთ ბავშვს, რომ შეცდომის დაშვება საშინელება არ არის, პირიქით, ძალიან საინტერესო და სასარგებლოც კია.

შენიშვნები

[1] https://www.youtube.com/watch?v=r1qGpoFSm78

[2] http://plus.kvira.ge/%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%94%E1%83%A1

[3] https://books.google.ge/books?id=nHpNCwAAQBAJ&pg

ნათია უჩავა

რჩევები დამწყებ მასწავლებლებს

სკოლაში თავის დამკვიდრება, მასთან შეგუება და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა არც ისე ადვილია. ეს ეხება როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებსაც, თუმცა ამ სტატიაში ყურადღებას მასწავლებლებზე გავამახვილებ – მასწავლებლებზე, რომლებმაც ეს-ესაა, შეაღეს სკოლის კარი.

დამწყები მასწავლებლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია გამოცდილების გაზიარება. თეორიული ცოდნა არ კმარა, ამიტომ საჭიროა, ვინმემ მას მენტორობა გაუწიოს.

არის რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც აუცილებლად გასათვალისწინებელია. ბევრ რამეს პრაქტიკაში უფრო უკეთ ვსწავლობთ, თუმცა შეგვიძლია საკვანძო საკითხებზე ყურადღების გამახვილება.



სკოლაში თავის დამკვიდრება, მასთან შეგუება და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა არც ისე ადვილია.
ეს ეხება როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებსაც, თუმცა ამ სტატიაში ყურადღებას მასწავლებლებზე გავამახვილებ – მასწავლებლებზე, რომლებმაც ეს-ესაა, შეაღეს სკოლის კარი.

სტატიაზე მუშაობისას ჩემს სოციალურ ჯგუფში დავდე კითხვარი და კოლეგებს ვთხოვე, გაეზიარებინათ ჩემთვის მოსაზრებები ქვემოთ მოცემული საკითხის შესახებ. შევსებულ კითხვარზე დაყრდნობით გთავაზობთ რამდენიმე რჩევას.

თვისებები, რომლებიც აუცილებლად უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ დამწყებ მასწავლებელს:

თუ მასწავლებლობა გადაწყვიტეთ, ძალიან უნდა გიყვარდეთ თქვენი საქმე და ბავშვები. უნდა იყოთ თბილი, მომთმენი და ყურადღებიანი. გამუდმებით უნდა ეძიებდეთ სიახლეებს. თქვენი გაკვეთილები უნდა იყოს ერთმანეთისგან განსხვავებული და კრეატიული. მნიშვნელოვანია სამართლიანობაც!

ის, რაც უნდა გაითვალისწინოთ მშობლებთან ურთიერთობის დროს:

თავდაპირველად გააცანით საკუთარი თავი, მერე კი წლის სამოქმედო გეგმა, სწავლების მიდგომები და სტრატეგიები. მათაც მოუსმინეთ, ითანამშრომლეთ მათთან. აგრძნობინეთ, რომ ზრუნავთ მათ შვილებზე და უფრთხილდებით მათ, რომ თქვენ და მშობლებს საერთო მიზანი გაქვთ. იქონიეთ საქმიანი კომუნიკაცია. დაინტერესდით მათი შეხედულებებით, უკუკავშირით. გქონდეთ მათდამი მეგობრული დამოკიდებულება, მაგრამ დაიცავით დისტანცია.

ის, რაც უნდა გაითვალისწინოთ კოლეგებთან ურთიერთობის დროს:

იყავით ღია თანამშრომლობისთვის. თუ დახმარება დაგჭირდათ, მიმართეთ კოლეგას. მოაწყვეთ შეხვედრა, სადაც კოლეგებს საშუალებას მისცემთ, საკუთარი გამოცდილება გაგიზიარონ, თქვენ კი შეგიძლიათ, საკუთარი იდეები და გეგმები გააცნოთ. დაესწარით კოლეგების გაკვეთილებს, ჩაინიშნეთ თქვენთვის საინტერესო აქტივობები. მათაც სთხოვეთ,

შეგიფასონ გაკვეთილი. მიიღეთ და საჭიროებისამებრ გაითვალისწინეთ მათი რჩევები. იყავით კომუნიკაბელური და აზრის გამოთქმის არ მოგერიდოთ.

ის, რაც არ უნდა დაავიწყდეს მასწავლებელს:

მოსწავლეებთან იყავით სამართლიანი. არ მიაყენოთ მათ შეურაცხყოფა. არ დაამციროთ კლასის წინაშე. ყოველთვის გახსოვდეთ მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. ინდივიდუალურად მიუდექით მათ. თუ რამეს დაჰპირდებით, აუცილებლად შეუსრულეთ. იყავით ყოველთვის მოწესრიგებული. განუწყვეტლივ იზრუნეთ თვითგანვითარებაზე. უპასუხოდ არ დატოვოთ არცერთი კითხვა. გვჯეროდეთ თქვენი მოსწავლეების!

რა არ ეპატიება მასწავლებელს:

მასწავლებელიც ადამიანია, შეუცდომელი ადამიანი კი არ არსებობს, თუმცა არის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც განსაკუთრებულად უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა:

- არ მოატყუოთ მოსწავლეები. ნუ ესაუბრებით მათ სარკასტულად. გულგრილობა, საკუთარი პროფესიისადმი ზერელე დამოკიდებულება, მოსწავლის ფსიქოლოგიური/ფიზიკური დასჯა ის არის, რისი უფლებაც მასწავლებელმა თავს არ უნდა მისცეს.

რჩევები, რომლებსაც კოლეგები გვთავაზობენ:

- უსმინეთ ბავშვებს, მოიპოვეთ მათი ნდობა და სიყვარული – ეს უმთავრესია. შეაფასეთ და გამოკვეთეთ თითოეული მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები, მათი ინტერესები და მიდრეკილებები და ამაზე დაყრდნობით დაგეგმეთ სასწავლო პროცესი.

უსმინეთ ბავშვებს, მოიპოვეთ მათი ნდობა და სიყვარული – ეს უმთავრესია. შეაფასეთ და გამოკვეთეთ თითოეული მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები, მათი ინტერესები და მიდრეკილებები და ამაზე დაყრდნობით დაგეგმეთ სასწავლო პროცესი.

- დააკვირდით ბავშვებს, მოუსმინეთ მათ – ისინი ყველაფერს გასწავლიან. გახსოვდეთ: მათთვის ბევრს ნიშნავს, როდესაც მათ სიტყვას პატივს სცემენ. იყავით გულწრფელი ბავშვებთან – ისინი ტყუილს ვერ იტანენ.
- აუცილებელია გულწრფელობა, მაგრამ არ არის საჭირო ზედმეტი პათეტიკა. ნუ იქნებით ხელოვნური!
- შეიქმენით განწყობა, რომ ყველა ბავშვი კარგია. ეცადეთ, დაინახოთ მათში ღირსებები და დიდი სიფრთხილით დაეხმარეთ ნაკლოვანებების დაძლევაში. ასწავლეთ კეთებით, რათა დარწმუნდნენ, რომ ყველაფერი შეუძლიათ. ხარისხიანი გაკვეთილი თქვენი იარაღია! აგრძნობინეთ ბავშვს, რომ ენდობით, მაგრამ არ დაივიწყოთ, რომ პროფესია მათ კონტროლსაც გავალდებულებთ. არასდროს იყვიროთ! ესაუბრეთ თბილად. ყოველთვის გახსოვდეთ, რომ ბავშვებსაც აქვთ ოჯახური პრობლემები და ხშირად უჭირთ ემოციებთან გამკლავება. დაეხმარეთ, რათა დარწმუნდნენ საკუთარ ძალებში და მიეცეთ მოტივაცია. დააფასეთ ბავშვის უნარები და შეეცადეთ, წინ წამოსწიოთ ისინი. მიეცით ბავშვს საშუალება, იყოს გულწრფელი და ჰქონდეს თქვენი დახმარების იმედი. ბავშვებს უყვართ მასწავლებელი, რომელიც ყოველთვის მზადაა, დაეხმაროს და იმეგობროს მათთან! სწორედ ასეთი მასწავლებლის საგანი უყვარდებათ. დაბოლოს, თუ თქვენ შორის ხიდი ჩატყდა, მიზეზი საკუთარ თავში ეძებეთ.
- ყოველთვის წარმოიდგინეთ თავი ბავშვის ადგილას.
- საქმით მიეცით ზნეობის, მეგობრობის, სიყვარულის, პატივისცემის, სამართლიანობის ღირსეული მაგალითი და არა სიტყვით, რადგან ბავშვები ჩვენს ქმედებებს იმეორებენ და არა დარიგებას!
- არასოდეს გაარჩიოთ მოსწავლეები ერთმანეთისგან.
- იყავით ყველასთან თბილი და მოსთხოვეთ ყველას მათი შესაძლებლობებისამებრ.
- არ შეშინდეთ, ისწავლეთ და ასწავლეთ. იმეგობრეთ ბავშვებთან.

ვფიქრობ, ეს რჩევები ბევრ ახალბედა მასწავლებელს დაეხმარება სწავლების პირველ ეტაპზე, რომელიც ახლა შესაძლოა რთული ეჩვენებათ. გახსოვდეთ: თუ მასწავლებლის პროფესიას აირჩევთ, სკოლაში შეაბიჯებთ, აღმოჩნდებით ჯადოსნურ სამყაროში ჯადოსნურ გმირებთან ერთად. არ მისცეთ უფლება, ეს ჯადოსნობა დამთავრდეს!

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„ვწერ მასწავლებლისთვის“



ახალგაზრდა ლიტერატორმა თარგმნა შექსპირის ,,ჰამლეტი" და აჩვენა იგი პეტრე კარატიგინს. მან ყურადღებით გადაიკითხა გულუბრყვილო ბავშვური თარგმანი, ახალგაზრდას სქელი რვეული დაუბრუნა და უთხრა:

– ოჰ, ყმაწვილო! როგორ არა გრცხვენიათ ! „ჰამლეტში" ისედაც ყველა მოქმედი პირი კვდება და თქვენ მათ შექსპირიც მიაყოლეთ?!